ტექსტების და ტონტექსტების ჟურნალი
№10 (28) ოქტომბერი, 2015 წელი
ფასი 2,5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

NEW

ტექსტი

1970
2015

ნომრის ავტორები
ირაკლი ლომოური & ბილი კოლინსი

პოეზია
ხვიჩა ყალაბეგაშვილი
ნატა ვარადა
შონ აბრამი

კრიტიკა
მარსიანი
ნაირა გელაშვილზე
ლელა კოდალაშვილი
დავით ქართველიშვილზე

BILLY COLLINS

ახალი

პროზა
ნუნუ ქადაგიძე
კობა ცხაკაია

ახალი თარგმანები
ვასილ კანდინსკი
შერვუდ ანდერსონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1 2 3

ნომრის ავტორები

ირაკლი ლომოური

ელისო მეტრეველი – ირაკლი ლომოურის „ფრთხილად“ საკითხავები 3
ირაკლი ლომოური – ორუელის სპილო 9
ამონარიდი (ნინია სადღობელაშვილი) 19

ბილი კოლინსი

დალილა გოგია – როცა პოეტი ბუზს აკვირდება 21
ბილი კოლინსი – ლექსები (ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ) 25
ბილი კოლინსი: „პოეზია პირველ რიგში სიამოვნებაა“ (ინტერვიუ)
(ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ) 35

პოეზია

ხვიჩა ყალაბეგაშვილი 38
ნატა ვარადა 41
შინ აბრამი 46

პროზა

ნუნუ ძადაგიძე – პანლური 50
კობა ცხაკაია – მნია-მნია 56

კრიტიკა

მარსიანი – „დრო, პური და ღვინო“ 63
ლელა კოდალაშვილი – გადაკარგვამ აზრი დაკარგა 71

ახალი თარგმანები

ვასილი კანდინსკი – ლექსები
(გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა) 74
შერვუდ ანდერსონი – ქაღალდის ბურთები
(ინგლისურიდან თარგმნა მირიან რჩეულიშვილმა) 78

4

5

პროექტის ავტორი:
ვაჟა წოწკოლაური

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

რედაქტორი-სტილისტი:
ლელა კოდალაშვილი

დიზაინი და დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
ელისო მეტრეველი
ირაკლი ლომოური
დალილა გოგია
ხვიჩა ყალაბეგაშვილი
ნატა ვარადა
შონ აბრამი
ნუნუ ქადაგიძე
კოგა ცხაკაია
მარსიანი
ლელა კოდალაშვილი
ლულუ დადიანი
მირიან რჩეულიშვილი

გამომცემლობა – „საუნჯე“
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ–ფოსტა: saungeo@gmail.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.saungeo.ge

1 ნომრის ავტორები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ლომოურის „ფრთხილად“ საკითხავები

ელისო მეტრეველი

ირაკლი ლომოური ფრთხილად უნდა იკითხო, ნელა და დაკვირვებით. არც ენას უნდა დაუჯერო, თითქოს იოლად, „შენი“ სიტყვებით რომ გიყვება ამბავს და არც ამბავს, ასე ჩვეულებრივად რომ იწყება თითქმის ყოველთვის. ფრთხილად რა, უბრალოდ, ისე უნდა იკითხო, რომ არაფერი გამოგეპაროს, მერე უკან დაბრუნება რომ არ დაგჭირდეს იმის გასარკვევად, ეს ამბავი ხვლიკს გადახდა თავს, თუ კაცს, რომელიც დაკრძალვაზე იყო და ხვლიკად გადაიქცა; არა, თუ ეს კაცის ამბავია, რომელიც დაკრძალვაზე იყო და ხვლიკი დაინახა; არა, არა, ალბათ, ეს იმ კაცის სიზმარია, რომელიც მხოლოდ ახლა აპირებს დაკრძალვაზე წასვლას... მოკლედ, „შარია“, ამიტომ „სიფრთხილეა“ საჭირო.

ჟანრის კანონით, ირაკლი ლომოურს ბევრი რამის უფლება აქვს, ამ კანონის უარყოფისაც კი. უკვე ისეთები გვინახავს და წაგვიკითხავს ჟანრი და ჩარჩო რა მოსატანია, როცა საქმე ფანტასტიკას ეხება. არადა, არ არღვევს, თან კარგად არ არღვევს. ბოლო სიტყვას კითხულობ და ყველაფერი თავის ადგილზე დგება, იმის მიუხედავად, შეშლილი „ბედლამელების“ ამბავია ეს, თუ „’პარალელური საქართველოს’ ქრონიკები“, თუ აქლემები მეტროში.

ირაკლი ლომოური „კულინარია“ – მოკრებს ერთად ათას ნამდვილ ისტორიას და სახელს, ინსპირაციასა და ფანტაზიას და... „ხარშავს!“ ზოგჯერ „ერთ ქვაბშია“ ნამდვილი მოგონებაც და გამონაგონიც, ირონიაც და შაყირიც, დოკუმენტალისტიკაც და აბსურდიც, სარკაზმიც და მისტიფიკაციაც. მერე ზიხარ და გემოს უსინჯავ (ფრთხილად!) ამ ყველაფერს. წესით, სტალინს სულაც არ უნდა „უხდებოდეს“ მაია წყნეთელი, მაგრამ აღარაფერი გიკვირს, როცა ბოლოს კითხულობ, რომ „ერთი სტალინი ყველა სარდაფში ზის“, შეიძლება, მართლა „ზის“. ჰოდა, იყოს სტალინი და მაია წყნეთელი ერთად, ქვიშის საათი და ბურატინო, კოფი ანა-ნიაშვილი და სანოლზე ჩამომჯდარი ქარის წისქვილიც. პარალელური ისტორიები და პარალელური რეალობები ირაკლი ლომოურის „სათამაშო მინდორია“, სადაც თავისუფალია და შენც გათავისუფლებს. ლეგენდებიდან გამოიხმობს მედეას და ერთ ქმარს გაშორებულ, თბილისელ მარიშად აქცევს, მერე კი პარიზში გადაისვრის, სიზმარს და ცხადს ერთმანეთში აურევს და... წაგაკითხებს, თან ისე უცებ, ერთი ამოსუნთქვით, რომ მოგინდება რომანი იყოს – დიდი და სქელტანიანი, რომ ასე მალე არ დამთავრდეს, რომ მთელი ღამე გაათენო.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დასთან ერთად

ორი ცხოვრება და განსაცდელი

ირაკლი ლომოური არ წერს დიდი ზომის ნაწარმოებებს. ორი დეტექტიური რომანი აქვს, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ გამომცემლობამ ხელსაყრელი კონტრაქტი შესთავაზა, თუმცა, მაშინვე იცოდა, რომ ეს არ გაგრძელდებოდა. მისთვის უფრო ბუნებრივი მცირე ზომის ტექსტია, მაგალითად, მოთხრობა – იწყებ და უცებ ამთავრებ. წერს დიდი ინტერვალებით, იყო რამდენიმეწლიანი პაუზაც. წერა კი, როგორც თავად ამბობს, რომ არ გაგიჟებულიყო, იმიტომ დაიწყო:

„წერა 12-13 წლის ასაკში დავიწყე. ეს იყო, ალბათ, თვითგადარჩენის ინსტინქტი, რაღაცნაირად გარეთ უნდა გამომეტანა ის ყველაფერი, რასაც ვგრძნობდი, რაც მაწუხებდა. სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი. საბჭოთა სკოლა იყო კოშმარული, შემზარავი, საშინელი. ერთს გვასწავლიდნენ და მეორეს აკეთებდნენ. გველაპარაკებოდნენ იდეალებზე – სიკეთეზე, სამართლიანობაზე, პატიოსნებაზე და იქვე იყიდებოდა ყველაფერი – ნიშანი, ატესტატი, კეთილგანწყობა. ისეთი განცდა მქონდა, რომ აზრი არაფერს აქვს, ყველაფერი ტყუილი და აბსურდია. ხარ რაღაც ლაბირინთში და არ იცი, რატომ მოხვდი აქ, უფრო უარესი – არ იცი, თავს დააღწევ თუ არა ოდესმე ამ უბედურებას“.

მერე ყველაფერი შეიცვალა, უცებ არა, მაგრამ ნელ-ნელა. იყო რამდენიმე გადამწყვეტი მომენტიც. კითხულობდა ბევრს, ძირითადად ისტორიას და ფანტასტიკას. ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიამოვნება და თავისუფლების განცდა სწორედ „თანამედროვე ფანტასტიკის ბიბლიოთეკის“ მრავალტომეულმა მოუტანა. რეი ბრედბერი, აიზეკ აზიმოვი, კლიფორდ საიმაკი, რობერტ შეკლი, ჯონ უინდემი და სხვები – რუსულად თარგმნილი ყველა ის ავტორი, ვინც იმ დროს მსოფლიო ფანტასტიკას ქმნიდა. სწორედ ამან განსაზღვრა ბევრი რამ მისი ინტერესებისა და ცხოვრების თვალსაზრისით. იყო კიდევ ერთი ადამიანი, დის ქმარი – ბიძინა მინდაძე, მწერალი და ექიმი, რომელმაც ასევე ბევრი რამ შეცვალა მის ცხოვრებაში. იყო მამის „სპიდოლაში“ დაჭერილი „რადიო თავისუფლება“ და „ამერიკის ხმა“ და იმის შეგრძნებაც, რომ ორ სამყაროში ცხოვრობს. და კიდევ – „კურიერ იუნესკო“:

„მამაჩემი თბილისში ცნობილი კარდიოლოგი იყო. ერთხელ პაციენტმა „კურიერ იუნესკოს“ რამდენიმე ნომერი აჩუქა (მაშინ ეს ჟურნალი, ისევე როგორც „ამერიკა“ და „ანგლია“, თავისუფლად არ იყიდებოდა, უნდა „გეშოვნა“). ერთ-ერთი ნომერი დარვინს ეძღვნებოდა. სწორედ იქ წავიკითხე ორი ინგლისელი მეცნიერ-გენეტიკოსის სტატია, სადაც, ფაქტობრივად, გადახზული იყო წარმოდგენა, რომ სიცოცხლე თავისით, შემთხვევით გაჩნდა – ანუ სამყაროს „მეცნიერული სურათი“. მაშინ დავფიქრდი პირველად, იქნებ არ არის ეს ყველაფერი ისე, როგორც აქამდე მასწავლიდნენ, იქნებ არის რაღაც „სხვა“. ამ სტატიამ ძალიან იმოქმედა ჩემზე. რაღაც ბუნდოვანი განცდა გამიჩნდა, თუმცა, ყველაფერი ჯერ ჩამოუყალიბებელ შეგრძნებად რჩებოდა. არც მამაჩემი და არც დედაჩემი მონათლული არ იყვნენ. ამ დროს, ორივეს, წინაპრები სასულიერო პირები ჰყავდათ. ბებიაჩემმა, მაშო კაპანაძემ მამაჩემი არ მონათლა, იდეური რევოლუციონერი იყო, მენშევიკი და ათეისტი. ბებიაჩემი პირველად 1905 წელს დაუპატიმრებიათ. სახლში ჩხრეკისას უპოვიათ დიდი რაოდენობით ყალბი პასპორტები, ბლანკები, არალეგალური ლიტერატურა და იარაღი. 10 წელი ციხეებსა და გადასახლებაში გაატარა. ორჯერ გამოიქცა ციმბირიდან და დაიჭირეს. მესამედაც გამოიქცა და გზაში მოუსწრო რევოლუციამ. მერე შევიკების დროს იყო გორის მაზრის პოლიტკომისარი და სახალხო გვარდიის შტაბის წევრი. 30-იან წლებში, რეპრესიების დროს, პრაქტიკულად შინაპატიმრობაში აღმოჩნდა. „შიკმა“ საიდუმლოდ გააფრთხილა (ისიც გორელი კაცი ყოფილა და თურმე იცნობდა), გარეთ თუ გახვალ და ხალხთან ურთიერთობა გექნება, მაშინვე დაგაპატიმრებო. ერთხელ, 30-იანი წლების ბოლოს, მამიდაჩემს უკითხავს, დედა, შენ ამისთვის იბრძოლე ამ ცხოვრებისთვისო? არა, შვილო, ეს სულაც არ მინდოდა, ეს საერთოდ არ მინდოდაო, უთქვამს. არადა, მაშო კაპანაძის ბიძა კირიონ კათოლიკოსი იყო... ძალიან ბევრი დრო დამჭირდა იმისთვის, რომ ბოლოსდაბოლოს მივსულიყავი ეკლესიაში, წლები დამჭირდა და მრავალი განსაცდელიც გადავიტანე“.

იქამდე იყო სტუდენტობა, ექსპედიციები და კიდევ ერთი სტუდენტობა. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, ირანის ისტორიის სპეციალობით. როგორც ირაკლი ამბობს, ეს იყო საუკეთესო დრო: მეგობრები

ლაშქრობები, სტუდენტური ექსპედიციები, სადაც ძეგლების რესტავრაციაზე მუშაობდნენ. ეს იყო სრულიად სხვა სამყარო, სადაც ცოტა ხნით ქრებოდა საბჭოთა კავშირიც, კომკავშირიც, პარტიაც და იდეოლოგიაც. შემდეგ მუშაობდა ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებაში. იყო მრავალი ეთნოგრაფიული ექსპედიციის მონაწილე. უნივერსიტეტის დამთავრებიდან ათი წლის შემდეგ ჩაბარა სასულიერი აკადემიაში, რომელიც 1996 წელს დაამთავრა და იქვე დარჩა ლექტორად.

„26 წლის ვიყავი, როცა სერიოზული ტრავმა მივიღე. მეორე სართულის აივნიდან გადმოვვარდი ნასვამი. ქალას ფუძის მოტეხილობა მივიღე და მრავლობითი მოტეხილობები. 17 დღე ვიყავი უგონოდ, აპარატზე შეერთებული. დამოუკიდებლად ვერ ვსუნთქავდი, რეფლექსები არ მესინჯებოდა. მერე რაღაც მოხდა და ცნობიერება დამიბრუნდა, დავილაპარაკე. არ ელოდნენ. რეაბილიტაციას დასჭირდა დიდი დრო. ნელ-ნელა დავუბრუნდი ნორმალურ ცხოვრებას, თუმცა, კვალი დარჩა. მე ვფიქრობ, რომ კიდევ ერთი შანსი მომცა ღმერთმა, იმისათვის, რომ სხვანაირად დამეწყო ცხოვრება. ვიღაცამ შეიძლება მითხრას, რომ ეს არის შენი ამპარტავნება, რომ გგონია ღმერთი რაღაც შანსს გაძლევს; ეს ილუზიაა, შემთხვევით ჩამოვარდი და შემთხვევით გადარჩიო... მე რომ მეფიქრა, ის, რაც დამემართა მხოლოდ ბრმა შემთხვევითობა იყო და მეტი არაფერი, ახლა ცოცხალი არ ვიქნებოდი, ალბათ, არ იარსებებდა ჩემი ოჯახი, შვილები... მეუღლე სასულიერო აკადემიაში გავიცანი – ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტზე სწავლობდა, მე – ქრისტიანული ანთროპოლოგიის“.

ბებია მაშო კაპანაძე

„ურბანული ლეგენდა“ ქართულად

წესით, ჯერ ლეგენდა ჩნდება და მერე მხატვრული ნაწარმოები – ფილმი, სიმღერა და სხვა; ჯერ ხალხი იგონებს რაღაცას და მერე ამ მონაგონს ვიღაც მხატვრულ ნაწარმოებად აქცევს. თითქმის ასეა ყოველთვის და ყველგან. ასე იქმნება „ურბანული ლეგენდები“, მერე კი – ცოტა საშიში და ზოგჯერ სასაცილო ფილმები ამ ლეგენდების მიხედვით.

ჰოდა, 80-იანი წლებია, საბჭოთა საქართველო. თითქმის არაფერი ხდება და უცებ, ვიღაცამ მეტროში ნახა აქლემების მთელი ქარავანი, რომელიც ერთი გვირაბიდან გამოვიდა და მეორეში გაუჩინარდა. იყვნენ თვითმხილველებიც. ეს იყო ნამდვილი „ურბანული ლეგენდა“ და ეს იყო „შემთხვევა“, რომლის ავტორიც ირაკლი ლომოურია. „შემთხვევა“ პატარა მოთხრობაა, რომელიც 1982 წელს „ცისკრის“ დამატება „ნობათში“ დაიბეჭდა:

„ჩემი ხუთიოდე პატარა მოთხრობა დაიბეჭდა „ნობათის“ 1982 წლის ნომერში. მათ შორის იყო „შემთხვევაც“, რომელიც მერე გავრცელდა როგორც ნამდვილი ამბავი, როგორც „ურბანული ლეგენდა“. „ცისკრის“ რედაქციაში რომ მივედი, მითხრეს, მეტროპოლიტენის სამმართველოდან მოგვივიდა წერილი, უარყავით ეს ინფორმაცია და დაბეჭდეთ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა მეტროშიო; გვაწუხებენ, რეკავენ, აღარ შეგვიძლია მეტიო. იმ ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობას ის ჟურნალი თვალით არ ენახა. ვიღაცა მოჰყვა ამას, როგორც ნამდვილ ამბავს, ვიღაცამ დაიჯერა და ასე გავრცელდა ჭორი, წავიდა, წავიდა და წავიდა... რატომ გაჩნდა ეს ილუზია? თხრობა იყო აბსოლუტურად დოკუმენტური სტილის, კონკრეტული სახელებით და გვარებით, მისამართებით, თანამდებობებითაც კი. როგორც მითხრეს, დიდი ხნის შემდეგ, ერთ-ერთმა ასტროლოგმა, ტელევიზიით გამოსვლისას, ეს ამბავი გაიხსენა, როგორც პარანორმალური მოვლენა, როგორც ნამდვილად მომხდარი აუხსნელი მოვლენა. სასაცილოა... გვიანი ღამე იყო, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გაჩერებაზე რომ გამოვედი. მატარებელი წავიდა და რატომღაც გავჩერდი. ცხადია, ცოტა ნასვამი ვიყავი, მაგრამ მთვრალი არ ვყოფილვარ. წარმოვიდგინე, რა მოხდება, ახლა ამ გვირაბიდან აქლემების ქარავანი რომ გამოვიდეს, რა კარგი სანახავი იქნება-მეთქი... სახლში რომ მოვედი, დავიწყე წერა. რას ვწერდი და რატომ, მე არ ვიცოდი, ვერ ვაცნობიერებდი, ოცი წლის ვიყავი. არც ფორმაზე ვფიქრობდი და არც ქვეტექსტებზე, სრულიად სპონტანური და ინტუიციური იმპულსები იყო. ეს უფრო შაყირი იყო, ირონია“.

ირაკლი ლომოური ამბობს, რომ ის უფრო ირონიულ აბსურდს წერს და სიურეალიზმს. ფანტასტიკაში კი ყველაფერს მოიაზრებს – ფენტეზისაც, ჰორორსაც, სამეცნიერო ფანტასტიკასაც, სიურეალიზმსაც, მისტიკასაც, აბსურდსაც, მაგიურ პროზასაც და ლიტერატურულ ზღაპარსაც. ამბობს, რომ ინტუიციით

ლაშქრობაში

წერს, არასდროს იცის, რატომ და რა მიზნით იწყებს წერას, უბრალოდ, წერს:

„მთავარი განცდა იყო ის, რომ აბსურდში ვარ და აქედან ვერ გავდივარ, ძირითადად ამაზე ვწერდი. „შემთხვევაშიც“ მთავარი ის კი არ იყო, რომ აქლემებმა ჩამოიარეს და წავიდნენ, მთავარი იყო მე-19 თვითმხილველი, რომელსაც უნდა, რომ გაჰყვეს ქარავანს და ვერ მიჰყვება (თუმცა, ეტყობა, მაინც გაჰყვა, რადგან გაქრა). ეს მოთხრობა უფრო გაქცევის შეუძლებლობაზეა და არა რაღაც პარანორმალურზე. ეს განცდა, რომ რაღაც უზარმაზარ ციხეში ვარ გამოკეტილი, არ მტოვებდა. ძალიან ბევრი მიფიქრია აქედან გაქცევაზე, მაგრამ ახლა ვხვდები და მაშინაც ვგრძნობდი, რომ გაქცევა არ შეიძლება. თუ გარბიხარ, ტოვებ იმას, რაც შენია და ამით კარგავ მთავარს – ქვეყანას, მეგობრებს, ხალხს. ძალიან მინდოდა საბჭოთა კავშირიდან გაქცევა, მაგრამ სერიოზულად არასდროს წარმომედგინა სხვაგან ცხოვრება, უცნაურია, ერთდროულად იყო ეს ორი რამ“.

„ბრძოლა რა არის? ბრძოლა არის მაგალითის ჩვენება“, – ამბობს ირაკლი ლომოური. – „მე ვეცადე... ვეცადე მებრძოლა, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ გადავდე თავი. რაღაც მომენტში მივხვდი, რომ იმას, რასაც მე ვაკეთებ, სინამდვილეში, არავითარი რეალური შედეგი არ მოაქვს. თითქმის ყველა აქციის მონაწილე ვარ 1978 წლის 14 აპრილით დაწყებული, 9 აპრილი... 7 ნოემბერს მხუთავი გაზის ყუმბარა ფეხებთან ამიფეთქდა, კინაღამ მოვკვდი, 2012-ში საპროტესტო შიმშილობას შევუერთდი იმ საზარელი კადრების მერე... მაგრამ ბუნების დაცვა სხვა რამე აღმოჩნდა. არც მქონდა დიდი ილუზია, მაგრამ მეგონა, რომ საზოგადოება უფრო მეტად გამოეხმაურებოდა ამ ამბავს. ისედაც ხომ ვკარგავთ ამ ჩვენს მიწას და თუ ჩვენ თვითონაც დავტბორეთ, მაშინ აღარ ვიარსებებთ. ჩვენი შვილები და შვილიშვილები სად იქნებიან და რა იქნებიან? უბედურება ის არის, რომ უმეტესობა ცხოვრობს ისე, თითქოს მას ეს არ ეხება და არც შეეხება. ჩვენ დავრწმუნდით, რომ შეიძლება, 100 ათასი კაცი გამოვიდეს აქციაზე და მაინც არაფერი შეიცვალოს, მაგრამ როცა 150 კაცი გამოდის და ყველა სხვა ინდიფერენტულია, რაღა შეიცვლება?!“

რა მოიტანა გიგანტური ჰესების წინააღმდეგ მიმართულმა სამოქალაქო პროტესტმა, რომელშიც ირაკლი ლომოური მონაწილეობდა? პეტიციები, ღია წერილები, აქტიურობა სოციალურ ქსელებში, პრესკონფერენციები, აქციები. ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა. ჯერ არავის უთქვამს, რომ აღარ აშენდება დიდი ჰესები, არ გაიჩეხება ხეები, არ დაიტბორება სოფლები. რატომ? რატომ არ მოხდა ამ თემის ირგვლივ გაერთიანება? რატომ აღმოჩნდა ეკოლოგია მხოლოდ რამდენიმე ათეული აქტივისტის საქმე?

„ბევრი ფაქტორია, მაგრამ ერთს ვიტყვი. 200 წელი ვიცხოვრეთ „სხვის სახელმწიფოში“, როცა ჩვენ არ გვეკითხებოდა არავინ არაფერს. რასაც უნდოდათ, იმას გვიზამდნენ ჯერ რუსეთის იმპერიის დროს და მერე ბოლშევიკები. რასაც უნდოდათ – სულაც ციმბირში გაგვასახლებდნენ და ბევრი გაასახლეს კიდეც. ასეთ ცხოვრებას ვეგუებოდით, ჩვენ კონფორმისტები ვართ უკვე მრავალ თაობაში. ბოლშევიკების დროს ძალიან ბევრი პროგრესული, განათლებული ადამიანი ან ბრძოლაში დაიღუპა, ან მოკლეს, ან ემიგრაციაში წავიდა. ვინც დარჩა, ის ამ ბოროტმოქმედების თანამონაწილე გახდა – ზოგი სურვილით, ზოგი იძულებით; ზოგი სიჩუმით! ყველა თანამონაწილეა! ეს შიში, ეს კონფორმიზმი ადამიანის დემორალიზებას იწვევს. ჩვენ ვართ ამ ხალხის შთამომავლები – იმისაც, ვინც იჭერდა და იმისაც, ვისაც იჭერდნენ და იმისაც, ვინც ჩუმად იყო. ჩვენ, ამ ხალხის შთამომავლებს, არ გვაქვს იმის განცდა, რომ ეს ქვეყანა ჩვენია, რომ ჩვენზეა რამე დამოკიდებული, ამიტომ სულერთია, სად ხეს მოჭრიან და სად მიწას დატბორავენ; სულერთია ის, რომ სვანეთში ან რაჭაში ხელისუფლება რაღაცას აშენებს. უმეტესად, ამის გამო მხოლოდ მაშინ წუხს ვინმე, თუ თვითონ არის იქაური და მას პირადად ეხება... თუმცა, გულზე ხელების დაკრეფა მაინც არ შეძლება, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. ადამიანს უნდა სწამდეს, რომ რაღაც არის ამ მატერიალური განზომილების მიღმა და მაღლა!“

„ფანტასტი", ბრედბერი, ლავკრაფტი

დაახლოებით ერთ წელია, რაც ირაკლი ლომოური დროდადრო თავისი ფეისბუკის გვერდზე ასეთ პოსტებს აქვეყნებს:

„მეგობრებო! :) კლუბ „ფანტასტის" წევრებო, ვეტერანებო და ახალბედებო, ასევე, კლუბის მომავალო წევრებო და ფანტასტიკით ახალდაინტერესებულო ადამიანებო! მინდა შეგახსენოთ, რომ ხვალ, ჩემთან, სახლში, გაიმართება შეკრება. ძალიან მინდა, რომ მობრძანდეთ ყველა, ვისაც ჩვენი ერთობა და ჩვენი ჟურნალი ფანტასტიკურად გეძვირფასებათ! მეგობრებო, გააქტიურდით, გამხნევდით, გაფანტასტდით! :) კლუბი გიხმობთ! კლუბი ხართ თქვენ! :) მოსვლა ნურავის მოგერიდებათ – კარი ფანტასტიკურად ღიაა! :) გაუმარჯოს ფანტასტიკას და ფანტასტებს! :)"

„ფანტასტის" შესახებ პირველი პოსტიც „ფეისბუკზე" დაწერა, სადაც ამბობდა, რომ კლუბის გაკეთებას აპირებდა. თავიდან რამდენიმე ადამიანი გამოეხმაურა და პირველი შეკრებაც მოაწყვეს. ჯერ ორი კაცი მივიდა, მერე – ოთხი, მერე ოცამდეც ავიდნენ. ახალ წევრებს ისევ ელოდებიან. ამბობს, რომ ჟურნალი „ფანტასტი" და კლუბი „ფანტასტი" მის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე აღმოჩნდა. 18 მარტს „ფანტასტმა" ოფიციალური სტატუსი მიიღო და გახდა არასამთავრობო, არაკომერციული, იურიდიული პირი. შეუძლიათ, გამოსცენ წიგნები, ჟურნალები; ჰქონდეთ რადიო, ტელევიზია; შეუძლიათ, გადაიღონ კინო.

„შეგვიძლია... მაგრამ ფული არ გვაქვს. არ გვყავს სპონსორი. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვეცით ჩვენი ძალებით, ენთუზიაზმის ხარჯზე. ფულიც ჩვენ შევკრიბეთ, ვის რამდენი შეგვეძლო, იმდენი დავდეთ. ნაცნობ-მეგობრებიც შევაწუხეთ. იმდენი თანხა შეგროვდა, რომ პირველი ნომერი გამოვეცით (300 ცალი) და ცოტა მეორესთვისაც დაგვრჩა. ახლა მეორეც გამოვა, ალბათ, ნოემბერში. მალე ჩვენი საიტიც ამუშავდება. „ფანტასტის" ფეისბუკ-ჯგუფში ახლა 574 წევრია, თუმცა, ყველა აქტიურად – არ მონაწილეობს ჩვენს საქმიანობაში და შესაბამისად, შეკრებებზეც არ მოდის. 25 კაცზე მეტი შეკრებაზე ჯერ არ ყოფილა. თან იცვლება, შემადგენლობაც, რაოდენობაც, მაგრამ ჩამოყალიბდა რაღაც ბირთვი, რომელიც აქტიურია – ჟურნალზეც მუშაობს და კლუბის საქმიანობაშიცაა ჩართული. რაღაც დროის განმავლობაში „მწერალთა სახლშიც" ვიკრიბებოდით, ახლა ისევ ჩემს სახლში გვაქვს შეხვედრები. ეს კლუბი სინამდვილეში არის ლიტერატურული სტუდია-სახელოსნო. როცა ვიკრიბებით, დამწყები ავტორები თავიანთ ტექსტებს კითხულობენ და მერე ამაზე ვმსჯელობთ, ტექნიკას ვხსნით, ლიტერატურულ ხერხებზე ვმუშაობთ, ჩვენს აზრს გამოვთქვამთ. რა თქმა უნდა, ეს აზრი კრიტიკულია, მაგრამ ეს არის თან მეგობრული და თან საქმიანი გარემო და კრიტიკა არავის სწყინს. ჟურნალის პირველი ნომერი რეი ბრედბერის მიეძღვნა. მეორე ნომრის მთავარი თემა იქნება ჰოვარდ ფილიპს ლავკრაფტის პიროვნება და შემოქმედება. მესამე ნომერი მიეძღვნება ქართულ ფანტასტიკა-ფენტეზის, ნომრის ავტორი იქნება ნატო დავითაშვილი".

ჟურნალში იბეჭდება როგორც ორიგინალური ქართული ნაწარმოებები, ასევე თარგმანები. ირაკლი თავადაც თარგმნის და ამჟამად მისი დროის დიდი ნაწილი სწორედ ამ საქმეს ეთმობა. „პალირტა გ"-თან აქვს საქმიანი ურთიერთობა და წელს ორი რომანი უკვე თარგმნა – გილიან ფლინის „გაუჩინარებული ქალი" და დინ კუნცის „უცნაური თომასი". ამჟამად მუშაობს ფლინის მეორე რომანის თარგმანზე და ამბობს, რომ თითქმის აღარ რჩება დრო რაღაც ახლის დასაწერად. დღემდე გამოცემული აქვს ათზე მეტი წიგნი – მოთხრობები, დეტექტიური რომანები, დოკუმენტური ტექსტები, პუბლიცისტიკა და ფანტასტიკა. არის პიესებისა და სცენარების ავტორი, დაწერილი აქვს ლიტერატურული ზღაპრები და სახალისო რითმოცანები. თუმცა, პირველი მოთხრობების გამოქვეყნებიდან პირველი წიგნის გამოცემამდე საკმაოდ დიდი დრო გავიდა:

„ვწერდი ძალიან დიდი ინტერვალებით. კრებულის გამოცემაზე მე არ მიფიქრია. ჩემმა სიძემ, ბიძინამ მითხრა, მოდი, შეაგროვე და „მერანში" მივიტან და გამოვცეთო. შევაგროვე და ბიძინამ მიიტანა. 90-იანი წლები იყო. ამ დრო ქვეყანა აირია და ეს წიგნი ვერ გამოვიდა. ძალიან კარგია, რომ არ გამოვიდა, პირველი მცდელობები იყო და ცოტა უმწიფარი ტექსტები. სადღაც



ზალიკო სულაკაურის კარიკატურა

1990 წლიდან 1997-მდე პრაქტიკულად აღარ ვწერდი. მერე ისევ მომინდა წერა, რატომ, აღარც მახსოვს. პირველი წიგნი გამოვიდა 2000 წელს. როსტომ ჩხეიძესთან ვმუშაობდი მაშინ, ჟურნალ „ომეგაში". როსტომი ჩემი კურსელია. როდესაც გავიგე, რომ ჟურნალი კეთდებოდა, ვთხოვე სამსახური. მიმიღო რედაქციაში – თარგმანის და ესეისტიკის განყოფილების გამგე ვიყავი. თვითონ როსტომმა მითხრა, მოდი, გამოვცეთ შენი წიგნიო. შევკრიბე, რაც მქონდა და პირველი წიგნიც დაისტამბა".

„ახალი სამყაროს" ავტორები

ირაკლი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირში ფანტასტიკას მწვანე შუქი ენთო, რამდენადაც ის განიხილებოდა, როგორც საყმაწვილო ჟანრი, ზღაპარი და სერიოზულად არ აღიქვამდნენ. მისი აზრით, სინამდვილეში, ფანტასტიკა ცვლიდა არათუ მოზარდის წარმოდგენებს, არამედ ზრდასრულისაც და საბჭოთა კავშირის დანგრევასა და საბჭოთა ადამიანის ცნობიერების ცვლილებაში ფანტასტიკასაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი. იმ დროს თავისუფლად ითარგმნებოდა და გამოიცემოდა ფანტასტიკის ჟანრის საუკეთესო ნაწარმოებები, უპრობლემოდ იბეჭდებოდა საბჭოთა ავტორების წიგნებიც. წლების განმავლობაში მილიონობით ტირაჟი გამოდიოდა და იყიდებოდა. თუმცა, XX საუკუნის საბჭოთა საქართველოში ფანტასტიკა ვერ გახდა პოპულარული. ერთეული ავტორების ერთეული ნაწარმოებების გარდა, თითქმის არაფერი დაწერილა. თითქმის არაფერი თარგმნილა და თუ ითარგმნა, ძირითადად რუსულიდან, უხარისხოდ.

არადა, შეიძლებოდა, ყველაფერი სხვაგვარად ყოფილიყო: მედეა თავისი მამითა და მამიდებით მსოფლიო „ფენტეზური" ისტორიის ერთ-ერთი პირველი ბინადარი იყო; თუ სხვა მხრიდან შევხედავთ, „ვეფხისტყაოსანიც" კარგი ფენტეზია – გულანშაროთი, ბევრი ქაჯითა და ქაჯეთის ციხით. ქართული ხალხური ზღაპრები, ლეგენდები და ფოკლორის დიდი სამყარო თავისი სხვადასხვანაირი დევითა და კუდიანებით ფენტეზის წყარო, ალბათ, დიდი ხნის წინათ უნდა გამხდარიყო.

„ბევრი მიზეზი აქვს იმას, რომ საქართველოში ბოლო დრომდე არ იყო ფანტასტიკა განვითარებული და არ გვყავს ბევრი ავტორი. შეიძლება სისულელეს ვამბობ, მაგრამ მგონია, ეს ჩვენს ეთნოფსიქოლოგიას უკავშირდება, ქართველი კაცის თავისებურებებს და ქართველების ცხოვრებას საბჭოთა კავშირში. იმ პერიოდზე ვამბობ, როცა ფანტასტიკა პოპულარული ხდება საბჭოთა კავშირში, თორემ მსოფლიოში ნამდვილი ფანტასტიკა ჯერ კიდევ ჰერბერტ უელსიდან იწყება. ჟიულ ვერნი პირველია, მაგრამ უელსი ნამდვილი სამეცნიერო ფანტასტიკაა. ჩვენ კი იმდენად ვიყავით ორიენტირებული ყოველდღიურობაზე და იმდენად გვაწუხებდა ჩვენი ამქვეყნიური პრობლემები, როგორც ჩანს, ემოციები აღარ გვრჩებოდა ასეთი ფანტაზიებისთვის. ბოლო ორმა საუკუნემ დამანგრევლად იმოქმედა. ჩვენთვის თვითგადარჩენა იყო ყოველდღიური ამოცანა და ეს მოითხოვდა დიდ ძალისხმევას. ჩვენ გვაკლდა ყველაზე მთავარი – თავისუფლება. ფანტასტიკა ხომ ოცნებაა, თავისუფლება, წარმოსახვითი სამყარო, სადაც გადადიხარ, სადაც ცხოვრობ. დღეს ყველაფერი შეიცვალა. ჩვენი თვალსაწიერი გაფართოდა. ინტერნეტმა ყველაფერი შეცვალა ყველასთვის, მით უმეტეს – ჩვენთვის. ინტერნეტი სულაც ჩემი ბავშვობის სამეცნიერო ფანტასტიკაა. მნიშვნელოვანია კინემატოგრაფიც. დღეს ამ ჟანრში ძალიან მაღალი დონის ლიტერატურა იქმნება და ძალიან შთამბეჭდავია ის ფილმებიც, რასაც ამ ნაწარმოებების მიხედვით იღებენ. ახლა ფანტასტიკა საქართველოშიც ბევრს აინტერესებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც მკითხველებიც არიან და მწერლებიც. ისინი სწორედ ახლა იწყებენ ამ ჟანრში მუშაობას".

P.S. ირაკლი ლომოურის რამდენიმე დღის „ფეისბუკ-ქრონიკა":
სვეტლანა ალექსიევიჩი...
ფიზიკოს ეფრემოვის გამოცხადება...
„ცოცხალი წიგნების" ფანტასტიკური მოგზაურობა...
„არა ნენსკრაჰესს!"
ხვალ „ფანტასტის" შეხვედრაა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორუელის სპილო

(ქრონოსკოპისტის ჩანაწერებიდან)

ირაკლი ლომოური

საოცარია, მაგრამ დროში მოგზაურობის მსურველები თითქმის აღარ არიან. თუ არ ჩავთვლით მეცნიერ-ისტორიკოსებს, მაგრამ ისინიც კი თითქოს მოვალეობის მოხდის გამო დაფრინავენ წარსულში, – ნამდვილი: შმაგი, ცინცხალი, დაუოკებელი ინტერესი დაიკარგა... არადა, როგორი „ბუმქრორი" გამოინვია თავის დროზე ქრონოსკოპის გამოგონებამ! (საგანგებო, ხელოვნური ტერმინიც კი შეთხზა ერთმა ჭკვიანმა ჟურნალისტმა იმ არნახული აურზაურისა და ჟივილ-ხივილის აღსანიშნავად: „ბუმი+ქრონოსკოპი+ფურორი")... მაგრამ ეს ე.ნ. „ბუმქრორი", დიდხანს არ გაგრძელებულა. ქრონოსკოპის გამოგონებას ეგრევე მოჰყვა გრავიტრონის გამოგონება (ორივე დრო-სივრცის სუპერგრავიტრონული თეორიის ლოგიკური შედეგი გახლდათ, დეივ დოილმა რომ შეიმუშავა), რამაც ადამიანს კოსმოსის დაპყრობა-ათვისების უსაზღვრო შესაძლებლობა გადაუშალა წინ...

სინათლის სიჩქარით მოგზაურობა რეალობად იქცა (არადა, ჩვენს წინაპრებს ეს შეუძლებლად მიაჩნდათ – ბრიყვები!) და კაცობრიობაც საკმაოდ სწრაფად „გაიწოვა" – ორი თაობის სიცოცხლეში – ახალაღმოჩენილ ეკზოპლანეტებზე გადასახლდა, რომელთა რიცხვი ათასჯერ და ათიათასჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ოდესღაც ეგონათ. კაცობრიობის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო, დიდმა და მცირე ერებმა განსახლება, დაშორიშორება გადაწყვიტეს, ცალ-ცალკე ისურვეს ცხოვრება – მადლობა ღმერთს, ასათვისებელი პლანეტები საკმარისზე მეტი იყო...

რეალური კოსმოსის გაუგონარი საოცრებების ფონზე დროში ეფემერულ მოგზაურობას ხიბლი დაეკარგა. ადამიანმა დედამიწას და, შესაბამისად, კაცობრიობის წარსულში მოგზაურობის შესაძლებლობას ზურგი აქცია...

„ბუმქრორის" მერე საუკუნეზე მეტი გავიდა. ახლა 2215 წელია, დედამიწაზე სამი მილიონი კაციც კი აღარ ცხოვრობს – გადარჩენილი ისტორიული ძეგლების მცველები, მეცნიერები, ტუროპერატორები, ერთი მუჭა შერეკილები, რომლებსაც დედამიწას არ ეთმობათ, და ჩვენ – ქრონოსკოპისტები. და კიდევ, რობოტ-ანდროიდები, ანუ მომსახურე პერსონალი, მაგრამ ისინი არ ჩანან, თვალში არ გეჩხირებიან... მოკლედ, საოცარი სიხალვათეა, სიწყნარე და სიჩუმე.....მოწყენილობა...

დედამიწაზე ჩამომსვლელი ტურისტების რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება. ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი – ხმელეთის დიდი ნაწილი წყალმა დაფარა მას მერე, რაც გრენლანდიაც დადნა და ანტარქტიდაც... ნიუ-იორკი, ლონდონი, ამსტერდამი, სანქტ-პეტერბურგი, მრავალი დიდი თუ მცირე ქალაქი ზღვამ შთანთქა. ზოგიერთი ქვეყანა საერთოდაც გაქრა, მაგალითად, ბანგლადეში...

ასევე არ გაამართლა მოლოდინმა, რომ კოსმოსში გადახვეწილ ადამიანს სენტიმენტალური გრძნობები წასძლევდა და სიცოცხლეში ერთხელ თუ არა, სიკვდილის მერე მაინც ესტუმრებოდა მშობლიურ პლანეტას... ანუ ანდერძად დაიბარებდა...– გარდაცვალების შემდეგ ჩემი ნეშტი (თუ ფერფლი) წინაპრების მიწას მიაბარეთო (თუ მიმოაბნიეთო)... გრავიტრონული ეპოქის ადამიანი სენტიმენტებს თურმე მაინცდამაინც არ სწყალობს – „ველური დასავლეთის" დამპყრობთა მსგავსად, პრაგმატულ-პრაქტიკული, მიზანსწრაფული გამოდგა, ვინც წინ მიდის და უკან არ იყურება... ასე რომ, დედამიწა პანკოსმოსურ პანთეონად ვერ იქცა.

მმ, ეს „ველური დასავლეთი“ რამ გამახსენა? საერთოდაც, საიდან ვიცი მის შესახებ?.. მე ხომ ქრონოსკოპისტი ვარ. ანუ ქრონოპილოტი... წარსულში ფრენა ჩემი საქმეა, ჩემი პროფესიაა... და მოწოდებაც!.. სად არ ვყოფილვარ, რა აღარ მინახავს!..

ალბათ, გაინტერესებთ, რატომ გიყვებით ამ ყველაფერს, რატომ ვაკეთებ ამ ჩანაწერებს? და რატომ ვაქვეყნებ სპეისნეტში? თუკი ვიცი, რომ არავინ (ან თითქმის არავინ) წაიკითახვს?... მოწყენილობისგან? თავის გართობის მიზნით?.. ალბათ, ეგეცაა, მაგრამ არა მხოლოდ... მამას ვეძებ... მამაჩემი მწერალი იყო. კარგი მწერალი... მართალია, ცოტა ძველმოდური – ინტერლინგვაზე წერდა სიტყვით და არა ვიზუალური ფსიქოგრამებით, პირდაპირ გონებაში რომ პროეცირდება... წარსულში დაფრინავდა, მასალას აგროვებდა ისტორიული რომანებისთვის... ერთხელაც გაფრინდა ბუფალო ბილის შოუს სანახავად და აღარ დაბრუნდა. გაქრა, დაიკარგა. ქრონოპლანთან და ქრონოპილოტთან ერთად...

ქრონოსკოპი ანუ ქრონოპლანი პატარა აპარატია, ორადგილიანი – პილოტი და მგზავრი ეტევიან მხოლოდ – ფორმით და ზომით XX საუკუნეში გავრცელებულ ატრაქციონის მანქანებს მიაგავს, ერთმანეთს განზრახ რომ აჯახებდნენ გართობის მოსურნე ადამიანები და ამით ხალისობდნენ (ისე, რა იყო ამაში სახალისო? – ბრიყვები!). ოღონდ ქრონოსკოპი გარედან მთლიანად დაფარულია გამჭვირვალე, კვაზიენერგეტიკული ველით (ნამდვილი ენერგეტიკული ველით წარსულში გადაადგილება კატაკლიზმს – ანიჰილაციას გამოიწვევდა)... ქრონოპლანს შეუძლია, გააღწიოს დროსა და სივრცეში, მისთვის არაფერია შემაკავებელი, არც ტიტანის კედელი, არც რკინაბეტონის ბუნკერი, არც წყალი და არც ცეცხლი, – წარსულში მოგზაურობისას, დროში ცურვისას (ანუ პლანირებისას) პილოტი და მგზავრი ეფემერულ, არამატერიალურ, ვირტუალურ მგომარეობაში არიან. ხედავენ ყველაფერს, მაგრამ თავად უხილავნი რჩებიან... ამიტომაც დროის პარადოქსის გაჩენის შანსი პრაქტიკულად არ არსებობს – წარსულში არაფერი იცვლება, შენ მხოლოდ ხედავ მას ქრონოსკოპის მეშვეობით... ისეთი შეგრძნება *გაქვს, რომ სტერეოკინოს უყურებ, არა, არათუ უყურებ, არამედ მის შუაგულში ხარ მოქცეული, იქ ხარ, მოვლენის შიგნით,* ყველა წვრილმანს ხედავ, ბონაპარტის სუნთქვაც გესმის და კლეოპატრას გულისცემაც... მოკლედ, ქრონოპლანით შეგიძლია იფრინო ნებისმიერ ეპოქაში, მოხვდე ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ სიმაღლეზე, გაჩერდე ჰაერში და დროში რამდენიც გსურს... დააკვირდე, გადაიღიო, შეისწავლო... ოღონდ, დედამიწის წარსულში სამოგზაუროდ დედამიწაზე უნდა ჩამოხვიდე...

ქრონოსკოპის მართვა სულაც არაა ისეთი ადვილი, როგორც ატრაქციონის სათამაშო მანქანისა, ბავშვიც რომ ახერხებდა. რადგან აღმოჩნდა, – დრო სულაც არაა მოვლენების სწორხაზოვანი, მიზანმიმართული ნაკადი, წარსულიდან მომავალში რომ მიედინება, არამედ მრავალგანზომილებიანი ქრონოპლაზმურ-გრავიტურბულენტური ველია, რომელიც ხანგამოშვებით უფრო ტორნადოს ან მორევს ჰგავს, ვიდრე მდორე მდინარეს. და სწორედ იმიტომ, რომ ამ ველს ჯერაც აუხსნელი და გაუგებარი გრიგალისებური „აღშფოთებანი“ ახასიათებს, დროში მოგზაურობა მთლად უსაფრთხო არაა... მართალია, გაუჩინარების შემთხვევები იშვიათია – XX საუკუნეში ავტომობილით მგზავრობა ანდა თვითმფრინავით ფრენა უფრო სარისკო იყო, ვიდრე ქრონოპლანით ცურვა დროში, – მაგრამ მაინც ხდება. რონოპილოტობას, ცოდნის გარდა, ნიჭიც უნდა: საგანგებო ინტუიცია, დროის ალღო... ამიტომაც დავწერე, რომ ეს ჩემი მოწოდებაა... სხვათა შორის, ქრონოპილოტების მსოფლიო რეიტინგში მეშვიდე პოზიციზე ვარ, პირველ ათეულში კი, ყველაზე ახალგაზრდა, 25 წლის. ერთი სიტყვით, ტემპორონავტიკა მხოლოდ მეცნიერება ან სპორტი კი არ არის, არამედ, ხელოვნებაცაა.

თუმცა, არსებობს საფუძვლიანი იმედი, რომ დროში ჩაკარგული ადამიანები არ დალუპულან და, ადრე თუ გვიან, ჩვენს რეალობას დაუბრუნდებიან. ამიტომაც ვეძებ მამას, და *მჯერა, ერთხელაც ვიპოვი,* გადავარჩენ... რატომღაც მგონია, რომ ჩემი ეს ჩანაწერები ამაში დამეხმარება... მამა როგორღაც იგრძნობს და წაიკითავს მათ პარალელურ დრო-სივრცეში – ჩემი ტექსტის ენერგეტიკა მიიზიდავს მას, დაეხმარება უხილავი ქრონოტრონული კედელი გაარღვიოს...

ერთი სიტყვით, ამიტომ ავირჩიე ქრონოსკოპისტობა, არ დავტოვე დედამიწა, გავხდი ქრონოპილოტი... 9 წლის ვიყავი, როდესაც მამა გაქრა... დედამ გამზარდა, წყალქვეშა არქეოლოგიურ კვლევით ცენტრში მუშაობდა, დაივერ-პრეპარატორად... შარშან გარდაიცვალა, გულმა უმტყუნა ალექსანდრიის გათხრებისას, ზღვის ფსკერზე...

ამბავი, რომელსაც გიყვებით, წელს მოხდა. ოფისში ვზივარ, ჩანაწერებს ვასწორებ და ვხედავ, *შემოდის ჭაღარა, დიდცხვირა კაცი – ხმალი, მაღალი, წვერებიან-სათვალიან-ხელჯოხი-*ანი... არც წვერს ატარებს ახლა ვინმე და არც სათვალეს. ხელჯოხიანი კი მართლა პირველად ვნახე XXIII საუკუნეში... მკაცრი, მუქი ნაცრისფერი, ძველმოდური კოსტიუმი (შარვალ-პიჯაკი) აცვია, ოღონდ, პერანგის ნაცვლად – მაღალყელიანი სვიტერი. მოკლედ, ცოტა არ იყოს, გაოცებული შევყურებ.

„დაბრძანდით, სერ,“ თავზიანად გავიფიქრე, შემოვიდა თუ არა. არადა, არ ჯდება. ვუყურებ, შტერივით ვუღიმი და უცებ ვამჩნევ, რომ თავზე – ჯვარედინად კეფასა და შუბლზე – უთხელესი ფერომაგნიტური სალტეები აქვს. „ტელეპატიური სიგნალის ბლოკატორი უკეთია!“ უცებ გამიელვა. გაოცებისგან კინაღამ პირიც კი დავაღე.



– შეიძლება, დავჯდე? – ცოტა არ იყოს, უკმეხად მეკითხება ძველისძველ ინტერლინგვაზე.

– დიახ, სერ, დაბრძანდით... – ინტერლინგვაზევე ვპასუხობ („წელს სიტყვა ხმამაღლა მგონი პირველად ვთქვი", – გამიელვა). გავულიმე და გავაგრძელე, – სერ, მე თავიდანვე შემოგთავაზეთ, დაბრძანდით-მეთქი, მაგრამ თურმე ბლოკატორი გქონიათ...

– დიახ, მაქვს! და არავის მივცემ უფლებას, თავში შემიძვრეს! ეგღა მაკლია! – მოხუცმა ისეთი გაგულისებით წამოიძახა, რომ მივხვდი, უთუოდ შერეკილების თემიდანაა. ოთხი ასეთი თემი ვიცი: ლხასაში, სენ-გოტარდზე, შენაქოსა და მაჩუ-პიკჩუში. თუმცა, მგონი, კიდევ უნდა იყოს... ზოგიერთი შერეკილი სულაც განმარტოებით ცხოვრობს, – აქა-იქ შემორჩენილ ტყეღრესა თუ გამოქვაბულში.

მოხუცი მოცელილივით ჩაეშვა ჰაეროვან გრავისავარძელში, ხელჯოხს სახელური წრიული მოძრაობით მოხსნა, პირთან მიიტანა, მოიყუდა და გადაჰკრა. ეს ყველაფერი ელვისებური სისწრაფით გააკეთა.

– ვისკი! – გამოაცხადა კაცმა, – ნამდვილი შოტლანდიური! მაგრამ თქვენ ამის ფასი რა იცით, ყმაწვილო!

– რატომ, სერ, შოტლანდიაში ნამყოფი ვარ რამდენჯერმე...

– მართლაა? – თითქოს გაუკვირდა კაცს, – აა, თქვენ ხომ ქრონოპილოტი ხართ... კარგი, კარგი, ახლა ამის დრო არ არის. საქმეზე გადავიდეთ!

– დიახ, სერ, გისმენთ,

– ბირმა. 1936.

– უკაცრავად?

– გადამაფრინეთ ბირმაში, 1936 წელში უნდა მოვხვდე! აუცილებლად!

– ბირმაში?

– ქვეყანა იყო ინდოეთის აღმოსავლეთით. მერე მნიანმა დაარქვეს... არ გაგიგიათ?

– არა.

– მოკლედ, გადამაფრინეთ! ას კრედიტს ახლავე ჩაგირიცხავთ ანგარიშზე. მეტი ხომ არ ღირს?

– არა, მეტი არ დაჯდება, მაგრამ დროში მოგზაურობის ნებართვა გაქვთ, სერ?

– ჰმ! – თვალები გაკვესა, ისე შემომხედა, ცოტაც და... დავიფერფლებოდი.

– სერ, ტურისტის ლიცენზია გაქვთ თუ მეცნიერის?

– ყმაწვილო, აბა, შემომხედეთ, ვგავარ მე ვიღაც ვიგინდარა ტურისტს?!

ნამდვილად არ ჰგავდა... რაც გულწრფელად დავუდასტურე კიდეც.

– ქრონონატურფილოსოფოსი ვარ! – ამაყად გამოცახდა, – ყოველი დროის, ყოველი ეპოქის ფილოსოფიური ესენციის დისტილაციაზე ვმუშაობ!

– დიდი ბოდიში? – თავაზიანად გავულიმე, – ამიხსენით, თუ შეიძლება...

– აგიხსნათ? ჯერ ჩემი შრომები წაიკითხეთ, ყმაწვილო, და თუ გაიგებთ, მერე ვისაუბროთ, – ჯიბიდან კრიპტოკრისტალი ამოიღო და მაგიდაზე მეფური ჟესტით დამიგდო, თითქოს უძვირფასეს ალმასს მჩუქნიდა თუ ბრილიანტს, – აი, აქაა ჩემი ნაშრომების სრული კრებული, ოცდაშვიდტომეული!

– სერ, – ფრთხილად ვეუბნები, – იქნებ ერთი მთავარი ნაშრომი დამისახელოთ, სადაც...

– არავითარ შემთხვევაში! – გამაწყვეტინა, – უნდა წაიკითხოთ ყველაფერი მიყოლებით, თავიდან ბოლომდე! წანააღმდეგ შემთხვევაში, მსჯელობის ძაფი გაწყდება და ლოგიკურ დასკვნებს ვერ გამოიტანთ!

– გიპნოგოგს წავაკითხებ ძილში, – დავპირდი და კრიპტოკრისტალი უჯრაში შევინახე.

– არავითარ შემთხვევაში! ძილში და სიზმარში ათვისებულის მე არ მჯერა! თქვენ თვითონ უნდა წაიკითხოთ, ყმაწვილო, ფხი-ზელ-მა! რომ მართლა გაიგოთ, მექანიკურად კი არ დაიმახსოვროთ!

„ეს რა ახირებული ვინმეა" – გამიელვა. გადავწყვიტე, საუბრის თემა შემეცვალა. ვეკითხები:

– სერ, თქვენი სახელი?

– ჰერკულეს ლაიონელლი.

კინაღამ გამეცინა.

– ძალიან სასიამოვნოა, სერ ჰერკულეს. მე ნიკ ნიკოლსონი ვარ.

– ვიცი, როგორმე! – უკმეხად მომიგდო, – ბრმა კი არა ვარ! – და თავი კედლისკენ გაიქნია, სადაც ქრონოპილოტის გოლოგრაფიული დიპლომი თითქოსდა ჰაერში ლივლივებდა.

– სერ ჰერკულეს, რა მიზანი აქვს თქვენს მოგზაურობას? რა უნდა მოძებნოთ?

– რა კი არა, ვინ!

– კი ბატონო, იყოს ვინ. ბირმელია?

– არა, ინგლისელი. ჯორჯ ორუელი გაგიგიათ?

– არა.

– ყმაწვილო, ეს უკვე მეტისმეტია!

– რატომ, სერ?

– იმიტომ, რომ ჯორჯ ორუელმა იხსნა ცივილიზაცია! თქვენ კი არც გაგიგიათ! სირცხვილი თქვენ! რას გასწავლიან კოსმოპილოტების აკადემიაში?

– და როგორ იხსნა, სერ?

– ოო, როგორ იხსნა! ეს მთელი პოემაა! ეს ჩემი ახალი თეორიაა! მე ვამტკიცებ, რომ ყოველ ისტორიულ ეპოქას ჰყავს თავისი უხილავი, მენტალური მხსნელი! ის, რომ ჩვენ დღეს ტოტალიტარულ საზოგადოებაში არ ვცხოვრობთ, ორუელის დამსახურებაა. ამიტომ ვიკვლევ მის ცხოვრებას, ვაპირებ, საკ-

კანონ მომენტები მოვიხელთო და გამოვწურო!

– გამოწუროთ?

– დიახ! გამოვწურო! ესენციის დასამზადებლად!

„ეს ჩვენი ჰერკულესი მთლად სრულ ჭკუაზეა, ნეტა?“ – გამიელვა.

– დროს ვკარგავთ, ყმაწვილო! – დამოაცხადა მოხუცმა, – დღესვე უნდა გავფრინდეთ!

– სერ, იცით, ზუსტი თარიღი? დრო-სივრცის კონკრეტული კოორდინატები? თუ თქვენთვის სულერთია, 1936 წლის რომელ თვესა და რომელ დღეს ჩავალთ ბირმაში?

– როგორაა სულერთი! მე ის დღე მჭირდება, როდესაც ორუელმა სპილო მოკლა!

– სპილო მოკლა? – დავფიქრდი, – სპილოსმკვლელმა ცივილიზაცია როგორ იხსნა? ერთობ არაცივილიზებული საქციელია...

– საქმეც ეგაა! – ჩაიცინა ჰერკულესმა, – ეგ მომენტი გარდამტეხი იყო მის ცხოვრებაში, მეტაფიზიკურად გადამწყვეტი! ამ შოკის შედეგად აეხილა თვალი, გაუნათდა გონება, იმ კაცად ჩამოყალიბდა, ვინც შემდგომ კაცობრიობა ტოტალიტარიზმის კოშმარისგან იხსნა. აცრა ჩაუტარა, მენტალური აცრა!

– სერ, დიდი ბოდიში, მაგრამ საიდან იცით სპილოს მკვლელობის შესახებ?

– საიდან? აღწერა თვითონ და იქიდან! – მომიგდო და ჯიბიდან რაღაც მართუკთა საგანი ამოიღო, გადაფურცლა.

„ბლოკნოტი! ქაღალდის ბლოკნოტი“ – გამიელვა და კინაღამ ისევ გამეცინა. XXIII საუკუნეში ქაღალდის ბლოკნოტს მუზეუმში თუ ნახავ.

– თუმცა, ზეპირად ვიცი ტექსტი! ეს არცა მჭირდება! – გამოცხადა მოხუცმა, – პატარა ესეა, ექვსგვერდიანი.

– და რა წერია მაგ ესეში?

– ოო, ეს მომწონს, – მოულოდნელად გამიღიმა სერ ჰერკულესმა, – ინტერესიანი ყმაწვილი ყოფილხართ! ესე იგი, ჯერ კიდევ

არის იმედი!

– რისი იმედი, სერ?

– ეს უნდა აღინიშნოს! – მოხუცმა კითხვაზე არ მიპასუხა, ხელჯოხს სახელური მოხსნა, მოიყუდა, გადაჰკრა, ისევ გაუკეთა და განაგრძო, – ჯორჯ ორუელი პოლიციელად მსახურობდა ბირმაში... ბირმა მაშინ ბრიტანეთის კოლონია იყო. ბრიტანეთის იმპერია გაგიგიათ?

– დიახ სერ, როგორ არა, დედოფალ ვიქტ.....

– ეგ არაა საინტერესო! – გამაწყვეტინა

მოხუცმა, – მოკლედ, პატარა ქალაქ მოულმეინში (ეს ქვედა ბირმაა) ორუელი ბევრს ეჯავრებოდა, ცხოვრებაში ერთადერთხელ ვიყავიო იმდენად მნიშვნელოვანი პერსონა, რომ ეს შესაძლებელი გახდა, როგორც თავად წერს. (რა გახდა შესაძლებელი?) ბირმაში, იმ პატარა ქალაქში, ევროპელები ძლიერ სძულდათ, თუმცა, ეს დამოკიდებულება, თანაც, რაღაცნაირად წვრილმანი იყო...

– წვრილმანი? – ვერ გავიგე.

– დიახ. ამბოხებას ვერავინ ბედავდა, მაგრამ თუკი, ვთქვათ, ევროპელი ქალი ბაზარში გაივლიდა, კაბაზე ჩუმად დააფურთხებდნენ ბეტელს... ეს ერთგვარი მცენარეა, რომელსაც იქაურები მუდმივად ღეჭავდნენ...

– რა საზიზღრობაა, – ჩავილაპარაკე.

– ორუელი პოლიციის ოფიცერი იყო და აბორიგენები მას ყველა შემთხვევაში დასცინოდნენ, როდესაც ეს მათთვის უსაფრთხო ჩანდა...

– პოლიციელის არ ეშინოდათ? – გამიკვირდა, – და რა შემთხვევები იყო ეგეთი?

– ვთქვათ, ფეხბურთის თამაშისას, – ამიხსნა მოხუცმა, – წააქცევდნენ ორუელს და იცინოდნენ, მსაჯი კი ამ დროს, ასევე ბირმელი, სხვაგან იყურებოდა, ვითომცდა ვერაფერი დაინახა. ეს ხშირად ხდებოდა: დაცინვა, ლანძღვა, გინება, ოღონდ უსაფრთხო დისტანციიდან. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენო ახალგაზრდა ბუდისტი ბერები, რომლებიც რამდენიმე ათასი იყვნენ ქალაქში. მთელი დღეები იდგნენ გზაჯვარედინზე და ევროპელებს დასცინოდნენ.

– ბუდისტი ბერები? – ისევ გამიკვირდა, – ბუდისტ ბერებზე სხვა წარმოდგენა მქონდა... მეგონა, ამქვეყნიური არაფერი აინტერესებდათ...

– ჰმ, – ჩაიცინა ჰერკულესმა და განაგრძო, – წარმოიდგინეთ ორუელის მდგომარეობა, ერთი მხრივ, იგი მიხვდა, რომ იმპერიალიზმი ბოროტებაა, გულის სიღრმეში, თეორიულად, ფარულად, ბირმელების მხარეზე იყო, მაგრამ, იმავე დროს, ბრიტანეთის იმპერიას ემსახურებოდა და იქაურები ისე აღიზიანებდნენ, რომ მზად იყო ხიშტი მუცელში ჩაეცა ღიპიანი ბირმელისთვის, მასხრად რომ იგდებდა...

– ეს უწერია?

– დიახ, მე არაფერს ვიგონებ, ყმაწვილო! თითოეული სიტყვის სიზუსტეზე ვაგებ პასუხს! - მკაცრად, მაგრამ თან ოდნავ თეატრალურად, გამომიცხადა მოხუცმა და გააგრძელა, - მაშინ ორუელი ახალგაზრდა იყო, ნაკლებად განათლებული, როგორც თვითონვე აღიარებს, და შინაგანად გაორებული, ვერ იტანდა იმპერიას, ხვდებოდა, რომ ბოროტებაა, მაგრამ, ამავე დროს, ვერ იტანდა ბირმელებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ, საკუთარი მოვალეობები კეთილსინდისიერად შეესრულებინა, წესრიგი დაეცვა. იმასაც კი ვერ აცნობიერებდა, რომ ბრიტანეთის იმპერიას მალე მოეღება ბოლო. ეგონა, რომ British raj (ბრიტანეთის კოლონიური მმართველობა) მარადიულია. მაგრამ ერთხელ მოხდა შემთხვევა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო შემთხვევა, რომელმაც, როგორც თვითონ წერს, ირიბად ხელი შეუწყო მის გათვიცნობიერებას, იმპერიალიზმის ჭეშმარიტი არსის შეცნობას, იმ მოტივების შეცნობას, რაც დესპოტურ სელისუფლებას ამოძრავებს...

– რა შემთხვევა, სპილოს მკვლელობა?

– დიახ, ყმაწვილო! – მოხუცმა ალმაცერად გაიღიმა, კმაყოფილმა დამიქნია თავი, – ერთხელ, დილით, ორუელს დაურეკა პოლიციის ინსპექტორმა და უთხრა, რომ სპილო არბევს ბაზარს...

– ველური სპილო?

– არა, შინაური, მაგრამ ემართებათ ხოლმე.

– რა?

– შინაურ სპილოს აქვს პერიოდი, როდესაც აგრესიული ხდება, თითქოს გაცოფდაო. მაგ დროს ჯაჭვებით აბამენ ხოლმე. ჰოდა, თურმე ერთმა ეგეთმა სპილომ აიწყვიტა და გაიქცა. „მაჰაუტი“ (სპილოს მომთვინიერებელი) გაეკიდა, მაგრამ კვალი არასწორად აიღო და საწინააღმდეგო მხარეს წავიდა. ამ დროს სპილო თურმე ქალაქში მობრუნდა, მოკლა ძროხა, გასრისა ქოხი, შევარდა ბაზარში, მილეწ-მოლეწა დახლები და გასაყიდად გამოტანილ ხილს მუსრი გაავლო. ხალხი, ცხადია, გაიქცა... ორუელი ცხენს მოახტა და ბაზრისკენ გააჭენა.

– თოფი წაიღო?

– დიახ, ოღონდ ჰქონდა 44 კალიბრის ძველი „ვინჩესტერი“, რომლითაც სპილოს ვერ მოკლავდა.

– და, აბა, რად უნდოდა?

– დასაშინებლად. იფიქრა, რომ ჰაერში გაისროდა და სპილო დაფრთხებოდა, გაიქცეოდა. მაგრამ როდესაც ბაზარს მიაღწია, აღმოჩნდა, რომ სპილოს მოეკლა ადამიანი, ინდოელი კული (მუშა). თურმე უეცრად თავს დაესხა ზურგიდან, ხორთუმი მოხვია და ფეხი დააბიჯა, ტალახიან მიწაში ჩასრისა...

– სპილო უწყინარი არსება მეგონა...

– არის კიდევაც, – ჩაიცინა ჰერკულესმა, – სპილო სპილოა, მაგრამ თუ გაცხარდა, ცხარეა...

– ეგ ანდაზა მამაჩემისგან მახსოვს, – ჩავილაპარაკე, – ოღონდ იქ ცხვარზე იყო ლაპარაკი...

– ჯორჯიან? – უცებ მეკითხება მოხუცი.

– სერ?

– წარმოშობით ჯორჯიიდან ხომ არ იყვნენ თქვენი წინაპრები, ყმაწვილო? – სერიოზული გამომეტყველებით მეკითხება ჰერკულესი. – კავკასიის „ჯორჯიიდან“?

– დიახ, სერ. მამა მეუბნებოდა მაგას, მახსოვს...

– ენაც ხომ არ გასწავლათ?

– არა, სერ. ენა არ ვიცი.

– მე კი მახსოვს, – ალმაცერად ჩაიცინა, – მაგრამ თითქმის

აღარავინაა, ვისაც „ტკბილქართულად“ დაველაპარაკებოდი...

– „ნეუ-ჯორჯიაზე“ შეგიძლიათ გადასახლდეთ, – ვეუბნები, – თავის დროზე მამამ მითხრა, ძალიან ლამაზი პლანეტააო.....

– არა, მე აქედან წამსვლელი არა ვარ... – ხელი ჩაიქნია მოხუცმა, კიდევ ერთხელ მოხსნა სახელური ხელჯოხს და სულმოუთქმელად დაეწაფა. განაგრძო, – ნოსტალგია და ეგეთი სენტიმენტები არ მაწუხებს. მე ფილოსოფოსი ვარ!

– და მერე რა მოხდა, სერ?

– მერე ორუელმა გააგზავნა მსახური, რომ ნამდვილი სანადირო, სპილოებზე სანადირო თოფი მოეტანა მისთვის. სპილო ამ დროს, როგორც უთხრეს, ბრინჯის ნათესებში გადასულიყო და მშვიდად ძოვდა...

– და რომ არ მოეკლა, არ შეიძლებოდა?

– თოფი, პირველ რიგში, თავდაცვისთვის სჭირდებოდა. სპილოს მოკვლა სულაც არ უნდოდა. მაგრამ გაცოფებული სპილო საშიშია. შეტევაზე თუ გადმოვა, ვეღარც გაექცევი. მოკლედ, მოუტანეს თოფი და ხუთი ტყვია.

– რატომ, ხუთი?

– არ ვიცი. ასე წერს. ამ დროს მის ზურგსუკან ბირმელების ბრბო შეგროვდა. სულ ცოტა, ორიათასი კაცი მაინც იქნებოდაო. ყვიროდნენ, ხელებს იქნევდნენ, საოცრად აღგზნებულები იყვნენ. ეს მათთვის უფასო სანახაობა იყო. „საჰიბმა“ (ეს მათ ენაზე ევროპელ ბატონს ნიშნავს) სპილო უნდა მოკლას! თანაც, უფასო ხორცის, სპილოს ხორცის დათრევის იმედიც ჰქონდათ. მხარზე თოფით ორუელი გაემართა იქით, სადაც სპილო უნდა ყოფილიყო, ბრბო უკან მოჰყვებოდა. თავს იდიოტად ვგრძნობდიო, იხსენებს ორუელი. ხრეშიან გზაზე მიდიოდა, გარშემო წყლით დატბორილი ბრინჯის ველები იყო. ბირმელები ისე ახლოს მიჰყვებოდნენ, ლამისაა, კეფაში ასუნთქებდნენ. იარა, იარა და გზის პირას დაინახა სპილო, რომელიც მშვიდად იდგა და ბალახს ჭამდა. დაინახა და სრულიად ცხადად გააცნობიერა, რომ სპილო არ უნდა მოკლას.

– და მაშინ, რატომ მოკლა? – გავაწყვეტინე.

– სწორედ ეგაა საქმე! – ხელჯოხი შემართა ჰერკულესმა, – მომისმინეთ, ყმაწვილო, და გაიგებთ!

– უკაცრავად, სერ,

– დიახ. მიხვდა, არ უნდა ესროლოს. უნდა დაელოდოს იმ სპილოს „მაჰოუტს“, რომელიც ადრე თუ გვიან მოვიდოდა და სპილოს მოარჯულებდა (მხოლოდ მას დაემორჩილებოდა). თუმცა, სპილო უკვე თავისით მშვიდდებოდა. აღგზნებამ თითქმის გადაურა. აგრესიულობის პერიოდი დასასრულს უახლოვდებოდა....ორუელი წერს, სპილო, რომელიც ბალახს ძოვდა, ძროხასავით უვნებელი ჩანდაო. ორუელმა გადაწყვიტა, იქ დარჩება, დაელოდება „მაჰაუტს“. შეხედავს, ხომ არ გაცოფდება სპილო ისევ...

– გაცოფდა?

– ნუ მაწყვეტინებთ, ყმაწვილო! არა, არ გაცოფებულა, მაგრამ იმ მომენტში, როდესაც ეს გადაწყვიტა, ორუელმა უკან მიიხედა და ბრბო დაინახა. იმდენნი იყვნენ, გზა მთლიანად ჩაეხერგათ – ტევა არ იყო. ორუელი უყურებდა ყვითელი სახეების ზღვას – აღგზნებულ, ბედნიერ სახეებს, – დარწმუნებული იყვნენ, რომ „საჰიბი“ სპილოს მოკლავს და სიამოვნების მოლოდინში წინასწარ ილოკავდნენ ტუჩებს. ისე უყურებდნენ, როგორც ილუზიონისტს, რომელმაც საოცარი ფოკუსი უნდა აჩვენოს. მათ ორუელი სძულდათ, მაგრამ თოფიც ხელში მათი ყურადღების ღირსი გახდა. და უცებ ორუელმა გააცნობიერა, რომ სპილო უნდა მოკლას. მოუწევს!

– რატომ? ხომ არ უნდოდა მოკვლა? ხომ მშვიდად იყო სპილო? არ გაცოფებულა?

– საქმეც ისაა, რომ იქაურები ელოდნენ, მოკლავს და ამიტომ უნდა მოეკლა, ვალდებული იყო, მოეკლა. ორი ათასი ყვითელკანიანის ნება უბიძგებდა, აიძულებდა, გაესროლა. და სწორედ იმ მომენტში გააცნობიერა ორუელმა აღმოსავლეთში თეთრკანიანი ადამიანის ბატონობის მთელი ამაოება და უაზრობა. ევროპელი დგას თოფით ხელში უარაღო აბორიგენების წინაშე – თითქოს იგია ამ დრამის მთავარი გმირი, მაგრამ, სინამდვილეში, მხოლოდ და მხოლოდ მარიონეტია, რომლის ნებას ყვითელკანიანთა ბრბო წარმართავს... და მაშინ მიხვდა, როდესაც თეთრკანიანი ადამიანი ხდება ტირანი, იგი საკუთარ თავისუფლებას სპობს და ანადგურებს... „საჰიბი“ მარიონეტის ფუტურო, პირობით ფიგურად იქცევა. რადგან მისი მმართველობის წინაპირობაა ისე ცხოვრება, რომ აბორიგენებზე მუდმივად შთბეჭდილებას ახდენდეს, და ყოველ კრიზისულ სიტუაციაში ისე იქცეოდეს, როგორც ამას მისგან ადგილობრივები ელიან. იგი ნიღაბს ატარებს და ნიღაბი მის სახედ იქცევა. ორუელი ვალდებული იყო, სპილო მოეკლა, რადგან თოფი მოატანინა. „საჰიბი“ ისე უნდა მოქმედებდეს, როგორც „საჰიბს“ შეჰფერის, უნდა იყოს მტკიცე და უდრეკი. მას მერე, რაც თოფით ხელში, ბრბოსთან ერთად გაიარა გზა, იპოვა სპილო, უკან დახევა აღარ შეეძლო. ეს სრულიად წარმოუდგენელი გახლდათ. ბრბო დასცინებდა, აბუჩად აიგდებდა. არადა, მთელი მისი ცხოვრება, ყოველი თეთრკანიანის ცხოვრება გამუდმებული ბრძოლა იყო იმისთვის, დასაცინი რომ არ გახდარიყო...

– და მხოლოდ მაგიტომ მოკლა? – ეჭვით ვიკითხე.

– დიახ. სხვა გზა არ ჰქონდა. იძულებული გახდა. გადატენა თოფი (გერმანული წარმოების, ოპტიკურსამიზნიანი, ჩინებული თოფი ჰქონდა), დაუმიზნა და ესროლა. ბრბის ბედნიერი შეძახილი აღმოხდა, როგორც იქნა, ელირსათ სანახაობა!

– რა მარაზმია! – ჩავიბურტყუნე.

– „მარაზმი“? საიდან იცით ეგ სიტყვა,

ყმანვილო? აღარავინ ხმარობს..... – მოხუცმა ინტერესით გამომხედა.

– მამაჩემი ხმარობდა... ჩამრჩა...

– მწერალი იყოო, თქვით, მგონი? მოვძებნი სპეისნეტში მის რომანებს... რა ერქვა?

– ნიკ ნიკოლსონ-უფროსი... თუმცა ზოგჯერ ასეც ანერდა: „ნიკა ნიკოლაძე“.

– ოკ. დავიმახსოვრებ. როდის გავფრინდებით?

– ალბათ, ხვალ. დღეს არ გამოვა, XX საუკუნის 30-40-იანი წლებს ქრონოტაიფუნმა გადაურა. ეს, რასაკვირველია, პირობითი გამოთქმაა, უბრალოდ, ადამიანს რომ მივახვედროთ, რაზეა ლაპარაკი, ამიტომ ვამბობთ ასე... მაგრამ ხვალ, წესით, უკვე უნდა გამოიდროვოს... პროგნოზს თუ დავუჯერებთ... ...

იმ საღამოს ორუელზე სრული და ამომწურავი ინფორმაცია მოვძებნე სპეისნეტში, ეგ ესეც წავიკითხე – „Shooting an Elephant“ – მერე კი ძილში, გიპნოგოგის მეშვეობით, „ცხოველთა ფერმა“ და „1984“ შევითვისე.

მეორე დღეს მართლაც გამოიდროვა. ბატონი ჰერკულესი ზუტად 12 საათზე მობრძანდა. ამჯერად ხაკისფერი, მრავლობითჯიბიანი, მრავლობითელვაშესაკრავიანი კომბინეზონი ეცვა, ზურგზე მომცრო ჩანთა ეკიდა. მხარზე კი – ჰოლოგრაფიული კამერა. მივესალმეთ ერთმანეთს, ბოქსიდან ქრონოპლანი გამოვიყვანე, ჩავსხედით. ღილაკს დავაჭირე, კვაზიენერგოველი აკაკსადა და უცებ დაბნელდა... წარსულში გავფრინდით...

ციფრები დისპლეიზე წარმოუდგენელი სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს. ათვლა, ბუნებრივია, 2215 წლიდან დაიწყო და დროში უკან წავიდა... სიბნელე ხანგამოშვებით საოცრად ხასხასა და კაშკაშა, თვალისმომჭრელი ფერადი ზოლებით იცვლებოდა, თითქოს უცხო სამყაროს ფერების უსასრულო, მაგრამ თანაც ნაფლეთ-ნაფლეთი, წყვეტილი სპექტრიაო, – ფერების, რომელთაც ადამიანთა ენაზე სახელი არ გააჩნიათ..... მეოცე საუკუნის 60-იან წლებს როცა მივუახლოვდით, სიჩქარეს ვუკელი, ფერადი ზოლებიც უფრო დიდხანს იდგა ჩვენ თვალწინ, უფრო ნელა იცვლებოდა... მივადექით 1936 წელს.

– თვე მითხარით, – ვეუბნები ჰერკულესს. მანამდე სრულ სიჩუმეში მივფრინავდით.

– სექტემბერი. – მოკლედ მომიგო.

– რიცხვი?

– ზუტად არ ვიცი, ჩემი ვარაუდით, თვის ბოლო დეკადა უნდა იყოს. ...

დიდხანს ვეწვალე, მაგრამ, ბოლოს და



ბოლოს მივაგენი ქვედა ბირმასაც, ქალაქ მოულმეინსაც და იმ დღესაც. სხვათა შორის, 5 ოქტომბერი აღმოჩნდა....

ორუელი, ცოტა არ იყოს, სევდიანი თუ მელანქოლიური გამომეტყველების მქონე მაღალი, გამხდარი, წაგრძელებულსახიანი კაცი აღმოჩნდა. ყველაფერი ზუსტად ისე ხდებოდა, როგორც სერ ჰერკულესმა მომიყვა და როგორც ესეში ეწერა... და, აი, მივადექით გადამწყვეტ მომენტს. ორუელმა თოფი მხარზე მიიდო, დაუმიზნა....ვეება სპილო გვერდულად იდგა, ბალახს ბღუჯობით წყვეტდა ხორთუმით, მუხლზე იბერტყავდა, მიწისგან რომ გაეწმინდა, და ხახაში უშვებდა. დროდადრო ყურებს აპარტყუნებდა. სრულიად მშვიდი იყო, უწყინარი, არავის და არაფერს აქცევდა ყურადღებას, სერიოზული საქმით იყო დაკავებული. პაუზა წარმოუდგენლად გაიწელა. ბირმელებსაც და ჩვენც სუნთქვა შეგვეკრა. აი, ახლა იქუხებს, აი, ახლა... და უცებ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა – ბრბო ყვირილით გაარღვია ვიღაც გრძელჯოხიანმა, გამხდარმა კაცმა და ორუელს გადაუდგა, თოფის ლულა მკერდზე მიებჯინა.

ორუელმა თავი სასწაულად შეიკავა, სასხლეტს რომ არ გამოჰკრა. წამის მეასედიღა რჩებოდა... თოფი მოწყვეტით დაუშვა და გაგულისებით შეჰყვირა ინგლისურად: „გაგიუდი?! რას აკეთებ?! ვინ ხარ?!“ კაცმა ლამისაა განწირული ხმით უპასუხა: „მაჰაუტი ვარ, მაჰაუტი!“ და სპილოსკენ გაიქცა. იმავე წამს ბრბომ უკმაყოფილოდ იღრიალა, ლანძღვა-გინება და სტვენა მორთო. სანახაობაც ჩაეშალა და მუქთა ხორცის დათრევის შანსიც დაეკარგა.

ღილაკს ხელი დავაჭირე, დრო გავაჩერე და ჰერკულესს მივუბრუნდი:

– სერ, ეს რას ნიშნავს?

მოხუცმა პირი დააღო. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. ნაპირზე ამოგდებული თევზივით უხმოდ ამოძრავებდა ყბებს. მერე თავი ენერგიულად გააქნია, ხელჯოხს დასწვდა, სახელური მოხსნა, ზორბა ყლუპი გააკეთა, ჩაისუნთქა, ამოისუნთა და მითხრა:

– არ ვიცი. იქნებ პარალელურ სამყაროში მოვხვდით?

– არა, სერ, ნამდვილად ჩვენს სამყაროში ვართ, ჩვენი დროსივრცის კონტინუუმში. – ვეუბნები ხისტად, – აი, შეხედეთ, ტემპორონავიგატორი ზუსტ კოორდინატებს აჩვენებს.

– მაშინ არ ვიცი, – ხელები უმწეოდ გაშალა.

ღილაკს დავაჭირე. დრო დაიძრა. ვუყურეთ, როგორ მისცა „მაჰაუტმა“ სპილოს რაღაც თეთრი – ალბათ, ნატეხი შაქარი, – როგორ უბრძანა რაღაც, როგორ დაიჩოქა მის წინ სპილომ, როგორ შეახტა მაჰაუტი და ქედზე მოაჯდა. სპილო ნელა წამოიმართა და ტაატ-ტაატით გაგვშორდა. ამასობაში ბრბოც დაიშალა, ორუელმა თოფი მსახურს გადასცა და გატრიალდა, წასვლა დააპირა.

დრო კიდევ ერთხელ გავაჩერე. უფრო ზუსტად, დროის კონკრეტულ მომენტში დავეკიდეთ უძრავად.

– ესე იგი, რა გამოდის, სერ, ორუელს სპილო არ მოუკლავს?

მოხუცმა არაფერი მიპასუხა. მხრები აიჩეჩა და რატომღაც შუბლზე მოისვა მარჯვენა. მერე კი მითხრა:

– არა, არ მჯერა, რომ გამოიგონა სპილოს მკვლელობა.

– რატომ არ გჯერათ? მწერალი იმის მწერალია, რომ რასაც უნდა, იმას გამოიგონებს.

– არა, ისე აქვს აღწერილი სპილოს აგონია, ამას ვერ გამოიგონებდა. ეს უნდა ენახა. სხვანაირად ვერ დაწერდა!

– სერ, თქვენ ადამიანის ფანტაზიას, ეტყობა, სათანადოდ ვერ აფასებთ.

– არა! არა და არა! – პატარა ჯიუტი ბავშვივით გააქნია თავი ჰერკულესმა. – არა, როგორმე უნდა დაველაპარაკოთ ორუელს. უნდა გავარკვიო!..

– როგორ უნდა დაელაპარაკოთ? ეს სასტიკადაა აკრძალული. წარსულში ჩარევა კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს... მაგრამ, რაც მთავარია, ეს ფიზიკურადაც შეუძლებელია.

– ფიზიკურად კი, მესმის, შეუძლებელია, – დაფიქრებით ჩაილაპარაკა მოხუცმა, – მაგრამ იქნებ ფსიქიკურადაა შესაძლებელი?

– კი, მაგრამ, სერ, თქვენ ხომ პრინციპულად წინააღმდეგი ხართ, ვინმე შემოუშვათ თქვენს გონებაში. ბლოკატორიც დაიყენეთ. ახლა კი ორუელის გონებაში გსურთ შეაღწიოთ?

– ეს... ეს მეცნიერებას სჭირდება!...ჩემს თეორიას ვერ ავაგებ, თუკი სიმართლე არ მეცოდინება! ესენციას ვერ გამოვადნობ! უნდა გავიგო, ნამდვილად მოხდა ეს, თუ არ მოხდა!

– და როგორ გაიგებთ?

– ხომ შეიძლება, ორუელის გონებაში შევაღწიოთ, როდესაც დაიძინებს? ჩავაგონოთ, რომ სიზმარშია, დაველაპარაკოთ! ეს ხომ შესაძლებელია თეორიულად? მე ეს სპეციალურად გავარკვიე. მონსეშანის მონოგრაფიაც კი წავიკითხე – „ტემპორალურ-ვირტუალური მოგზაურობის რეალური ასპექტები“.

ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა შეეხედე:

– სერ, მე მეგონა, თქვენ არაფერი იცოდით ტემპორონავიგატიკის შესახებ... ეგ ნაშრომი ჩვენი კლასიკაა... მაგრამ თუ ეგ წიგნი წაიკითხეთ, ეს უფრო ცხადი იქნება თქვენთვის, რომ მსგავსი რაღაცის გაკეთება სასტიკად აკძალულია!

– კანონები იმისთვის იწერება, ფილოსოფოსმა რომ დაარღვიოს!

– ეგ ვისი ბრძნული გამონათქვამია, სერ? პლატონის?

– პლატონიც კი არა, ჩემი! – ეწყინა მოხუცს, – ჩემი, ჰერკულეს ლაონელლის!

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, დავთანხმდი. თუმცა, ბოლოს და ბოლოს, რატომ დავთანხმდი, იმ ახირებული ფილოსოფოსისთვის არ გამიმხელია. საქმე ის იყო, რომ გამიელვა, შესაძლოა, ამ ექსპერიმენტის შედეგად პარალელური სამყაროების შესახებ ისეთი რაღაცა გავიგო-მეთქი, რაც მამაჩემის პოვნაში დამეხმარება...

მოკლედ, გავყევით წარსული დრო-სივრცის ზიგზაგურ, დაკლაკნილ, მრავალგანზომილებიან დინებას, ისევ ვიპოვეთ ორუელი და როდესაც დაიძინა, მიმართული, ფოკუსირებულ-კონცენტრირებული ტელეპატიური სიგნალი გავუგზავნე: "სერ, კითხვა მაქვს!"

ორუელის საძინებელში ბნელოდა, მაგრამ ღამის ხედვის აპარატში დავინახე, როგორ შეიმუშნა. თუმცა, არ გაღვიძებია. რამდენიმე ნამი ვაცალე და ფრთხილად გავიფიქრე, ოღონდ მის გონებაში. „სერ...ჯორჯ...“ „ვინ ხართ?!“ – შეშფოთდა, „მე თქვენი სიზმარი ვარ, მომავლიდან მოსული სიზმარი...“ პაუზა. (ამ დროს ჩვენი დიალოგი მონიტორზე იწერებოდა, ჰერკულესს რომ სცოდნოდა, რას ვამბობთ, უფრო სნორად კი, რას ვფიქრობთ). „და რა გნებავთ... მომავლიდან მოსულო სიზმარო?“ – თითქმის მშვიდად, აუღელვებლად, ინტერესით მეკითხება ორუელი. „სერ, თქვენ ხომ არ გინდოდათ სპილოს მოკვლა?“ პაუზა. „რა თქმა უნდა, არ მინდოდა, გულზე მომეშვა, როდესაც მაჰაუტი გამოჩნდა.“ მპასუხობს. „მსგავსი შემთხვევა სხვა დროს გქონიათ, სერ?“ „არა, რასაკვირველია, არა.“ „და მომავალში რომ განმეორდეს მსგავსი სიტუაცია, როგორ მოიქცევით, სერ?“

– ცოტა არ იყოს, სულელური კითხვა დაგვიკვეთ. „მომავალში მსგავსი სიტუაცია ვეღარ განმეორდება, რადგან დღეს გადავწყვიტე, პოლიციაში სამსახურს და ბირმას დავემშვიდობო, ლონდონში ვბრუნდები“. პაუზა. „სერ, თქვენ მე არ დამიჯერებთ, რადგან სიზმარი ვარ...“ – ფრთხილად დავიწყე. „და რა გქვიათ?“ – გამაწყვეტინა. „სიზმარა დამიძახეთ, „დრიიმი“...

- ვეუბნები გონებაში. „დემონი ხართ, დრიიმი?" - უმიშრად მეკითხება. „არა, სერ, ადამიანი ვარ, ოღონდ მომავლიდან მოსული, ოღონდ, სინამდვილეში, გესიზმრებით..." „ნუ ცრუობთ, დრიიმი... ეს სიზმარი არაა. ესე იგი, უელსის ოცნება ახდა? დროში მოგზაურობა შესაძლებელია?" „გარკვეულწილად, ეფემერულად, არამატერიალურად." პაუზა. „და რა გნებავთ ჩემგან, დრიიმი?" „სერ, თქვენ ძალიან ცნობილი მწერალი გახდებით და დაწერთ ესეს დღევანდელი შემთხვევის შესახებ, დაწერთ, რომ სპილო მოკალით". პაუზა. „მწერალი?.. ცნობილი მწერალი?... ჰმ... ცოტა უცნაურია ამის გაგება... თუმცა კი, სასიამოვნო... და რატომ დავწერ, რომ მოვკალი, როცა არ მომიკლავს?" „მეც ეგ მაინტერესებს, სერ!" „მე არ მინდოდა სპილოს მოკვლა, მადლობა ღმერთს, გადავრჩი ამას, მაჰაუტმა მომისწრო.„ პაუზა. „სერ, ერთი ფილოსოფოსია ჩემ გვერდით, ვერაფრით დაუჯერებია, რომ არ გინახავთ სპილოს აგონია, მისი მოკვლის სცენა უბრალოდ გამოიგონეთ... იქნებ სხვის მიერ მონადირებული სპილოს აგონია გაქვთ ნანახი?" „არა, მსგავსი არაფერი მინახავს... დრიიმი, შეგიძლიათ წამიკითხოთ, რას დავწერ სპილოს აგონიაზე?" „წაგიკითხოთ? მმ, რატომაც არა, სერ, ერთი წამით!" ესეს ტექსტი დისპლეიზე გავშალე, საჭირო ფრაგმენტი მოვძებნე და დავიწყე კითხვა, თანაც ორუელს ტელეპატიურად გადავცემდი:

„როდესაც ჩახმახს თითი გამოვკარი, გასროლის ხმა არ გამიგია და არც კონდახის უკუგება მიგგრძვნია, – ასე ხდება ყოველთვის, მიზანში როცა ახვედრებ, – მაგრამ გავიგონე ჯოჯოხეთური ღრიალი, რომელიც ბრბოს აღმოხდა. და იმავე წამს, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მეტისმეტად ხანმოკლე იყო იმისთვისაც კი, ტყვია მიზანს რომ მისწვდომოდა, სპილოს გასაოცარი, გაუგებარი მეტამორფოზა დაემართა. არ განძრეულა, არ დავარდნილა, მაგრამ მისი სხეულის ყველა ხაზი, ყველა კონტური უცებ შეიცვალა, სხვანაირი გახდა, ვიდრე იყო ერთი წამის წინ. სპილო უცებ დაჩამიჩდა, დაბეჩავდა, წარმოუდგენლად დაბერდა, თითქოს ტყვიასთან საზარელმა კონტაქტმა მისი პარალიზება გამოიწვია, თუმცა მიწაზე არ დაუგდია. ბოლოს, – მეგონა, დიდი დრო გავიდა, არადა, ხუთ წამზე მეტი არ იქნებოდა გასული, - მთელი სხეული მოემჩვარა და მუხლებზე დაეცა. პირიდან დუჟი წამოუვიდა. საზარლად დაძაბუნდა და მოფახფახდა. იფიქრებდი, რამდენიმე ათასი წლისაააო. ისევ ვესროლე იმავე ადგილას. მეორე გასროლის შემდეგაც არ დაცემულა, პირიქით, წამოდგა, წარმოუდგენლად ნელა, და გაჭირვებით გასწორდა. მუხლები ეკეცებოდა. თავი უვარდებოდა. მესამეჯერ ვესროლე. ამ გასროლამ ბოლო მოუღო. ეტყობოდა, რომ აგონიაშია, მთელი სხეულით ცახცახებდა და უკანასკნელ ძალას კარგავდა. თუმცა, მიწაზე დაცემის მომენტშიც კი ისე ჩანდა, თითქოს შეეცადა, წამომდგარიყო. უკანა ფეხები მოეკვეთა, გეგონებოდა, კლდესავით წამოიმართაო, ხორთუმი მაღლა ასწია, ვერტიკალურად, ხესავით. პირველად და უკანასკნელად ამოუშვა დაგუდული ბღავილი. მერე კი მიწას დაენარცხა, მუცლით ჩემკენ. ისეთი ხმაურით, ისეთი ძალით, მიწა თითქოს იქაც კი აზანზარდა, სადაც ჩაწოლილი ვიყავი თოფით ხელში".

„ეს მე დავწერე? დღევანდელ შემთხვევაზე?" – დაფიქრდა ორუელი. „სერ, ჯერ არ დაგიწერიათ, მაგრამ დაწერთ. და კიდევ ძალიან მაგარ რაღაცეებს დაწერთ, „ცხოველების ფერმას" და რომანს „1984", რომელსაც თავიდან დაარქმევთ „უკანასკნელი ევროპელი," – პატარა ბავშვივით ავტიტინდი გონებაში. პაუზა. „და რატომ მეუბნებით ამ ყველაფერს, დრიიმი?" პაუზა. დავფიქრდი. „სერ, მინდა რომ ჩემს სამყაროში იყოს ეს წიგნები... ვერ ავიტან იმას, თუ დავბრუნდი და აღმოჩნდა, არავითარი მწერალი ორუელი არ არსებობს!" – წამოვროშე, რასაც ჰქვია. პაუზა. „და განა ეს შესაძლებელია, დრიიმი? თუკი თქვენს დროში ჩემი წიგნები უკვე არსებობს, სად წავა? როგორ გაქრება?" პაუზა. „არ ვიცი, სერ, მეშინია, რომ ჩემს სამყაროში დავბრუნდები და სხვა, პარალელურ სამყაროში აღმოვჩნდები" პაუზა. „და ასეთი რამ შესაძლებელია, დრიიმი?" „არ ვიცი, სერ, XXIII საუკუნეში ყველაფერი შესაძლებელია... დრო თქვენი სპილოსავით გაცოფდა და არ ვიცი, როდის დაწყნარდება... ან კი დაწყნარდება საერთოდ?"

უცებ ტემპორონავიგატორმა მანიშნა, რომ ქრონომორევს ვუახლოვდებით. მართალია, მიკროსკოპული იყო ზომით, მაგრამ თუ ჩაგითრევს, ვეღარც ამოაღწევ. სასწრაფოდ, დაუმშვიდობებლად გავწყვიტე ტელეპატიური საუბარი, ღილაკს ხელი დავაჭირე და ტუმბლერი ბოლომდე გადავწიე. მაქსიმალური სიჩქარე ავკრიფეთ, შეგვაქანა. ქრონოპლანი მართლა ატრაქციონის კაბინას დაემსგავსა, – იყო ეგეთი გასართობი, დიიდ სიმაღლეზე აგიყვანდნენ და მერე უფსკრულში გადაგაგდებდნენ....აი, ასეთივე შეგრძნება დაგვეუფლა, სადღაც მივქროდით, ვვარდებოდით, ვყირავდებოდით და ეს ხან უკუნ სიბნელეში ხდებოდა, ხანაც ისეთ ღაჟღაჟა ფერებსა და ფორმებში, გეგონებოდა, გიგანტურ კალეიდოსკოპში მოვხვდით, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო...

გამოვაღწიეთ. ჰოპ და, ისევ ჩემს ოფისში ვართ. საათს გავხედე კედელზე. ერთი წუთიც არ გასულიყო ჩვენი გამგზავრებიდან. ქრონოპლანის საათის მიხედვით კი, თითქმის მთელი დღე მოგზაურობაში გაგვიტარებია. უცებ ვიგრძენი, საოცრად დაღლილი ვარ. და გავაცნობიერე – მშია! წარსულში მოგზაურობისას საჭმელი არც კი გამხსენებია, მაგრამ ახლა ისეთი შიმშილი ვიგრძენი, სპილოს გადავსანსლავდი. ჰერკულესს გავხედე. თვალდახუჭული, გაუნძრევლად იჯდა. იფიქრებდი, ჩათვლიმია.

– სერ, მოვედით! სახლში ვართ! გაიღვიძეთ!

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი გაახილა, თავი გააქნია და პატარა, დამფრთხალი ბავშვივით იკითხა:

– სადა ვარ?

– სახლში ვართ, დამშვიდდით, სერ. ყველაფერი კარგადაა!

– რა არის კარგად?! ვერაფერიც ვერ გავიგეთ! რა აზრი ჰქონდა ამ ყველაფერს?! – გაგულისებით წამოიძახა. ქრონოპლანში ხელი მოაფათურა, ხელჯოხი ამოიღო, სახელური ისე მოხსნა, არც შეუხედავს, გადაჰკრა, ჩაისუნთქა, ამოისუნთქა და გააგრძელა, – სჯობდა, საერთოდაც არ მოვსულიყავი აქ! სრული კრახი! კრახი!

წამოდგა, ქრონოპლანიდან გადავიდა და კარებისკენ დაუმშვიდობებლად წაბანცალდა.

– სერ, ერთი წამით! – გავაჩერე.

– რა გნებავთ, ყმაწვილო? – მობრუნდა.

– სერ, პატარა ექსპერიმენტი ჩავატარე, – მართალია, ვერ გავიგეთ, მართლა მოხდა, რაც ორუელმა აღწერა თუ გამოიგონა, მაგრამ ახლა გვაქვს საშუალება გავარკვიოთ, იცვლება თუ არა მომავალი წარსულში ვირტუალური ჩარევის შედეგად.

– ექსპერიმენტი? რა ექსპერიმენტი?!

– როდესაც ორუელს მის დაწერილს, უფრო სწორად, მომავალში დასაწერ ტექსტს ვუკითხავდი, ერთი სიტყვა დავუმატე.

– რა სიტყვა? რატომ?

– თოფი. „...მიწა თითქოს იქაც კი აზანზარდა, სადაც ჩაწოლილი ვიყავი თოფით ხელში“. „...with a crash that seemed to shake the ground even where I lay.“ ანუ „თოფით ხელში“ ორუელის ტექსტში არ არის. მე დავუმატე ბოლო მომენტში. თუკი ახლა გავხსნით ტექსტს და იქ ეს ორი სიტყვა აღმოჩნდება, ცხადი გახდება, რომ ორუელმა ის დაწერა, რაც ვუკარნახეთ.

– მმ, ვნახოთ, ვნახოთ! – დაინტერედა ჰერკულესი. ამოიღო ბლოკნოტი, სადაც თავისი ხელით (ხელით!) ჰქონდა ესეს ტექსტი გადაწერილი. მოძებნა, ჩაიკითხა – არა, არავითარი „თოფი“ არაა!

ამასობაში მეც გავხსენი ეკრანზე ესეს ტექსტი. „თოფით ხელში“. მართლაც არ ეწერა.

– კიდევ კარგი! – შვებით ამოვისუნთქე, – თორემ გამოვიდოდა, რომ მომავალი შევცვალე!

– დიდი წარმოდგენა გაქვთ საკუთარ თავზე, ყმაწვილო! რისი შემცვლელი ხართ? აი, მე, სულ სხვა საქმეა!... ევრიკა! იდეა მომივიდა! გენიალური!.. მართალია, ჩვენს დღევანდელ გასეირნებას არავითარი პოზიტიური შედეგი არ მოჰყოლია, პირიქით ახალი გამოცანა გააჩინა, სად ნახა ორუელმა მომაკვდავი სპილო, როდესაც სპილო საღ-სალამათი დარჩა...

– ჩვენ ვუკარნახეთ, – ჩავურთე.

– გინდათ თქვათ, წარსულში რომ არ ჩასულიყავით და ეს ციტატა არ წაგვეკითხა, ორუელი არ დაწერდა, როგორ მოკლა სპილო? მაგრამ ეს ხომ პარადოქსია! თუ ჩვენ დავაწერინეთ, მაშინ რამ გააჩინა ეგ ტექსტი მანამ, სანამ წარსულში გავემგზავრებოდით?

– სერ, იქნებ დუბლირება ხდება? იქნებ ერთ-ერთ პარალელურ სამყაროში მართლა მოკლა სპილო, დაწერა ამის შესახებ და ის ტექსტი რაღაც მანქანებით მოხვდა ჩვენს სამყაროში, სადაც არ მოუკლავს სპილო?

– რაღაც მანქანებით! – გამომაჯავრა მოხუცმა, – დედაბერივით მსჯელობთ, ყმაწვილო, დედაბერივით!.. თქვენგან არც ექსპერიმენტატორი გამოვა და არც ნამდვილი მეცნიერი! არა, იმედი არ გქონდეთ!

– რატომ. სერ?

– რატომ და იმიტომ, რომ ცნობისწადილი გაკლიათ! თქვენ უნდა იყოთ ის, რაც ხართ, ანუ მძღოლი. პილოტი!... უნდა მომემსახუროთ!... იდეა მაქვს გენიალური! წარსულში გაფრენა ისევ მოგვიწევს! უახლოეს ხანში! მზად ხართ, ყმაწვილო, რომ გადამაფრინოთ?

– სადაც მეტყვით და როცა მეტყვით, სერ!

– ძალიან კარგი. ახლა კი გენიალური იდეის ინკუბაციაზე ვიმუშაოთ! – თქვა და კარებისკენ გადადგა ნაბიჯი.

– სერ, ერთი კითხვა მაქვს, თქვენი აზრით, რატომ მაკლია ცნობისწადილი?

– რატომ, ყმაწვილო, და იმიტომ, რომ ერთხელაც არ დაინტერესდით, როგორია ჩემი ვისკი! ერთხელაც არ მთხოვეთ, გამასინჯეო!

დამნაშავესავით გავუღიმე. აბა, რა უნდა მეთქვა? ხომ არ ვეტყოდი, გულში რას ვფიქრობდი ყოველ ჯერზე, როდესაც გადაჰკრავდა ხოლმე.

„რა ჟმოტია, რა ჟმოტი!“

ილუსტრაციების ავტორი მალხაზ რუსაძ

პარალელური საქართველოს სიზმარი, ანუ ჩემი ირაკლი ლომოური

[...] სადაა ეს ამდენჯერნახსენები პარალელური საქართველო? სად აღარ! ამ მწერლის ფანტაზიას ხომ ერთი სიტყვა შეიძლება ვუწოდოთ: ფეიერვერკი! ერთ სივრცეში ცხოვრობენ სკვითები და იაპონელები, კიმერიელები და ეთიოპიელები; იბერიაში სამურაები ხარაკირამდე განიცდიან საკუთარ ღირსებას და, თბილისის ჩვეულებრივ უბანში, ჩვეულებრივ ქართველს, კანის გენეტიკურად თეთრი ფერი შავით ეცვლება, მის გარშემო გამეფებული შოუ-სინამდვილისგან უმწეოქმნილსა და დაძაბუნებულს..

დამსხვრეულია ძველი ხატები: მაია წყნეთელი მეორე მსოფლიო ომის გმირ ქალად გვეცხადება, სარდაფში თავშეფარებული სტალინი კი ერთი ძალიან თანამედროვედ მჟღერი ფრაზით აბოლოებს ნოველას: „კობა მაგარი!“ ან, გახსოვთ ალბათ, ცნობილი ისტორიული ლოზუნგი „ქუდზე კაცი!“, პარალელურ საქართველოში კი დღეს სულ სხვა დროა და შესაბამისად, ეს სლოგანიც „ქუდზე ქალით“ იცვლება.

ამ უკანასკნელმა (ნოველა „ქუდზე ქალი“) განსაკუთრებული სევდა დამიტოვა. არადა, შინაარსში იმდენი იუმორია, იმდენი ვითომ ზერელე ამბები, იმდენი გამონაგონი! ერთ ქვეყანაში, რომელსაც ჯორჯოპონია ერქვა და რომელმაც სულ ახლახან გადაიგდო ქედიდან პაჭანიკების მძიმე უღელი, მშვიდობას დიდხანს მაინც არ უსადგურია, რადგან ხანგრძლივი ომების შემდეგ მამაკაცთა რიცხვმა საგრძნობლად იკლო. პატრიოტული ვნებებით ანთებულმა საზოგადოებამ ახალი პროექტი შეიმუშავა: „ქუდზე ქალი“, რომელიც ითვალისწინებდა ყველა ქალიშვილის (18 წლიდან) დაორსულებას და ვაჟების გამრავლებას ქვეყანაში. ამ პროექტის მსხვერპლი აღმოჩნდება ერთი წყვილის, ჯარისკაცი ბიჭის და 18 წლის (სინამდვილეში 17-ის, მაგრამ როგორც მერე ვიგებთ, მამის მიერ გაყალბებული პასპორტის გამო ამ პროექტში ნაადრევად ჩართული) გოგონას სიყვარული.. თავად ამბავი უკვე თანაბრად ტრაგიკულიცაა და კომიკური, თუმცა, ყველაზე მეტად მაინც თანამედროვე პატრიორული პროექტების, მარაზმატიკული იდეალების, სლოგანების თუ პათოსის პარალელები წაგაკითხებს თავს, რომელიც, როგორც ყველა უსამართლობა დედამიწაზე, მაინც დიდი სამართლის სახელით ხდება!

ირაკლი ლომოურის მწერლური ოსტატობაც სწორედ ამაში მგონია – ისე დახატოს ტრაგიკული და კომიკური, ისე შეუზავოს ერთმანეთს თავისი მოკაშკაშე ფანტაზიით, ისე მსუბუქად (და მარტივად) გიამბოს ძალიან რთულ რამეებზე, და თან გიამბოს ისე შთამბეჭდავად, რომ რაც არ უნდა იწვალო, ვერ დაივიწყო.

„გამონაგონის“ სიბრძნეც ხომ ესაა. როგორც დიდი ნინაპარი იტყოდა – სიცრუის სიბრძნე. იგია მათთვისაც, ვისაც ყური აქვს სასმენელად, და იგია ყრუთათვისაც.

ანუ, ყველა დროის მკითხველისთვის.

ძალიან ლიტერატურულ-თეორიულად, ირაკლი ლომოური პოსტმოდერნიზმის მკვლევართა „საკბილო“ უნდა იყოს, მაგრამ, აბა მაშინ პოსტმოდერნისტები ყოფილან სულხან-საბაც და ეზოპეც და, სულო ცოდვილო – ბატონ-ვარიც დიდი პოსტმოდერნისტი ყოფილა, რომელმაც ერთი ამბავი ოთხად დაგვიტოვა, რომელიც სასწაულებს ფანტასტიკური ჟანრის ნოველებივით თხზავდა და გზადაგზა ისეთ იგავებსაც იგონებდა, სულ თავდაყირა აყენებდა კაცთა მოდგმის ჩანაფიქრებს.

ირაკლი ლომოურის ერთი ნოველა მიყვარს – „კვატი“ ჰქვია. ნოველას ეპიგრაფიც ისეთი ირონიული აქვს, შესაძლოა, ესთეტიკური ტკბობისთვის მზადმყოფი მკითხველი თავიდან გააღიზიანოს კიდეც – ***„მითხარი, რას კითხულობ ფეხსალაგში და გეტყვი, რა ხვითოც ბრძანდები“ – ძველი ჩინური ანდაზა“.*** ცხადია, ეს ანდაზა ისეთივე ჩინურია, როგორც თავად ნოველა – ფეხსალაგში წასაკითხი, თუმცა შიგნით, ტყუილ-მართალი და წაკითხულ-გამოგონილი ისე ოსტატურადაა ერთმანეთში არეული, რომ გაღიზიანებულ მკითხველსაც თავს ჭეშმარიტ მკითხველად სულ მალევე აგრძნობინებს. თან, ეს ყოვლად უმნიშვნელო და უწყინარი არსება მზისქვეშეთში – კვატი (და არა იხვი, რადგან ალბათ დიალექტი უფრო ემსუბუქა ავტორს) ნოველაში, ამბიდან ამბავში დამოგზაურობს და სრული უფლება გაქვს, წარმოიდგინო, რომ აგერ, ახლა, მომდევნო აბზაცის ჩამთავრებისას, შენ წინაც გაგოგმანდება.. კვატი რაღა დიდი სიმბოლოაო, იკითხავს ვინმე, თანამედროვე სულიერებაზე გულაცრუებული, და მეც ბევრს ვერაფერს ვუპასუხებ, მხოლოდ განცდას გავანდობ – ხომ შეიძლება, ერთ დღესაც, სულ რამდენიმე გვერდში და რამდენიმეწუთიან საკითხავში, ერთმანეთს დაუკავშირდეს რამდენიმე საუკუნე და ქვეყანა და თემა, და ამ ყველაფრის მაკავშირებელი იყოს პატარა, ღუნღულა კვატი, მით უმეტეს რომ მხოლოდ ერთგან, ძალიან არაპათეტიკურად, ავტორი თავად ამბობს – „ბრძოლაში დამარცხებული მამაკაცების გასამხნევებლად შეიქმნაო“, და მერე ფიქრს თუ გზას და გასაქანსაც მისცემ, თუნდაც იმ შორეულ აზრამდეც მიუშვი, რომ ყოველივე ამ სამყაროში უხილავი კავშირით უკავშირდება ერთმანეთს, და რომ ესაა ბოლოსდაბოლოს მთლიანობის განცდა, ნათესაობის დიდი წესი, და სულაც აქამდე რომ ვიყოთ გაზრდილ-განვითარებულები, ეგებ აღარც ომი დაგვჭირდეს და აღარც პარალელები.

მაგრამ, იქამდე შორია.

იქამდე – მწერალმა უნდა წეროს და ფიქრით მოიხელთოს, თუნდაც თამაშით, გნებავთ – „სიცრუით“.

მით უმეტეს, თუ ამ მწერლის სიტყვა და ზრახვა კეთილია და, მთელი გულით უყვარს ადამიანი. და ყველაფერი, რაც ადამიანს უკავშირდება.

დღემდე ესაა ნამდვილი ლიტერატურა.

ირაკლი ლომოურის შემოქმედება კი – ყველა დროის ნამდვილი ლიტერატურა.

ჩემთვის მაინც ასე – კეთილი კაცის სიზმრები, პარალელური საქართველოდან, ძალდაუტანებელი და მარტივი (ანუ გენიალური) თანაგრძნობით ნაამბობი.

ნინია სადღობელაშვილი

ბილი კოლინსი

BILLY COLLINS

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა პოეტი ბუზს აკვირდება

დალილა გოგია

ამერიკელი პოეტი ბილი კოლინსი ის იშვიათი გამონაკლისია, რომელმაც არამხოლოდ ლიტერატურული კრიტიკოსების აღიარება, არამედ საქვეყნო პოპულარობაც მოიპოვა. როგორც მასზე ამბობენ, თანამედროვე პოეზიაში ბილი კოლინსი როკ-ვარსკვლავია. მისი პოპულარობა ბევრწილად იმ ფაქტის დამსახურებაა, რომ ის „ადვილად გასაგებ“ პოეზიას ქმნის და არა „რთულს“.

კოლინსის პოპულარობის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მკითხველი მის პოეზიას საზოგადოებრივ ადგილებში ხვდება – ნიუ-იორკის მეტროში თუ სამგზავრო ბარათების უკანა მხარეს, მატარებლის ვაგონებში, კოქტეილის ხელსახოცებზე. პოეტი დარწმუნებულია, რომ ბევრ ინტელიგენტ ადამიანს სკოლიდან პოეზიის შიში აქვს გამოყოლილი და პოეზიას სკოლის საგნად მიიჩნევს, ხოლო თუ ლექსი მისი თვალთახედვის არეში ძალდაუტანებლად მოხვდება, მას პოეზიის ინტერესი გაუღვივდება.

ბილი კოლინსის პოპულარობის კიდევ ერთ მიზეზად ლექსებში ცხოვრებისეული *აქცენტების მკითხველთან* მარტივ ენაზე უშუალო საუბარი შეიძლება მივიჩნიოთ. როგორც ალისა ქვინი, „ნიუ-იორკელის“ აღმასრულებელი დირექტორი აღნიშნავს, „მისი ლექსების კითხვისას გეუფლება განცდა, რომ ჯაზს უსმენ, მშვენიერ კლასიკურ ჯაზს, და არა რომელიმე მარტივ მელოდიას.“

ბილი კოლინსი 1941 წელს ნიუ-იორკში დაიბადა. დედისერთა იყო და, როგორც თავად ამბობს, უზრუნველი და ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა, რადგან მშობლების ყურადღების მოსაპოვებლად თუ სათამაშოების გამო და-ძმასთან ქიშპობა არ უწევდა. ამის გამო მუდმივად ჰქონდა განცდა, რომ სამყაროს ცენტრი თავად იყო, რაც, როგორც ახლა მიაჩნია, პოეტებსაც ახასიათებთ. ბავშვობიდან პოეტობა სურდა და რადგან პოეტი ბეჩავ და უბედურ ადამიანად წარმოედგინა, რაღაცნაირ უხერხულობას გრძნობდა თავისი უზრუნველობის გამო და ცდილობდა, თავი საცოდავ არსებად წარმოედგინა.

კარგად ახსოვს, როგორ დაწერა პირველი ლექსი. დაახლოებით 8-9 წლის იქნებოდა, მშობლებთან ერთად მანქანაში, უკანა სავარძელზე იჯდა. ისტ დრაივზე მიდიოდნენ, როცა ფანჯრიდან გემი დაინახა. როგორც ბილი იხსენებს, გემი მდინარეზე იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ბავშვს ამ განწყობის მხატვრულად აღწერა და ჩაწერა მოუნდა. არ ახსოვს, რა დაწერა, მაგრამ თავად ფაქტი კარგად ახსოვს. „დავინახე და რაღაც განსაკუთრებული ვიგრძენი“. იხსენებს ის.

ბილის მამას, როგორც კი ბიჭს პოეზიის მიმართ ინტერესი შეატყო, ჟურნალი Poetry სახლში რეგულარულად მიჰქონდა. ასე რომ, ბილი არა მხოლოდ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ კლასიკოს პოეტებს ეცნობოდა, არამედ თანამედროვე ავტორებსაც კითხულობდა და იცოდა, რას ნიშნავდა თანამედროვე პოეზია.

14-15 წლის იქნებოდა, როცა ალენ გინსბერგის „ყმუილი“, აგრეთვე სხვა ბიტნიკების ნაწარმოებები წაიკითხა და მათი ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცა. შემდეგ, როცა სკოლას ამთავრებდა, უოლეს სტივენსმა მოხიბლა და საბოლოოდ და მტკიცედ გადაწყვიტა, რომ მისი ძირითადი დანიშნულება წერა იყო. პროზის წერა არ უფიქრია. როგორც თავად ამბობს, პროზაიკოსი ათეულობით, ზოგჯერ კი ასეულობით გმირს ქმნის, ხოლო თუ პოეტი ხარ, ერთი გმირიც საკმარისია და იქვე, პოეზიის სიყვარულთან ერთად, საკუთარ სიზარმაცესაც აღნიშნავს. *ბილის აზრით, პროზაიკოსი მკითხველის სახლში იჭრება, სამი დღე იქნება* თუ სამი კვირა, ერთ რომანს უნდა უმასპინძლო და გამოდის, რომ მწერალი ოჯახის სტუმარია, მაშინ, როცა პოეტი მოულოდნელად გამოჩნდება, რაღაცას გეტყვის სიცოცხლესა და სიკვდილზე, მერე უცებ კარს გაიხურავს და გაქრება. ბილი კოლინსს ეს მოულოდნელი და ხანმოკლე ვიზიტები უფრო მოსწონს.

თავიდან მძიმე, გაუგებარ, შეიძლება ითქვას, გოთიკურ ლექსებს წერდა. მიუხედავად იმისა, რომ თავად ხალისიანი და კონტაქტური იყო, ცდილობდა, რაც შეიძლება პირქუში და გაუგებარი ლექსები გამოსვლოდა და ამით მკითხველზე გულგატეხილი და რთული ადამიანის შთაბეჭდილება მოეხდინა, რადგან ასე წარმოედგინა პოეზია და პოეტი. ყველაფერი მაშინ შეიცვალა, როცა გაბედა, სათქმელი გარკვევით ეთქვა. თუმცა, ბილი კოლინსისთვის პოეზიაში გარკვევით საუბარი დიდი რისკია, ამ დროს პოეტი თითქოს გაშლილ მდელოზე მარტო რჩება; მისი აზრით, იმ ადამიანის გაკრიტიკება ადვილია, ვინც გარკვევით ლაპარაკობს, რადგან სხვები ადვილად გააკრიტიკებენ იმას, რაც კარგად გაიგეს. ამ ცვლილებას ის ფილიპ ლარკინის, კარლ შაპიროსა







და ჰოვარდ ნემეროვის, ასევე ბრიტანელი პოეტების, ტომ გუნისა და ტედ ჰიუზის გავლენას უკავშირებს.

ბილი კოლინსის ცხოვრებაში იყო ლორენს ფერლინგეტის პერიოდიც. საერთოდ კი, როცა გავლენებზეა საუბარი, მას ხშირად კრიტიკოს დამინო კისის სიტყვები მოჰყავს: „გაგლენების შესახებ შეკითხვის დასმა ნიშნავს, რომ ავტორს იმ ჩვილივით უყურებენ, რომელიც სამშობიაროს ეზოში მიტოვებული იპოვეს და ცდილობენ გამოიცნონ, ვინ შეიძლება იყოს მშობელი.“

გარდა კონკრეტული პოეტების გავლენისა, ის ხშირად საუბრობს არაპოეტურ გავლენებზეც, რაც პოეტის წარმოსახვას აყალიბებს. ამ მხრივ მისთვის მნიშვნელოვანია კომპანია Warner Brothers-ის ნახატი ფილმები. ბილი ასევე იხსენებს წარუშლელ შთაბეჭდილებას, თუ როგორ სწავლობდა ლათინურ ფრაზებს 11-12 წლის ასაკში: Soo-shi-pee-ah-om-me-no-sa-cre-fi-chi-om მთელი ზაფხული იმეორებდა და ბგერებთან ერთად დაფრინავდა.

გამოთქმას, „საკუთარი ხმის პოვნა“, პოეტი არასწორ ფორმულირებას უწოდებს. ის მიიჩნევს, რომ პოვნა მხოლოდ იმის შეიძლება, რაც სადღაც სხვაგან არსებობს. საკუთარი ხმა კი ყოველთვის შენშია და ამ ხმის ამოშვება მხოლოდ მუშაობითაა შესაძლებელი, რაც საკუთარი თავის პოეზიაში გადატანას ნიშნავს.

თავად კოლინსი „საკუთარ ხმას“ უამრავი პოეტის პირდაპირი გავლენისგან გამოსვლასა და ამ გავლენების ერთ კონკრეტულ ხმად გაერთიანებას უწოდებს, რაც უფრო მარტივად, იმ ერთი გმირის შექმნას ნიშნავს, რომელიც შენ ყველაზე მეტად გგავს, მაგრამ მხოლოდ გგავს, ის შენ არ ხარ. მასში არაფერია ავტობიოგრაფიული. „ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, წაიკითხოს ჩემი ლექსები და ვერაფერი გაიგოს ჩემზე.“ ამბობს ის.

ბილის გმირი იმ გმირის მოდერნიზებული ვერსიაა, რომელიც ინგლისურ რომანტიკულ პოეზიაში გვხვდება. ის მეოცნებეა, არ მუშაობს, უამრავი დრო აქვს, უმეტეს დროს მარტოობაში ატარებს, არანორმალურად ბევრს ფიქრობს და თავისი საკუთარი შეხედულებები და ფანტაზიები აქვს, ის აკვირდება სამყაროში მიმდინარე მოვლენებს და თავისებურად რეაგირებს მათზე.

როგორც კრიტიკოსი ელის ფალტონი აღნიშნავს, „ბილი კოლინსმა ღრმა აზროვნებას მხიარულება დაუმატა.“ თუმცა, ბილი კოლინსს თავად ეს მიზანი არ ჰქონია, ეს, რაღაცნაირად, თავისთავად მოხდა, და, რაც მთავარია, დიდი ხანი დასჭირდა, რომ საკუთარ პოეზიაში იუმორი შემოეტანა. თავად ამას პოეზიაში იუმორის დაბრუნებას უწოდებს, რადგან იუმორი პოეზიაში ყოველთვის არსებობდა, ვიდრე რომანტიკოსებმა პოეზიიდან სექსი და იუმორი არ გააქრეს. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს თემები ისევ დაბრუნდა. კოლინსისთვის პოეზიაში იუმორი მხოლოდ ინგრედიენტია და არა განსაკუთრებული მოვლენა, რადგან იუმორიც ადამიანის ემოციის გამოვლენაა. მისი აზრით, თუ არავინ სვამს შეკითხვებს პოეზიაში სერიოზულობის შესახებ, მაშინ იუმორის შესახებ

შეკითხვებიც უადგილოა. მისი სიტყვით, იუმორი ლექსში არის კარი, რომელსაც უფრო სერიოზულ თემებში შევყავართ.

მიუხედავად იმისა, რომ ბილი კოლინსის პოეზია იუმორისტულია, მისი ლექსები არაა მსუბუქი. ლექსი შეიძლება დაიწყოს იუმორით და სერიოზულ თემაზე გადავიდეს. ლექსის დასაწყისში იუმორი აცდუნებს მკითხველს და ლექსში ითრევს. შესაძლოა, პირიქითაც მოხდეს, დაიწყოს სერიოზული თემით და მსუბუქად დასრულდეს. იუმორი მისთვის იარაღია იმისთვის, რომ გამოხატოს, თუ როგორ უყურებს ცხოვრებას. ლექსის წერის დროს ის არ ზის და არ ფიქრობს, როგორ დაწეროს რამე მხიარული, უბრალოდ, ცდილობს, ყველაფერს სხვა კუთხიდან შეხედოს. მისთვის იუმორი უფრო სტრატეგიაა, ის მკითხველის გასართობად არ წერს, იმისთვის წერს, რომ ცხოვრებისეული ასპექტები გამოიკვლიოს და ამ კვლევაში იუმორი ეხმარება.

ბილი კოლინსი, თავისივე განმარტებით, საკუთარ თავსა და სიკვდილზე წერს. უფრო ზუსტად, მისი პოეზიის ძირითადი თემა ადამიანის მოკვდავობაა. მისი წიგნის ყველა გვერდს მოკვდავობის აჩრდილი ადგას. მისი შემოქმედების ძირითადი პრინციპია carpe diem – დაიჭირე წამი, დღეს გამოიყენე შენი დრო, რადგან არავინ იცის, რა იქნება ხვალ. ის არ ამბობს, რომ ყოველი წამი ბრძნულად უნდა გამოიყენო, მაგრამ თუ დროს ამაოდ ფლანგავ, ამას უნდა აცნობიერებდე.

ჯონ აპდაიკმა ბილი კოლინსის პოეზია ასე დაახასიათა: „ბილი კოლინსი საოცარ ლექსებს წერს... მისი ლექსები გამჭვირვალე, ემოციური და უფრო სერიოზულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და გვიამბობს არამარტო იმ სამყაროების შესახებ, რომლებიც ახლა არსებობენ ან წარსულში არსებობდნენ, არამედ სხვა, ჩვენთვის უცნობი ბევრი სამყაროს შესახებაც.“

ბილი კოლინსი თავს არიდებს პოლიტიკურ თემებს. ის არ ცდილობს, ისეთი ლექსები წეროს, რომელიც გაზეთების ჰედლაინებს პასუხობს, რადგან ამ შემთხვევაში ლექსი დროსთან ერთად აქტუალობას დაკარგავს – კარგადაა ცნობილი, რომ არავის უნდა გუშინდელი გაზეთების კითხვა. კარგი ლექსი კი, რომელსაც ის კითხულობს, შესაძლოა 500 წლის წინაც კი იყოს დაწერილი. ბილისთვის პოლიტიკა ისტორიის ნაწილია, პოეზია კი, მისი აზრით, სულაც არაა ისტორია.

ლექსებს ცოტას, მაგრამ სწრაფად წერს, შესაძლოა, ერთ ლექსს მხოლოდ ოცი-ორმოცი წუთი მოანდომოს. როცა დაასრულებს, ბევრჯერ არ კითხულობს და ბევრს არ ასწორებს. შეიძლება, ორიოდე კვირის შემდეგ გადაიკითხოს და რაღაც შეცვალოს, მაგრამ, მისი აზრით, თუ ლექსი მაშინვე არ გამოვიდა, ის საერთოდ არ გამოვა.

თუ ლექსი არ გამოუვიდა, ხელნაწერს სანაგვეში ისვრის. ის არ იზიარებს იმ ტექნიკას, რასაც დამწყებ პოეტებს ყველა ვორქშოფზე ასწავლიან: რომ არცერთი სტროფის გადაგდება არ შეიძლება. მისი აზრით, თუ იმ სტროფებს სხვა ლექსში გამოიყენებ, რაღაცნაირად, სკოტჩით შეწებებულ ლექსს მიიღებ; მას არ ექნება ცეხი, ანუ ფენგ-შუის ენაზე, საწყისი ენერგია, მრავალგზის კითხვა და ჩასწორება ლექსის პირველად იმპულსს მტვრად აქცევს. როგორც უილიამ მათეუსი ამბობს, ლექსის ჩასწორება არ უნდა დაემსგავსოს წვეულების შემდეგ ნაგვის გატანას, რადგან ისიც წვეულების ნაწილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ბილი კოლინსმა პირველი წიგნი გამოსცა, უკვე 40 წელს გადაცილებული იყო. დღეისთვის ბილი კოლინსს თხუთმეტზე მეტი წიგნი აქვს გამოცემული და თავისი შემოქმედებისთვის მრავალი ლიტერატურული ჯილდო და პრემია აქვს მიღებული.

თუმცა, საკუთარ თავს არა წიგნების, არამედ ლექსების მწერლად მიიჩნევს. როცა წერას იწყებს, არც კი იცის, ლექსი საით წავა, ან როგორ დასრულდება. ეს პროცესი მისთვის ყველაზე საინტერესო და ემოციით აღსავსეა. ის ცდილობს, ყოველდღიური ცხოვრების კონკრეტული დეტალი ძირითად თემად გამოიყენოს და თავად ლექსს მიანდოს მისი შემდგომი განვითარება. მისთვის ესაა პოეზიის ძალა.

ერთადერთი ადამიანი, ვისკენაც ეს ლექსია მიმართული, თავადაა, რადგან თავად ერთადერთი ადამიანია, ვისიც კარგად ესმის. ასე რომ, თვითონ გამოდის საკუთარი პოეზიის მკითხველი. წერის პროცესში ბილი კოლინსი პოეტიცაა და მკითხველიც, რაც იმას ნიშნავს, რომ ხან პოეტია, ხან მკითხველი. საკუთარ ლექსს (რა თქმა უნდა, ყველას არა) შემდეგნაირად ხედავს: იწყება გასაგებად, მარტივად, მაგალითად, როგორ იხედება ფანჯრიდან და ხედავს ძაღლს, მაგრამ ლექსის ბოლო ნისლში ეხვევა, თითქოს ელისი საოცრებათა ქვეყანაში მოხვდა.

„ჩემი აზრით, ჩემი საუკეთესო ლექსები ისინია, რომლებმაც თავისი მოულოდნელი ფინალით გამაოცეს. დღესაც არ ვიცი, იმ ფინალამდე როგორ მივედი, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ამ ფაქტით გაოცებული და გახარებული ვარ. ამ შემთხვევაში ისეთი განცდა მეუფლება, რომ ის ლექსის ფინალი კი არა, რაღაც ახალი აღმოჩენაა, რაც მანამდე დაწერილმა სიტყვებმა განაპირობა.“

ბილი კოლინსმა კარგად იცის, ლექსის რომელ ნაწილში ისაუბროს გარკვევით და რომელი ნაწილი გახვიოს იდუმალების საბურველში. მისთვის სწორედ ესაა პოეტის ოსტატობა. ეს ჰგავს კარტის თამაშს – უნდა იცოდე, რომელი კარტი როდის გახსნა.

როცა ბილი ხედავს, რომ საკმარისი რაოდენობის ლექსი დაუგროვდა, მათ ერთად აგროვებს და წიგნად გამოსცემს. მისი დაკ-

ვირვებით, მკითხველი არასოდეს კითხულობს ლექსების წიგნს პირველი გვერდიდან ბოლო გვერდამდე. ეს გამომცემლის ან რედაქტორის თვისებაა. ამიტომ, ბილი კოლინსისთვის წიგნში ლექსების გარკვეული თანმიმდევრობით, ან თემატურად დალაგება დროის ფლანგვაა. ის ლექსებს ცალ-ცალკე ფურცლებზე წერს, მერე იატაკზე აწყობს, გარშემო უვლის და ზემოდან დასცქერის. შემდეგ როგორღაც გრძნობს, რომ აი, იმ ლექსს ამ ლექსის გვერდით მოუნდებოდა ყოფნა, ამას, იმის გვერდით და ა.შ. როგორც წვეულებაზე ხდება ხოლმე, სხვადასხვა ტიპის ადამიანები პატარ-პატარა წრეებს რომ ქმნიან.

როცა თავის წიგნებს ხედავს, ერთადერთი აზრი, რაც თავში მოსდის, არის – „ეს ყველაფერი მე როგორ დავწერე?" უნდა აღინიშნოს, რომ ის თავის თავს უკვე დაწერილი წიგნების ავტორად კი არა, მუდმივ მაძიებლად ხედავს. სულ იმაზე ფიქრობს, შემდეგი რა უნდა დაწეროს.

2001 წლიდან 2003 წლამდე ბილი კოლინსს ამერიკის შეერთებული შტატების პოეტი-ლაურეატის თანამდებობა ეკავა, ხოლო 2004-2006 წლებში ის დასახელებული იყო ნიუ-იორკის შტატის პოეტ-ლაურეატად. ამ პერიოდში მისი ინიციატივით განხორციელდა პროექტი 180 ლექსი, რომელიც დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვისაა განსაზღვრული და დღეში თითო ლექსის ზეპირად სწავლას და გარჩევას ითვალისწინებს. ამჟამად ის ნიუ-იორკის ლემანის უნივერსიტეტის პროფესორია.

როგორც ლიტერატორები ამბობენ, რობერტ ფროსტის შემდეგ არცერთ პოეტს, ბილი კოლინსის გარდა, არ მოუპოვებია კრიტიკოსებისა და ხალხის ასეთი აღიარება.

ერთ-ერთ ინტერვიუში ბილი კოლინსს ჰკითხეს: „არ წითლდებით, როცა რობერტ ფროსტს გადარებენ?"

მან უპასუხა: „სულაც არა. მაშინვე ვეუბნები, რომ ცდებიან. ფროსტთან შედარებით, ჩემი პოეზია საწოლია, რომელიც 6 თვეა, არ ალაგებულა. ფროსტი გენიოსი იყო და მისი პოეზია თავისი ფორმის წყალობით სიმღერასავით ბუნებრივად ჟღერს. რაც შეეხება ჩემს პოეზიას, ისიც ბუნებრივად ჟღერს, მაგრამ მე ფორმებსა და წესებს არ ვიცავ. ჩვენ შორის ერთადერთი მსგავსება ისაა, რომ სიცოცხლეში ორივემ უამრავი წიგნი გავყიდეთ."

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს მათ შორის ერთადერთი მსგავსება არაა. ის რობერტ ფროსტის კვალს მიჰყვება. რობერტ ფროსტი პირველი პოეტი იყო, ვინც სასწავლებლებში დადიოდა და სტუდენტებს პოეზიას აცნობდა.

ბილი კოლინსი მთელ ამერიკაში მოგზაურობს, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ხალხს ხვდება და მათ პოეზიას უკითხავს. კრიტიკოსების აზრით, მისი ლექსები იმ ადამიანებამდეც აღწევს, ვისაც პოეზია არ უყვარს. როგორც ერთ-ერთი კრიტიკოსი აღნიშნავს, „მიუხედავად ბილი კოლინსის პოპულარობისა და აღიარებისა, ის ლიტერატურული სნობი არ არის".

კოლინსს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე პოპულარულ პოეტს. მისი კრებულები ყოველთვის ბესტსელერია და როგორც ამბობენ, პოეზიის სამყაროში გაუგონარი რაოდენობის ეგზემპლარია გაყიდული. მისი პოეზიის კითხვისას, რასაც პერფორმანსის ფორმა აქვს, დარბაზში ტევა არაა და ბილეთები რამდენიმე დღით ადრე იყიდება.

2014 წლიდან ბილი კოლინსი პოპულარულ ამერიკელ როკ-მუსიკოსთან და მომღერალთან, ეიმი მანთან ერთად ხვდება მსმენელს. მათი ერთობლივი საღამოები, რომლებსაც „ინტელექტუალური ჰიპსტერების ოცნებას" უწოდებენ, სავსეა პოეზიით, ცრემლებით და სიცილით. მათთან მისული მაყურებელი ბილის იუმორით სავსე, ტკბილ-მწარე პოეზიასა და მანის მშვენიერ მუსიკას უსმენს.

ბილი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ლექსის წერას ადამიანი ლიტერატურის კითხვით სწავლობს და ფურცელი, რომელზეც პოეტი წერს, იმ სანთლითაა განათებული, რომელიც წარსულიდან მოჰყვება. როცა წერს, წარმოიდგენს, რომ იმ პოეტებთან ერთად უზის მაგიდას, რომლებიც მანამდე ცხოვრობდნენ. მას პოეზია ემოციურად აკავშირებს სხვადასხვა ეპოქასთან. მისი აზრით, პოეზია გვახსენებს, რომ მარტო არ ვართ, ის ასევე გვახსენებს ადამიანად ყოფნის ძირითად პრინციპებსაც.

„ჩემი აზრით, წერა არაა მოწოდება. ძალიან მომწონს ჯონ აპდაიკის სიტყვები: „აღმოჩნდა, რომ ჩემმა ჰობიმ მთლიანად გადამყლაპა." ასევე, პატრიკ კავანას სიტყვებიც: „სიტყვებით გართობა დავიწყე და საბოლოოდ, ეს ჩემი ცხოვრების აზრად იქცა. თუ გიყვართ ენა, გიყვართ ლიტერატურა, გიყვართ ლექსიკონში სიტყვების ძებნა, მაშინ ხელოვნება აუცილებლად გადაგყლაპავთ და თქვენ გახდებით მწერალი."

ბილი კოლინსისთვის აუცილებელია, რომ პოეტი ზარმაცი იყოს. პოეტმა უბრალოდ ვერ უნდა შეძლოს დღეში საათნახევარზე მეტი მაგიდასთან ჯდომა და წერა. ამასთან დაკავშირებით ის მუდმივად მაქს ბირდომის სიტყვებს იშველიებს, რომ პოეტისთვის ყველაზე რთულია, მოიფიქროს, რა აკეთოს დღის დანარჩენი ოცდასამნახევარი საათის განმავლობაში.

თავად ამის პრობლემა ნამდვილად არ აქვს. ბევრს სეირნობს, უკრავს ჯაზს. *„როცა პროზაიკოსები სამეჯდ მანქანაზე აკაკუნებენ, პოეტი ფანჯრის რაფაზე ბუზს აკვირდება."*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახლში წავედი წიგნის წამოსაღებად

მანქანა მოვაბრუნე
და სახლისკენ წავედი წიგნის წამოსაღებად
რომ ექიმის მოსაცდელში წამეკითხა.
ვიდრე მე წიგნის ძიებაში თაროს თითს ვაყოლებდი,
ჩემი მეორე მე, რომელსაც თავი არ შეუწუხებია,
წიგნის წასაღებად მობრუნებულიყო,
თავის გზას დაადგა,
ტრასამდე ჩავიდა
და მარცხნივ, ქალაქისკენ გაუხვია –
მთელი სამი წუთით გამისწრო –
მას შემდეგ, მთელი ცხოვრება,
ეს შუალედი ერთმანეთს გვაშორებს.
ზოგჯერ მგონია, მას ვხედავ –
ხან რიგში ჩემზე წინ დგას,
ხან რესტორანში, მაგიდიდან ადგომას მასწრებს
და გასასვლელთან პალტოს მხრებზე იგდებს.
მე მას ვერასოდეს დავეწევი,
ნაბიჯს ვერასოდეს შევანელებინებ,
უწინდებურად მანამდე ვერ დავემთხვევით ერთმანეთს,
ვიდრე ერთ დღეს თავად არ გადაწყვეტს, დაბრუნდეს
სახლში რაღაცისთვის,
მაგრამ ვერ წარმომიდგენია, ის რაღაც რა უნდა იყოს.
ის სულ იქაა, ჩემზე წინ,
გზას მიკვალავს, როგორც უჩინარი მზვერავი,
როგორც ძალა, რომელიც წინ მიმათრევს,
როგორც ჩრდილი, რომელსაც უნდა მივყვე,
ჩემი იდეალური ორეული,
რომელიც ჩემზე ადრე ეჯახება მომავალს,
თუმცა, ის არც ისე კარგადაა გათვითცნობიერებული,
როგორც მე – ოვიდიუსის სატრფიალო პოეზიაში –
მე, რომელიც სახლში მივბრუნდი
იმ საბედისწერო ზამთრის დილას და წიგნი წამოვიღე.

მომავალი

როცა ბოლოს იქ მივალ –
ამას კი ბევრი დღე და ღამე დასჭირდება –
მინდა მჯეროდეს, რომ დანარჩენები მელიან
და შესაძლოა, აქაური ამბები აინტერესებთ კიდეც.
მე გავიხსენებ განსაკუთრებულ ცას,
ან აბაზანიდან ახლადგამოსულ ქალს თეთრ, ხაოიან ხალათში
ან იმ დროს, როცა ვიწრო სრუტე ვიხილე,
სადაც ცნობილი საზღვაო ბრძოლა მოხდა.
შემდეგ მაგიდაზე უზარმაზარ მსოფლიო
რუკას გავშლი
და ღია ფერებში შემოსილ
მომავლის ადამიანებს ავუხსნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ როგორ აღიმართა მთები მდელოებს შორის
და ამას ეწოდა გეოგრაფია,
როგორ გადასერეს დატვირთულმა გემებმა მდინარეები
და ეს ცნობილია, როგორც ვაჭრობა,
თუ როგორ ჩავიდნენ ადამიანები
ვარდისფერი ადგილებიდან ღია მწვანე ადგილებში
და დაანთეს ცეცხლი და დახოცეს ყველა, ვინც კი ნახეს
და ამას ეწოდა ისტორია.
და ისინი მომისმენენ ჩუმად და მშვიდად,
რადგან იქ იმისთვის არიან, რომ
შეუერთდნენ იმ წრეს,
რომელიც გუბეში გადაგდებული კენჭისკენ მიდის
და არა კენჭისგან გამომავალ პატარა წრეებს.

ნაბახუსევი

ნეტავ ახლავე იმპერატორად გამომაცხადონ,
რომ ყველა ბავშვს, ვინც ამ მოტელის აუზში
მარკო პოლოს თამაშობს
და უთავბოლოდ მარკო პოლოს სახელს გაჰყვირის,
მარკო პოლო მარკო პოლო
მარკო პოლოს ბიოგრაფიის წვრილი შრიფტით
დაბეჭდილი სქელი წიგნის წაკითხვა დავავალო
და ასევე, ჩინეთის ისტორიის და ვენეციის ისტორიისაც,
სადაც დაიბადა დიდი მოგზაური,
მარკო პოლო მარკო პოლო
მერე ყველა ბავშვი თავად გამოვცადო,
გამოცდის ბოლოს კი ვეტყვი, დახატონ, რაც წაიკითხეს,
იმისდა მიუხედავად, შეძლეს თუ არა იმ დიდებული
ცხოვრებისა და დროის წარმოსახვა, რომელშიც ცხოვრობდა
მარკო პოლო მარკო პოლო

დესპანი

პატარა წიგნო, დატოვე ეს სახლი,
წადი, მსოფლიო მოიარე.
ქაღალდის ვაგონი პატარა ქალაქისკენ მიგორავს,
თან ერთადერთი მგზავრი მიჰყავს,
შორს საწერი მაგიდიდან და ბატისყელა გრძელცხვირიანი ლამპისგან,
სადაც ვერ მისწვდება ნერვიული კალამი.
გაქცევის დროა.
პალტო ჩაიცვი და გადი,
დროა, სხვა თვალებმაც დაგინახონ,
დროა, ჩაგიხუტონ უცხო ხელებმა.
ასე რომ, გაბედე, ჩემო ქმნილებავ,
მიჰყევი ტალღებს და მამის დარიგებას:
იმოგზაურე, რამდენიც გინდა,
დარეკვით ან წერილის წერით თავს ნუ შეიწუხებ,
და რაც შეიძლება, ბევრ უცხო ადამიანს ელაპარაკე.

ზამთარი

სითბო რკინის რადიატორში,
ძაღლის სუნთქვა საწოლის ფეხთან
და მჭიდროდ დახურულ ფანჯრებზე
ყინვის ექვსკუთხა მოხატულობა.
გაშლილი ციდან ყრუდ
აღწევს ბატების წუწუნი,
რომლებმაც გადაუფრინეს
ცოცხლებსა და მკვდრებს
სოლებსა და ციხეებს და
გადათეთრებულ მინდვრებს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბლუზი

რაც კი აქამდე თქმულა,
ისევ უნდა ითქვას,
როგორც შეხსენება იმისა, რომ მაშინვე არავინ
ინტერესდება სხვისი ტკივილით.
როგორც ჩანს, არავინ მოგისმენს,
თუ უბრალოდ აღნიშნავ, რომ
შენი პატარა გოგონა ამ დილას სახლიდან ისე გავიდა,
რომ დასამშვიდობებლად არც კი შეჩერებულა.
მაგრამ თუ იგივეს იმღერებ
ბენდის თანხლებით,
რომელიც სულ სხვა, უფრო მაღალ,
მგზნებარე და მავედრებელ რეგისტრამდე აგიყვანს,
ხალხი არამარტო მოგისმენს,
არამედ სკამის თანამგრძნობ კიდემდეც
ჩამოიჩოჩებს,
ბოლო აკორდითა და შემდგომი პაუზით შეძრულს,
ძილიც კი დაუფრთხება,
თუ სასწრაფოდ სიმს თითს არ ჩამოკრავ,
გიტარას ყელიდან კივილს არ ამოაშვებინებ,
თავს მიკროფონისკენ
არ მიაბრუნებ
და არ აცნობებ, რომ
მართალია, გულქვა კაცი ხარ,
მაგრამ ერთმა ქალმა ცრემლებამდე მიგიყვანა.

მიცვალეგულეგი

როგორც ამბობენ, მიცვალებულები ზემოდან ყველაფერს ხედავენ,
მინის ფსკერიანი ციური ნავებით მარადისობაში დასეირნობენ
და თან ჩვენ გვიცქერენ,
როცა ვიცვამთ ფეხსაცმელს,
ან ვაკეთებთ სენდვიჩს.

ზემოდან ხედავენ ჩვენს თავებს, გვაკვირდებიან, როგორ ვმოძრაობთ დედამიწაზე
და როცა მწველი მზით გათანგულები,
მინდორში ან ტახტზე გულალმა ვწვებით,
ჰგონიათ, რომ ცაში მათ ვუმზერთ.

ამიტომ ჩერდებიან, ნიჩბებს კეცავენ, ინაბებიან, და ზუსტად ისე,
როგორც მშობლები, გველოდებიან, როდის დავხუჭავთ თვალებს და დავიძინებთ.

სიჩუმე

უკვე დროა, თქვა, რაც უნდა გეთქვა,
ოთახში სიჩუმეა.
თმის საშრობი გამორთულია,
გოგონა, რომელიც მაგიდაზე ფანქარს აკაკუნებდა, გაძევებულია,

ასე რომ, გვითხარი, რა გაქვს გონებაში.
გვსურს, შენი ხვეულების ხმა გავიგოთ,
გავიგოთ, როგორ ხსნი შენი ინსტრუმენტების ჩანთას,
გავიგოთ სიმღერები შენი მარტოობის შესახებ,
სიმღერები შენი ტკივილის შესახებ.

შენს მოლოდინში მატარებლები სადგურებში,
გემები კი ნავსადგურებში უძრავად დგანან,
ძაღლებს ყურები დაუცქვეტიათ,
ღმერთები საჰაერო ბუშტებიდან იჭყიტებიან,
მთელი ქალაქი გაყუჩებულა
და ყველას ახლა აქ თავისი ასლი ჰყავს.

ასე რომ, გვიამბე შენი მშობლების შესახებ –
მამა საჭესთან,
და მკაცრი დედა სამზარეულოში.
მოდი, გვიამბე ყველა ღრუბლისა და ხის შესახებ, რაც კი გინახავს.

წაგვიკითხე ლექსი, რომელიც თან გაქვს –
ხომ ხედავ, ოკეანე აქეთ-იქით მთვრალივით აღარ ეხეთქება
და თვით ბეთჰოვენიც კი, სასიკვდილო სარეცელზე წამომჯდარა
და ყურში სასმენი რქა გაურჭვია.

გასეირნება ატლანტიკაზე

ველოდები, როდის დაიცლება სანაპირო დამსვენებლებისგან
და პირველსავე ტალღაზე ვდგები.

უკვე ატლანტიკაზე დავაბიჯებ
და ფიქრებით კი ესპანეთში ვარ.
ვერიდები ვეშაპებს და ქარბორბალას.

ვგრძნობ, როგორ იკავებს წყალი ჩემს მოსიარულე სხეულს.
ამაღამ მის მოლივლივე ზედაპირზე დავიძინებ,

ხოლო ახლა კი, ვცდილობ, გამოვიცნო,
რა ჰგონიათ თევზებს ქვემოდან
ჩემი ტერფები, რომლებიც ჩნდებიან და ქრებიან,
ისევ ჩნდებიან და ისევ ქრებიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კაცი კოსმოსში

ერთადერთი, რაც უნდა გააკეთო, არის –
მოუსმინო, როგორ ესაუბრება კაცი თავის ცოლს სუფრასთან
სხვების თანდასწრებით და როგორი მონდომებით
გამოხატავს თავის აზრებს მაშინაც კი, როცა ქალს უკვე ქვედა ტუჩი უკანკალებს

და მიხვდები, ფანტასტიკურ ფილმებში უცხოპლანეტელი ქალები
რატომ არ ფუსფუსებენ სამზარეულოში,
ან ჟურნალს უდარდელად რატომ არ ათვალიერებენ,
როცა კაცები დედამიწიდან მათთან რაკეტებით ჩადიან

და რატომ დგანან ყოველთვის ნახევარწრეში,
იარაღით ხელში, შიშველი ფეხებით,
და მკერდზე ჯავშნით.

შეკითხვები ანგელოზების შესახებ

ალბათ რამდენი რამ გაინტერესებთ ანგელოზების შესახებ.
მაგრამ ერთადერთი შეკითხვა, რაც ოდესმე გაგიგიათ, არის –
რამდენი ანგელოზი იცეკვებდა ქინძისთავის წვერზე.

არავის აღელვებს, ანგელოზები როგორ გადიან მარადისობას,
ან ზეცაში ლათინურად როგორ გალობენ,
დედამიწაზე როგორ აწვდიან ლუკმას განდეგილს, ან
გოგო და ბიჭი ბეწვის ხიდზე როგორ გადაჭყავთ.

უფლის სხეულში ფრენენ და იქიდან სიმღერით გამოდიან?
ბავშვებივით ქანაობენ ციური სამყაროს კარზე და
თავის სახელებს წაღმა-უკუღმა არაკრაკებენ?
მარტოდმარტო სხედან ბაღებში და ფერებს იცვლიან?

და როგორ სძინავთ? რა ნაჭრისაა მათი კაბები?
რა კვებავს მათ ღვთაებრივ ნათელს?
რა ხდება მათ მოციმციმე თავებში? არსებობს კედელი,
რომლის იქითაც იხედებიან და ჯოჯოხეთს უდარდელად ათვალიერებენ?

ანგელოზი ღრუბლიდან რომ ჩამოვარდეს, მდინარეზე ღრმულს დატოვებს,
რომელიც, მდუმარე ასოებად დაშლილი,
ანგელოზური სიტყვებით აივსება და დინებას უსასრულოდ გაჰყვება?

ანგელოზმა რომ წერილი მოგიტანოს,
ფრთების დამაბრმავებელი ფარფატით მოვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ჩვეულებრივ ფოსტალიონად, სტვენით რომ მიუყვება
შარაგზას ღია ბარათების კითხვით?

არა, ზეციური თეოლოგები მთელ სამეფოს აკონტროლებენ –
ერთადერთი შეკითხვა, რაც კი დასმულა, არის
ქინძისთავის წვერზე პაწაწინა საცეკვაო მოედნის შესახებ,
სადაც ანგელოზების შარავანდედი უხილავს ხდის მათ ნატიფ რხევას.

ეს ის შეკითხვაა, როცა პასუხი გვგონია მილიონები,
მილიარდები. პასუხის ძებნაში ციფრების საზღვრებს ვკვეთთ და
უსასრულობაში ვიკარგებით, მაგრამ ალბათ პასუხი არის უბრალოდ ერთი:
მხოლოდ ერთი ანგელოზი აბრეშუმის წინდებში
ცეკვავს მარტო, უკრავენ ჯაზს.

ის რტოს ჰგავს ქარში, ხუჭავს მშვენიერ თვალებს,
მაღალი ბასისტი კი საათზე იხედება,
რადგან ანგელოზი ცეკვის დასრულებას არც კი ფიქრობს,
და ახლა უკვე ძალიან გვიანია, მუსიკოსებისთვისაც კი
ძალიან გვიანი.

პოეზიასთან ზიარება

ვთხოვე, აიღონ ლექსი,
როგორც ფოტოფირი,
და სინათლეზე გახედონ,

ან ყური მიადონ და მოუსმინონ მის ფუსფუსს.
ვუთხარი – ჩააგდონ ლექსში თაგვი
და უყურონ, როგორ გაიკვლევს გზას,
როგორ მოივლის ლექსის ოთახებს,
ან ხელის ცეცებით თვითონ მიაგნონ სინათლის ჩამრთველს.
მინდა, რომ ლექსის ზედაპირი
წყლის თხილამურებით გადასერონ
და ნაპირზე მყოფთ, ხელის ნაცვლად, ავტორის სახელი დაუქნიონ.
მაგრამ მათ მხოლოდ ის სურთ,
ლექსი სკამზე მიაბან
და წამებით აიძულონ აღიარება,
შოლტის ცემით ინყებენ,
რომ გაარკვიონ, მაინც რატომ დაიწერა.

დღეს

თუ ოდესმე გაზაფხულის დღე იქნება ისეთი სრულქმნილი,
თბილი ბრიზით ისეთი ამაღლებული,

რომ მოგანდომებს, გამოაღო
ყველა ფანჯარა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გააღო იადონის გალიის კარი,
მართლა, მართლა, გააღო კი არა და, მთლიანად ჩამოგლიჯო,

თუ დადგება დღე, როცა იფიქრებ, რომ აგურის ცივი ბილიკები
და პიონებით აყვავებული ბაღი

მზეზე ამოკვეთესო,
და მოგინდება, აიღო

ჩაქუჩი და სასტუმრო ოთახის
მაგიდაზე, შუშის სუვენირში

მცხოვრებნი თოვლიანი
კოტეჯიდან გაათავისუფლო

და ისინი, ხელჩაკიდებულნი,
გარეთ ამ დიდი,

თეთრ-ცისფერი სახლის თვალიერებით გამოვიდნენ,
გამოდის, რომ დღეს უბრალოდ ასეთი დღეა.

კიდევ ერთი მიზეზი, რატომ არ მაქვს სახლში იარაღი



ჩემი მეზობლის ძაღლი არ ჩერდება.
იგივე ხმაზე და რიტმში ყეფს,
როგორც ყოველთვის, როცა სახლში მარტო ტოვებენ.
ალბათ პატრონები გასვლის წინ ქოქავენ ხოლმე.

ჩემი მეზობლის ძაღლი არ ჩერდება.
სახლში ყველა ფანჯარას ვხურავ
და ბეთჰოვენის სიმფონიას მთელ ხმაზე ვუსმენ,
მაგრამ მუსიკის ფონზე მაინც აღწევს
ყეფა, ყეფა, ყეფა,

და აი, ახლა, ამ ძაღლს ორკესტრში ვხედავ,
ყელი ისე ამაყად მოუღერებია, თითქოს ბეთჰოვენს
მყეფარე ძაღლისთვის ცალკე პარტია დაეწეროს.

როცა მუსიკა წყდება, ის,
ჰობოის სექციაში მოკალათებული, კვლავ ყეფს,
და თანაც, თვალს არ აშორებს დირიჟორს,
რომელიც თავისი ჯოხით რაღაცას ემუდარება,

პატივისცემით განმსჭვალული ორკესტრანტები კი
უხმოდ უსმენენ სახელოვანი მყეფარე ძაღლის სოლოს,
ამ დაუსრულებელ ფინალს, რომელიც ნოვატორმა გენიოსმა,
ბეთჰოვენმა, პირველმა შექმნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიის გაკვეთილი

დილით ადრე, როცა ისტორია ტახტზე
ჯერ კიდევ მძიმედ ხვრინავდა,
მისი პალტო საკიდიდან ჩამოვხსენი
და მთელი თავისი სიმძიმით მხრებზე მოვიცვი.

ვიფიქრე, ჩვენი ხანგრძლივი, ღამეული საუბრის შემდეგ,
ის სულაც არ იქნებოდა წინააღმდეგი,
თუ მისი პალტო სიცივისგან დამიცავდა,
როცა სოფელში რძისთვის და ახალი გაზეთებისთვის წავიდოდი.

როგორ არ ველოდი მის მძვინვარებას,
როცა უკან ლოლუებასხმული დავბრუნდი და განცვიფრებული ვუცქერდი,
როგორ იქექებოდა პალტოს უზარმაზარ ჯიბეებში,
ვიდრე არ დარწმუნდა, რომ არცერთი დიდი ბრძოლა და ინგლისის არცერთი დედოფალი
ჯიბიდან არ ამომვარდნია და თოვლში უკვალოდ არ დამიკარგავს.

ემილი დიკინსონის გახდა

ჯერ თხელი მოსასხამი –

სულ იოლად ვხსნი მხრებიდან და
ხის სკამის ზურგზე ვკიდებ.

შემდეგ ქუდი,
ფრთხილად ვწევ ჩემკენ და ბაფთას ვხსნი.

ამას მოჰყვება უფრო რთული რამ – კოჭებამდე გრძელი,
თეთრი კაბა, ზურგზე იმდენი და ისეთი პაწაწინა სადაფის ღილებით ერთიანად ჩაღილული,

რომ მთელი მარადისობა გადის, ვიდრე ჩემი ხელები,
თითქოს ცურვისას წყალს აპობენო,
ქსოვილს გაყოფენ და შიგნით შესრიალდებიან.

ალბათ ისიც უნდა ვთქვა, რომ
ის მაღლა, საძინებელში, ღია ფანჯარასთან უძრავად დგას
და ოდნავ გაფართოებული თვალებით
ბაღს გადაჰყურებს,
მის ფეხებთან კი თეთრი კაბა გუბესავით
მოჩანს მუხის იატაკზე.

არ შეიძლება, არ აღვნიშნო
ქალის თეთრეულის სირთულე
მეცხრამეტე საუკუნის ამერიკაში.
გეზი მისი აისბერგული სიშიშვლისკენ მაქვს აღებული და
მთელს ამ სამაგრებში, შესაკრავებსა და ფოლაქებში,
დამჭერებში, თასმებსა და ვეშაპის ძვლის ღვედებში,
პოლარული მკვლევარის მსგავსად, წინ მივიწევ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოგვიანებით, წიგნაკში ჩავწერ:
ეს გედით ქროლას ჰგავდა ღამეში.
რა თქმა უნდა, ვერ გიამბობთ –
როგორ დაეკარგა მზერიდან ბაღი,
როგორ ჩამოეშალა სარჭის გარეშე დარჩენილი თმა,
და როგორ გაჩნდნენ საიდანღაც დეფისები
უცებ, როცა ალაპარაკდა,

მხოლოდ ერთს ვიტყვი: იმ შაბათს
ამჰერსტში საშინელი დუმილი იდგა –
არაფერი ისმოდა სახლის წინ ეტლის ჭრიალისა
და ფანჯრის რაფაზე ბუზის ბზუილის გარდა

და აშკარად გავიგე, როგორ ჩაისუნთქა,
როცა კორსეტის ზედა,
ბოლო სამაგრი შევუხსენი

და როგორ ამოისუნთქა, როცა, როგორც იქნა,
კორსეტი მთლიანად მოეშვა,
ასე მკითხველი გრძნობს ხოლმე შვებას,
როცა ხვდება,
რომ იმედს აქვს ფრთები,
რომ გონება ერთი პატარა ფირფიტაა,
რომ ცხოვრება დატენილი იარაღია,
რომელიც თავისი ყვითელი თვალით პირდაპირ შენ მოგჩერებია

სასქუეჰანაზე თევზაობა ივლისში

გულწრფელი ვიქნები –
არასოდეს მითევზავია სასქუეჰანაზე
და არც რომელიმე სხვა მდინარეზე.
არც ივლისში და არც სხვა რომელიმე თვეს
არ მქონია ეს სიამოვნება – თუ ეს საერთოდ სიამოვნებაა –
მეთევზავა სასქუეჰანაზე.

ჩემი ნახვა უფრო რაღაც ამის მსგავს
მყუდრო ოთახში შეიძლება:
კედელზე ქალის პორტრეტით,

მაგიდაზე მანდარინით სავსე თასი კი
უცნაურ შეგრძნებას ბადებს –
სასქუეჰანაზე თევზაობის შეგრძნებას,

რა თქმა უნდა,
ვიღაცეები თევზაობენ
სასქუეჰანაზე,

მდინარეს აღმა მიუყვებიან ხის ნავებით,
ნიჩბებს წყალში ღრმად ყოფენ
და შემდეგ მზეზე ამოაქვთ.

ყველაზე ახლოს
სასქუეჰანაზე თევზაობასთან
ფილადელფიის მუზეუმში ვიდექი, ერთ ნაშუადღევს,

როცა ერთი ნახატის წინ შევჩერდი,
რომელზეც
ეს მდინარე მიიკლაკნებოდა

ლურჯი, ღრუბლად აზვირთებული ცის ქვეშ.
ხშირი ხეები ჩანდა მდინარის პირას
და ერთი ბიჭი პატარა, მწვანე ნავში,

თავზე წითელი ბენდენით
და ხელში წვრილი ნიჩბით,
ეს ისაა, რასაც მე ალბათ
არასოდეს გავაკეთებ – მახსოვს,
გავიფიქრე და ვუთხარი კიდეც ჩემ გვერდით მდგომს.

მერე განვაგრძე
ამერიკის სხვა ხედების თვალიერება –
თივის ზვინები, ქვებზე მოქათქათე წყალი

და ერთი ყავისფერი ბოცვერი, რომელიც
ისეთი ცქვიტი და აღზნებული ჩანდა,
რომ მეგონა, ჩარჩოდან გადმოხტებოდა.

ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ



ბილი კოლინსი:
„პოეზია, პირველ რიგში, სიამოვნებაა“

მიუხედავად თავისი სტატუსისა (ყოფილი პოეტი-ლაურეატი) და დიდი კომერციული წარმატებისა, ბილი კოლინსი აცხადებს, რომ ლიდერობა მისი საქმე არ არის. „ლიდერობა ჩემი გადმოსახედიდან ნიშნავს, რომ არსებობს კონკრეტული ადგილი, რომლისკენაც ადამიანებს უნდა გაუძღვე, მაშინ, როცა პოეზია გულისხმობს ორაზროვნებას, ამბივალენტურობასა და გაურკვევლობას.“ – ასე ამბობს ბილი კოლინსი, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც დათანხმდა, მონაწილეობა მიეღო „ვაშინგტონპოსტის“ გადაცემაში „ლიდერობის შესახებ“.

ლილიან ქანინგემი: რას ნიშნავს სიტყვა „ლიდერობა“ თქვენთვის?

ბილი კოლინსი: სიმართლე რომ ვთქვა, არც ისე დადებითად ვარ განწყობილი. პირველი, რაც მახსენდება, – და უნდა აღვნიშნო, რომ სამწუხაროდ ასეა, – არის ენერგიული სპიკერის ფენომენი. მგონი, ეს უკავშირდება იმ ისტერიას, რაც ატეხილია ადამიანის თვითრწმენის ამაღლების ირგვლივ. ეს იმისკენაა მიმართული, რომ ადამიანმა საკუთარი თავის ირწმუნოს და ლიდერად ჩამოყალიბდეს, არა? მახსოვს, დიდმა მწერალმა უილფრიდ შიდმა თქვა, როცა ბავშვი ვიყავი, საკუთარ თავში დაურწმუნებელ ადამიანს სხვა სახელი ჰქონდა, მას თავმდაბალს უწოდებდნენო. მაშინ ეს ადამიანის ღირსებად ითვლებოდა და არაფერი ჰქონდა საერთო ადამიანის ფსიქოლოგიურ აშლილობასთან.

ლილიან ქანინგემი: შესაძლებელია, პოეტი გახდეს ლიდერი?

ბილი კოლინსი: მიმაჩნია, რომ პოეზიას უფრო მშვიდი ნიშა აქვს. ჩემთვის ლიდერობა საზოგადოებრივი საქმიანობაა.

პოეზიას დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია – შეუძლია, ადამიანს განუვითაროს წარმოსახვა, წაიყვანოს სამოგზაუროდ უცხო ადგილებში, უდიდესი ვერბალური სიამოვნება მიანიჭოს. რაც შეეხება ლიდერობას, ლიდერობა ჩემი გადმოსახედიდან ნიშნავს, რომ არსებობს კონკრეტული ადგილი, რომლისკენაც ადამიანებს უნდა გაუძღვე, შენ გაკისრია კონკრეტული მისია და გაქვს გარკვეული მიზანი. მე არა მგონია, რომ პოეტები ასეთი მიზანდასახულები არიან.

ეს გარკვეულწილად იმაზეცაა დამოკიდებული, როგორ იღებს ლექსს მკითხველი ან მსმენელი. ვფიქრობ, პოეტს თუ ლიდერობა სურს, მან ხალხს არაორაზროვანი და ნათელი მესიჯი უნდა მიაწოდოს, მაშინ, როცა პოეზია ორაზროვნებას, ამბივალენტურობასა და გაურკვევლობას გულისხმობს.

ლილიან ქანინგემი: უამრავი ბიზნეს-ლიდერი, პოლიტიკოსი თუ არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი საუბრობს საკუთარ პასუხისმგებლობაზე საზოგადოების მიმართ. თქვენ თუ მიგაჩნიათ, რომ შემოქმედ ადამიანებს აქვთ ასეთი პასუხისმგებლობა?

ბილი კოლინსი: თუ ერთადერთი, რაც ხელოვან ადამიანს ამოძრავებს, ესაა სოციალური პასუხისმგებლობა, მაშინ ხელოვნება უკანა პლანზეა გადასული, რადგან, ისევ გავიმეორებ, რომ, როგორც ლიდერს აქვს თავისი განსაზღვრული დანიშნულების ადგილი ან მიზანი, სოციალურ პასუხისმგებლობას ალბათ საკუთარი, ძალიან ნათელი მორალური კონტექსტი უნდა ჰქონდეს.

არ მინდა ისე ჩამითვალოთ, თითქოს მინდა ესთეტი გამოვჩნდე, მაგრამ შემოქმედი ადამიანი ხელოვნების ერთგული უნდა იყოს. ეს კი ხელოვნების ტრადიციების და ამავდროულად, საკუთარი ხედვის ერთგულებას გულისხმობს. შეიძლება, ძალიან მაღალფარდოვნად მოგეჩვენოთ, მაგრამ, ჩემი აზრით, წერა და შემოქმედება ეპისტემოლოგიური პოზიციის გამოხატვაა – რაც ნიშნავს, რომ შენ აფიქსირებ, თუ როგორ ხედავ სამყაროს, აფიქსირებ იმ კუთხეს, საიდანაც უყურებ სამყაროს. სულ ესაა, რასაც მე ვგრძნობ – ჩემი პასუხისმგებლობა ნათელია: უნდა ვუყურო ცხოვრებას იმ კუთხიდან, რომ ბოლოს მივაგნო ჭეშმარიტებას, ან ერთ წვეთ მშვენიერებას.

ხელოვანისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი წარმოსახვის, საკუთარი ხედვის, იმ ინსტრუმენტის ერთგულება, რომლითაც მუშაობს, ვიოლინო იქნება ეს თუ ლექსიკონი. უნდა მოუსმინოს იმ მევიოლინეებსაც, ვისაც მანამდე დაუკრავს, და წაიკითხოს რაც შეიძლება ბევრი ლექსი, იმდენი, რამდენსაც შეძლებს. ეს არის ჩემი პასუხისმგებლობის გრძნობა. ესაა ხელოვანის პასუხისმგებლობა, ის განსხვავდება პოლიტიკური თუ ფინანსური პასუხისმგებლობისგან, ამ პასუხისმგებლობას არა აქვს მატერიალური სახე.

ლილიან ქანინგემი: როგორ დაახასიათებდით საკუთარ ბუნებას? წლებთან ერთად შეგეცვალათ თუ არა აზრი საკუთარ თავზე?

ბილი კოლინსი: ამ რამდენიმე წლის წინ, ერთმა ჩემმა კოლეგამ ჩემი პოეზიის საღამოზე, ერთ კოლეჯში ასე წარმადგინა: *როცა პირველად გავიცანი, ბილი იყო პროფესორი, რომელიც, მერე გავიგე, რომ გახდა პოეტი, ახლა კი არის პოეტი, რომელიც ამავე დროს არის პროფესორიც...*

სწორედ ესაა, რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა. დავამთავრე სკოლა, კოლეჯი, მერე დავიცავი დისერტაცია. ამის შემდეგ ნიუ-იორკის უნივერსიტეტში ვასწავლიდი. რაც შეეხება ლექსებს – საკმაოდ გვიან გამოვიდა ჩემი პირველი წიგნი, უკვე 40-ს გადაცილებული ვიყავი. ასე რომ, ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. დიდი ცვლილება მოხდა. მანამდე ლექსებს მალულად ვწერდი, თანაც დიდი დრო დამჭირდა, ვიდრე მივხვდებოდი, როგორ მეწერა კარგად.

ლილიან ქანინგემი: საკუთარ თავს როგორ დაახასიათებდით? შეგიძლიათ თქვათ, რომ მხიარული ხართ? ან დისციპლინირებული? რომელ ზედსართავ სახელს გამოიყენებდით საკუთარი თავის დასახასიათებლად?

ბილი კოლინსი: იქიდან დავიწყებ, რომ როგორც პოეტი, და ალბათ, როგორც პიროვნებაც, მამას ვგავარ. რაღაც თვისებებით, ალბათ დედასაც, მაგრამ უფრო მამას. მამა იყო მხიარული, სარკასტული, ძალიან კონტაქტური, ენაწყლიანი. მე მთელი ცხოვრება მას ვბაძავდი. ყოველდღიურ ცხოვრებაშიც და წერის დროსაც, ვცდილობ, მასავით გონიერი ვიყო.

დედას კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა, იყო გულისხმიერი, ემოციური, ხელგაშლილი, თუმცა, მამაზე უფრო თავშეკავებული და უფრო ღრმაც. მარტივად რომ ვთქვა, მამა ჩემი თავია, დედა კი გული.

ახლა უკვე მგონია, რომ იმ წერტილს მივაღწიე, როცა ჩემი მშობლების თვისებები თანაბრად მაქვს. ეს გამოხატულია ჩემი ცხოვრების წესში, ჩემს პიროვნულ თვისებებში, ასევე იმ პიროვნებაში, რომელიც ჩემს პოეზიას წერს.

ლილიან ქანინგემი: ფიქრობთ, რომ თქვენი საზოგადოებრივი იმიჯი უთანაბრდება თქვენი თვალით დანახულ ბილი კოლინსს?

ბილი კოლინსი: უნდა აღვნიშნო, რომ ხშირად ჩვენ არასწორად აღგვიქვამენ და გვიგებენ არათუ უცხო ადამიანები, არამედ ოჯახის წევრები და მეგობრებიც კი. როცა ადამიანი ხდება საზოგადოებისთვის ცნობილი, იძენს მაყურებელს, ან მსმენელს, და მას უამრავი ადამიანი იცნობს, უფრო დიდია რისკი, რომ საზოგადოებამ არასწორად გაუგოს.

ადამიანებს, რომლებიც გიცნობენ როგორც პოეტს და კითხულობენ შენს ლექსებს, გხედავენ ტელევიზორში, გისმენენ რადიოში, სიმპათიით არიან განწყობილნი შენ მიმართ, უფლებათ განცდა, რომ მათი ახლობელი ხარ და ყველაფერი იციან შენ შესახებ. უამრავი ადამიანი მიგზავნის ლექსებს, თუმცა, არც კი ვიცი, რატომ. ის ლექსები არაფრით ჰგავს ჩემს ლექსებს. მათ ალბათ ჰგონიათ, რომ ამ ლექსების წაკითხვის შემდეგ მე მათთან სულიერ კავშირს ვიგრძნობ.

მე მყავს საკუთარი თავი, რომელიც ხალხს საზოგადოებრივ ადგილებში ლექსებს უკითხავს, ასევე, მყავს საკუთარი თავი, რომელიც ქმნის ლექსებს – ეს კი ძალიან პირადულ ადგილებში ხდება. მე, შეიძლება, ლექსი მეტროშიც დავწერო, მაგრამ ამ დროს შეკეტილი ვარ ლექსების შექმნის სამყაროში და ამიტომ, იმ მომენტში, ისიც პირადული ადგილია. ლექსს ერთი კონკრეტული ადამიანისთვის ვწერ, შემდეგ, რამდენიმე ასეული ადამიანის წინაშე დგომა და ლექსების კითხვა სულ სხვაა. წარმოიდგინეთ, რომ ის ერთი ადამიანი, რომლისთვისაც მე ლექსი დავწერე, უცებ 500-ზე გაამრავლეს და ახლა ისინი, ყველანი, დარბაზში სხედან. მე ორივე მომწონს – ლექსის წერაც და შემდეგ კითხვაც. მაგრამ ორივეს განსხვავებული ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში.

ლილიან ქანინგემი: ***ხომ ვერ მოგვიყვებით ამბავს, ან ინციდენტს, რომელმაც თქვენი შეცდომა დაგანახათ, ან პირდაპირ რომ ვთქვათ, გაკვეთილი იყო თქვენთვის?***

ბილი: ასეთი ამბავი ბევრი მომხდარა, მაგრამ ახლა ერთი სრულიად საპირისპირო შემთხვევა მახსენდება. ეს შეეხება ჩემს მასწავლებლობას, რაც ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია.

პოეზიის გაკვეთილებზე სტუდენტებს ლექსების დაზეპირებას ვავალებდი, რადგან მიმაჩნდა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სტუდენტი მთელი სემესტრის განმავლობაში არაფერს ჩაიწერდა, არაფერს მოისმენდა, ჩემი გვარიც კი არ ეცოდინებოდა, გაკვეთილზე ნასწავლი სტროფები მაინც დაამახსოვრდებოდა.

ერთ დღეს, ნიუ-იორკის მეტროში, ერთმა ახალგაზრდა კაცმა მიცნო. ჩემი ყოფილი სტუდენტი აღმოჩნდა. დაახლოებით ათი წლის წინ ვასწავლიდი. იმ დროისთვის უკვე წარმატებული ონკოლოგი იყო. მე მივულოცე წარმატება. უცებ მან მითხრა „თქვენ ლექსების დაზუთხვას გვაიძულებდით." „ასეა." დავეთანხმე მე. „ახლა მინდა, ლექსი წაგიკითხოთ."

და ემილი დიკინსონის ლექსი წამიკითხა, რომელიც მთელი ეს წლები ტვინში ჰქონდა ჩაბეჭდილი, ალბათ, გულშიც. მატარებლის ხმაურში ჩამყვიროდა იმ ლექსს. მგონი, ეს საუკეთესო მომენტი იყო ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკაში. ეს შემთხვევა არასოდეს დამავიწყდება.

ლილიან ქანინგემი: როგორ ფიქრობთ, რატომ დაგამახსოვრდათ ეს შემთხვევა?

ბილი კოლინსი: იმიტომ, რომ სწავლება ჩემთვის მისტიკური პროცესია. შენ შენს ცოდნას, მთელ ინფორმაციას, გარკვეული თვალსაზრისით, წყვდიადში ისვრი. წარმოიდგინეთ, მთელი საათი სულ უფრო და უფრო ახალგაზრდა ადამიანების ჯგუფს ელაპარაკები და როცა ოთახიდან გამოდიხარ, ზოგჯერ კმაყო-

ფილ ხარ, რადგან კარგი ჯგუფი გყავდა, ზოგჯერ არც ისე ემაყოფილი. თუმცა, არცერთ შემთხვევაში, დარწმუნებული არ ხარ, რა შედეგი მოჰყვება შენს ლექციებს.

ეს შემთხვევა კი იმის დემონსტრაცია იყო, რომ ვიღაცამ რაღაც მართლა ისწავლა. მე ისიც ძალიან მომეწონა, რომ იმ ახალგაზრდამ, პროფესიით ექიმმა, რომელსაც ლიტერატურასთან კავშირი არა აქვს, ემილი დიკინსონის ლექსი ზეპირად იცოდა.

ლილიან ქანინგემი: რა სიკეთე მოაქვს პოეზიას?

ბილი კოლინსი: პირველ რიგში, პოეზია სიამოვნებაა. ძალიან ადვილია პოეზიის შესახებ პათეტიკური განცხადებების გაკეთება, მაგრამ, ჩემი აზრით, თუ პოეზიას სიამოვნება არ მოაქვს, არა მგონია, მისი წაკითხვა ღირდეს. უილიამ ვორდსვორტის 1798 წლის ლირიკული ბალადების კრებულის პროლოგში სიტყვა „სიამოვნება" 50-ჯერაა ნახსენები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან თუ ადამიანს რაღაც სიამოვნებას ანიჭებს, მაშინ ყველა სხვა დადებითი ემოცია სულ ადვილად დაეუფლება. თუ პოეზიით სიამოვნებას ვერ იღებ, მაშინ კითხვა უნდა შეწყვიტო.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ლექსი ადამიანს წარმოსახვის შესაძლებლობას აძლევს. ლექსს ადამიანი მყისიერად გადაჰყავს სხვადასხვა ადგილებში, რაც პროზის თვისება არ არის. პოეზია, ხელოვნების სხვა ყველა მიმართულებებისგან განსხვავებით, მკითხველს ყველაზე მაღალ, ღრმა, ფართო და ემოციურ თავისუფლებას ანიჭებს.

პოეზიის კიდევ ერთი თვისება ისაა, რომ ის ყველა ადამიანურ ემოციას იტევს. ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანური ემოციის ისტორია. ამიტომაა, რომ ჩვენი ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მომენტებში, ქორწილსა თუ დასაფლავებაზე, თუ სხვა რიტუალის დროს, ხშირად კითხულობენ ლექსს. ლექსი ადამიანურ ემოციას გამოხატავს, სიყვარული იქნება ეს თუ მწუხარება, და საუკუნეებს უძლებს. ის ემოციაც, რაც ჩვენ დღეს გვეუფლება, ჩვეულებრივი ადამიანური ემოციაა.

პოეზია ერთადერთი ისტორიაა, რომელიც ადამიანური ემოციის შესახებ მოგვითხრობს. ისტორიის წიგნების უმეტესი ნაწილი გვიამბობს ბრძოლებისა და ომების, ხელშეკრულებების, მოლაპარაკებების, თავის კვეთისა და მეფედ კურთხევის შესახებ. პოეზია კი ერთადერთია, რომელიც გვინახავს ადამიანების ემოციურ ცხოვრებას, რაც ადამიანის ძირითადი ნაწილია.

ლილიან ქანინგემი: ახლა მინდა დაგისვათ ერთი შეკითხვა და აქვე უნდა ვაღიარო, რომ წარმოდგენა არა მაქვს, რას მიპასუხებთ: თქვენი ყველაზე გაბედული საქციელის შესახებ რას იტყვით?

ბილი კოლინსი: ვფიქრობ, რომ ეს ჯერ კიდევ წინ მაქვს.

ლილიან ქანინგემი: ახლა კი შეკითხვა, რომელსაც გადაცემის ყველა სტუმარს ვუსვამთ, თქვენ როგორც გნებავთ, ისეთი ინტერპრეტაცია გაუკეთეთ. რისი გწამთ?

ბილი კოლინსი: რისი მწამს? გააჩნია. შემიძლია გითხრათ, ახლა რისი მწამს. მე მწამს შემოქმედის. ის ქალია, თუ კაცი, თუ უსულო, მნიშვნელობა არა აქვს – მე მწამს შემოქმედებითი ძალის. თუმცა, ადამიანს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ დამლილი საათის ნაწილებს მაღლა აისვრის და ის მიწაზე აწყობილი დაეშვება.

მაგრამ მე არ მჯერა სიცოცხლის სიკვდილის შემდეგ. მე მჯერა შემოქმედის, რომელმაც ეს ყველაფერი შექმნა. ჩვენ აქ ვართ და შემდეგ, შემოქმედი გეკითხება: „ამაზე მეტი გინდა? გინდა უკვდავება? კი, მაგრამ, ის არ გყოფნის, რომ ამ ქვეყანაზე მოგავლინე?"

ლილიან ქანინგემი: ახლა მახსენდება თქვენი ძველი ინტერვიუ, სადაც ჟურნალისტის შეკითხვაზე, როგორი უნდა იყოს კარგი პოეტი, თქვენ პასუხობთ, რომ კარგი პოეტი არასოდეს არ უნდა შეეგუოს ფაქტს, რომ ცოცხალია, და მუდმივად აღფრთოვანებული უნდა იყოს მის გარშემო არსებული სამყაროთი.

ბილი კოლინსი: ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ვსაუბრობთ იმ ემოციებზე, რასაც პოეზია იტევს, როგორიცაა სიყვარული ან მწუხარება, მაგრამ მასში ასევე არის ქვედინებაც, რომელიც ხშირად ამოდის ზედაპირზე, და ამას ჰქვია მადლიერება. შეიძლება, მოძველებულად ჟღერს, მაგრამ ესაა მადლიერების გრძნობა, რომ ცოცხალი ხარ.

ძალიან ადვილია სიცოცხლის დაკარგვა, თუმცა, ასევე ადვილია, გათავხედდე და უცებ იფიქრო: „რა თქმა უნდა, აქ ვარ, აბა, სხვაგან სად უნდა ვიყო?"

სიცოცხლე, შესაძლოა, შეწყდეს ავარიით, ავადმყოფობით, უბედური შემთხვევით, ან ისეთი ტრაგედიით, როგორიც იყო 9/11, და ამ დროს ადამიანის სიცოცხლე ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება. 9/11-ის შემდეგ, ხშირად გამიგონია წყვილის ნათქვამი: „ჩვენ მომავალ წელს ვაპირებდით დაქორწინებას, მაგრამ ახლა ორ კვირაში დავქორწინდებით."

პოეზია ამის შესახებ უკვე ათასობით წელია, რაც საუბრობს. თუ პოეზიას კითხულობ, არ არის აუცილებელი, ავარიაში მოხვდე და გადარჩე, რათა გააცნობიერო, რომ ცხოვრება მშვენიერია.

ბილი კოლინსს ესაუბრა ვოშინგტონ პოსტის „ლიდერობის შესახებ" გადაცემის რედაქტორი **ლილიან ქანინგემი**

10.03.2014.

ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

2 პოეზია

ხვიჩა ყალაბეგაშვილი

რიმეიკები

ანი ბანი და განი *(რატი ამაღლობელი)*

პოეტურად ანგაჟირებულის ალუზია – აპოლიტიკური იდეალიზმი

ანი ბანი და განი და,
ზოგს მიშა უნდა თავიდან,
ზოგი ოცნებობს ხმამაღლა,
ზოგიც გამოდის კარიდან...
პოლიტიკური განედი ვერ გავისიგრძეგანე და
ფიხტეს რად ახლავს რეპები,
რად დადის ხალხი მდარედა?
მე რად არ მიყვარს სამშობლო –
ხუთამდე თუ ვერ ვთვალე და
თუ არა მწადის ოცნება
ან გული ბრბოს არ დანებდა...
რად მათხოვრობენ მდიდრები
რად მთხოვენ ხმები მამე და
რად მპირდებიან სასახლეს
თუ ბათუმს იძენს მამედა...
სად იყვნენ ჩემი მხსნელები
მე რომ ხურდები ვთვალე და
პურს გამოზომვით ვკენკავდი
ზამთარში მავარვარებდა...
ანი ბანი და განი და
ისევ დაიწყეს თავიდან
გამოძვრნენ გველის ტყავიდან
ოლარი მოიფარეს და
ბრბო უცნაურად შემოსეს
ერთმანეთს გადაჰყარეს და
საჩინო სუფრას მიუსხდნენ
ჭამეს და იხარხარეს და...
ანი ბანი და განი და
ეს არჩევნები არ მინდა,
მინდა ძმა მყავდეს ჭკვიანი
და კიდევ ბრძენი და მინდა
ის ოქტომბერი წავიდა,
ამ ოქტომბერსაც ავიტან,
ღმერთო, მომეცი შეძლება,
ისევ დავიწყო თავიდან,
თითს არ მიქნევდეს პატრონი,
არც მთიდან, არცა ბარიდან,
გვერდში მოვისხა მუზები,
ხელისუფალი ჰაიდაااااااა...

სალვთომან ნისლმან *(შალვა ბაკურაძე)*

გურამ რჩეულიშვილის ალუზია – დახრჩობას გადარჩენილ ქალბატონს

ზღვამ დაიფაროს ყველა კაცი,
ზღვამ აზიაროს დამხრჩვალები,
ზღვამ ამომივსოს თვალი
ამ სიმღერაში, რომლისთვისაც
მშრალ ქვიშანარევ სანაპიროს
სიკვდილს ვახატავ მთვრალი.

ზღვამ დამიმალოს მზე და მთვარე
ამ ქვიშიანი ლაყუჩებით
კვლავ მაბუტბუტოს „ღმერთი“,
რომ უღმერთობა კიდევ ერთხელ,
რომ უღმერთობა ავიტკიო
სხვა არაფერი მეტი.

აქ ყველაფერი ზევითაა,
აქ ყველა მკვდარი შენთვის ცოცხლობს
და ფსკერზე ვხვდები, მენდე,
რომ ეს დამხრჩვალები დღევანდლამდე
უ-ერთმანეთოდ, როგორ ძლებდნენ,
ზღვას ელოდნენ და ძლებდნენ.

კვდება ჩემი ხსოვნაც უმარილო,
ზღვით ფილტვებდამეწყრილ მეგობრებად,
ფიქრებგადაპარსულ აღთქმად,
რომ ჩემი ლოცვა წყლის ფსკერიდან
სხვათა მზით გარუჯულ ბაგეებით
როგორმე სიტყვებად გავთქვა.

მინდა სიცხით მთვრალმა ზღვისპირეთში
ჩემი მლაშე გემო მოიყუდო,
სხვები ველარავინ გაიხსენო,
ყველა დაივიწყო ზღვამდე,
ქვიშით ავსებული გულისღრიჭო
თვალებდახუჭულმა ამომიშრო,
ფილტვებდამეწყრილმა დამიჯერო,
წამდე.

მინდა ყველაფერი დაგავიწყო,
მინდა ყველაფერი გაპატიო,
მინდა ეგ ფილტვები ამოგივსო
ჩემი ჩასუნთქული წყლებით,
რომ აქ ჩემთან ერთად,
რომ აქ დამხრჩვალებთან,
მზეზე ოცნებობდე
წლობით.

გაქსუ *(რეზო გეთიაშვილი)*

ჯარიკაცის ალუზია –
ავტობუსში ფეხზე მდგარ გოგონაზე

სადაც ქვედაბოლო გიმთავრდება
და შენი ფეხები იწყებიან
შენი ფეხებიდან დაწყებული
ჩემი უსაშველო ფიქრებია.
არ ღირს მობრუნება პირით – აქეთ
მკერდთან ღილებს შორის ჭრილებია,
მანძილს ჭრილებს იქით ვუყურებ და
ჩემი გარუჯული თითებია,
თანაც თითებს იქით სტიქიაა,
თანაც თითებს იქით ზვირთებია.
სადღაც ნიკაპს ზემოთ ტუჩებია –
ფარჩაგადაცმული დედოფლები,
თითქოს ყველაფერი წესრიგშია,
თითქოს შენი ნებით გეუფლები.
ხედით სხვა მგზავრებმა გაიხარონ,
ნახონ სანახავი არის რაც კი.
მთელი უშენობის მფლობელი ვარ,
მიწებდაკარგული ჯარისკაცი.

ჯოხი ცაში *(შოთა იათაშვილი)*

ქართველი მელომანის ალუზია –
რომელმაც ღამე ორთოდოქს მეგობართან გაათენა.

ვიჯექი და ვუსმენდი –
ციდან ანგელოზთა გალობა ჩამესმოდა.

გაკვირვებული ვაყურადებდი,
სმენას ვძაბავდი,
არაფერი იცვლებოდა –
ციდან ანგელოზთა გალობა ჩამესმოდა.

შუადღე იყო.
ასალაგებელ საწოლზე ვიჯექი და,
ტრადიციულად, შეკეთებულ „ხიხანს“ ვეწეოდი,
თოვდა გარეთ და –
ციდან ანგელოზების გალობა ჩამესმოდა.

რატომ იციან ანგელოზებმა ქართული,
ან მე რატომ ჩამესმოდა მათი გალობა,
ვერ ვხვდებოდი –
სმენას ვძაბავდი,
და ვძაბავდი გონებას, მაგრამ
არაფერი იცვლებოდა
არც არავინ მცემდა პასუხს,
გარეთ თოვდა, ბარდნიდა,
მეგობარი საწოლში იზმორებოდა,
ციდან ანგელოზების გალობა ჩამესმოდა.

„slayer“-ს რომ ვუსმენდი წუხელ
ალბათ ამიტომ მაწვალებს ღმერთი,
ან ეშმაკი მეხუმრება.
ღმერთს უნდა, რომ საგალობლებს ვუსმინო
და საბოლოოდ მოკლას ჩემში მეტალისტი –
დავასკვენი.
ავდექი, ჩემი „ipod“-ის ძებნა დავიწყე.
დიდხანს ვეძებე.
ბოლოს ჩემი მეგობრის საწოლში ვიპოვე.
დავბრუნდი საწოლთან,
ჩამოვჯექი
და მოვემზადე „slayer“-ის მოსასმენად.

ციდან ანგელოზების გალობა ჩამესმოდა.
ყურსასმენები ყურთან მივიტანე,
არ შემეტია,
თურმე უკვე მეკეთა ყურსასმენები,
ჩემი მეგობრის ყურსასმენები.
ციდან ანგელოზების გალობა ჩამესმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიხსენი მეგობრის ყურსასმენები,
გავიკეთე ჩემები,
ყურში „slayer“-ის ხავილი ჩამესმოდა.
გარეთ თოვდა,
მეგობარი იზმორებოდა,
ყურში „slayer“-ის ხავილი ჩამესმოდა.
მგალობელი ანგელოზები გაჩუმდნენ.

მე გადავგვარდი?
თუ ჩემი მეგობარი გადაგვარდა?
თუ ჩვენ ჩვენებურად გადავგვარით?
იქნებ გადავრჩით?
თუ უბრალოდ „კანაფის“ ბრალია? –
ვერაფერს მივხვდი,

იმას კი მივხვდი,
მაინც რა სასიამოვნო იყო, როცა

ციდან ანგელოზების გალობა ჩამესმოდა.

***(გულს ვერ უბრძანებ) *(ზვიად რატიანი)*

ლოთი პოეტის ალუზია –
რომელსაც ღვიძლის არ სჯერა

ღვიძლი მეშლება, არ ვსვამო, რომ ამბობენ,
მე არ მჯერა.
მე თუ დალევა მინდა,
უღვიძლოდაც დავლევ:
რასაც მინდა, იმას ჩავისხამ,
რამდენსაც მინდა, იმდენს ჩავისხამ,
რა სასმელსაც მივაწვდი,
იმას შეიწოვს ღვიძლი.
ღვიძლი იმიტომაა ღვიძლი –
დალევა განანოს.

მთვარე ძაღლიშვილი ისე გაიტურა *(გიო საჯაია)*

თბილისელი ქეშის ალუზია –
რომელსაც უნდა, იყოს პოეტი

კატა – მამაძაღლი, ისე გაიტრუნა,
თითქოს თაგვი ნახა იქვე შესასანსლი.
წასვლა მეც კი ვიცი, მაგრამ – გოთვერნულად,
არის მიტოვება პოეზიის ასლი.

ბოლო ჩაყრა იყო, ისიც შევაგროვე
(სადღაც უნდა იყოს ფოლგის მონახევი)
წერა შემიძლია მხოლოდ მოწეულზე,
ფხიზლად არ მცალია, თორემ – ვინ ოხერი.

რაღაც „მალადნიაკ“ „ტრუხას“ მაძალებენ,
დილის პირველიდან ეჭვი მეპარება.
სადღაც ჰაშში მაქვს, დავძლევ „ატხადნიაკს“...
კატა – მამაძაღლი ვირთხას ეპარება.

უბნელს გადავხედე – თვალი ამარიდა,
ისე დაირცხვინა, რაღა დამაბერებს,
მთელი სამეზობლო მაგარ პატივს მცემდა,
ლუდი, კონიაკი – ბევრი არაფერი...

ეს ერთი შედევრიც, ისე, ჩემს მუღამში –
მგონი მოიწია, ძმობას გეფიცები,
თითქოს მოიტანა, სხვისი ლექსებივით,
მთლად ვერც ტიციანი და არც დეფისები.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისისთვის, გეგმა

წვიმა გათეთრდეს, მითქვამს
ან
ვბრძანებ.
გათეთრდეს წვიმა
ან გადავარდეს
დედამიწიდან ყველა
სიმართლე.
ჯერ ჯორი იყო.
სილამაზე,
შესვი, ატარე, ქუჩა-ქუჩა,
დაუფინე ბზა, პალმის რტონი
და ქალაქი რომ აივსება ნათლით, დაბადე
ბერნი გრძნობა, ცრუ სიყვარული.
სამი დღე გავა. გადაიღებს
წვიმა და
თავსხმა.
ჯვარს ვაცვათ იგი,
იგი ჯვარს ვაცვათ.
და ყველა, ვინც კი დაიბადა რამით ლამაზი,
მინდა, რომ მოვკლა.
მინდა მოვკლა სილამაზე,
რომ დედამიწას გადაუვარდეს სიყვარული,
გადაუვარდეს მოუსავლეთში,
სასულეთისკენ.
მე, სერიული მკვლელი აღვსდექი.
ძრწოდეთ,
ვინც დამცინეთ და დამსვით ბნელში.
ვინც ეცადეთ და დამცინეთ და წამართვით
გრძნობა,
ვინც, ეცადეთ და წამართვით
რაღაც,
რაც აკავებდა ჩემში სიძულვილს.
ვინც მეტად მიყვარს ან უარესს,
დავიწყებ მისით.
მოვკლავ სიყვარულს,
მცოცავი მავთულხლართივით მოვედები
ღობეს და ყორეს.
მოვკლავ სიყვარულს...

მაისისთვის, გეგმა ბ

მე არ ვიცოდი, რად ვუყვარდით ასე მოხუცებს,
რომლებიც ისხდნენ თუთის ჩრდილში,
ოთხსავე სეზონს
ისხდნენ და ტკბილი სასუსნავებით
გულს ირთობდნენ, ართავდნენ ამბებს,
ბავშვებს გვართობდნენ.
მაისობისას,
ერთი იყო, გათბებოდა და ჰაიდა, ბუგლი.
ბაღი არ აქვს ჩვენს სოფელს და მხოლოდ მინდვრები,
მხოლოდ ჭალები, ტყეები და მთები გარშემო.
ბავშვები სახლში ან ეზოს წინ,
მაგრამ ბებიებს ხანდახან ძილი ეძალებოდათ,
დავკრავდით ფეხს და
სასაფლაოზე, სასაფლაოზე გვიღამდებოდა.
ყველა მკვდარი გვცნობდა ხმაზე,
ჩვენც ჩვენი მხრიდან
ყველა მკვდრის სულს ვცნობდით ხეებზე.
ვის სულს ოფოფი, ვისას ჩხართვი,
ვისას ბელურა, ვისას მიმინო გამოება ფეხზე და
ასე.
მკვდრების მცნობებს სასაფლაოზე
თვალს გვარიდებდნენ მოხუცები, ოღონდ ცოცხლები,
ვენახებისკენ მიმავლები,
სევდიანები.
ზურგზე ქეჩეჩმოკიდებულნი,
ხბო-კვიცებგამობმულები.
ჩვენ კი დავქროდით საფლავებს შორის,
ვუხსნიდით კარს და ავხსნიდით წყევლას,
მათ სახელებს გავყვიროდით ქარის მხარეზე,
ქარს გაჰქონდა სოფლის ბოლოსკენ —
ივანე ჯარში. ახალგაზრდა ივანე, ჯარში.
მოხუცი კაცი,
დარდმა მოკლა თავისი შვილის.
გუდაუთაში აფხაზებმა მოკლეს ეს ბიჭი,
ამ ბავშვს შემთხვევით მეზობელმა
დიდი მანქანით გადაუარა.
და აი, ბოლოს, სადღაც ბოლოსკენ,
საყდრის იქით ჩამწკრივებულნი,
შინმოუსვლელი კაცები უჯვროდ,
ვისზეც
ბებოები ჰყვებიან ამბებს.
ებრაელების მსგავსად მათ გულზე
ფაშიზმს რომ ღმერთი ამოუქარგავს.

საღამოს პირას,
სახლებისკენ გამორეკილებს

(ვიღაც უცხო, მიწისფერი, გოგირდის ხელი),
გულს გვიმშვიდებდა
ბნელში მდგარი საყდრის კარიდან
ამოსული სანთლის სინათლე.
გიჟი შოთა შემძვრალი წმინდა მუხების წვერზე,
შეჩენილი და მგალობელი, ისიც ჩიტად გადაქცეული.
ბებიები ისხდნენ ღამეში,
გველოდნენ უბრად.
ომი იდგა გაუგონარი, ძმათა მკვლელი,
სამოქალაქო. მათი პირიდან ამომავალი
ნაშიმშილარი მქრალი იმედი.
არ გვჯეროდა,
ომში მოკვდნენ მათი მამ-ძმებიც,
ომში დარჩნენ, სხვა ქვეყნების, მოძმეების ხიდების ქვეშ,
სოფლების მიღმა,
ზღვების პირას ან კი უმიწოდ,
შინმოუსვლელად, სამამულოდ.
მოვიდოდით და კიდევ კარგი, ისე ბნელოდა –
(თვალებში მათი მკვდრები გვეწვინა),
ვერ ჩაგვხედავდნენ.

აპრილისთვის

ლაზარეს შაბათს მოსულმა წვიმამ
არ გადაიღო, არამედ დადგა.
იწვიმა დიდხანს, იწვიმა მთელ დღეს,
ბეთანიელი მართა, მარია – მოდუღებული
რძესავით ადგნენ ლურჯი მთებიდან და
ნისლებს აჰყვნენ.

– ლაზარეო, ლაზარე –
მწყემსი მინდორში ცხვარს ერეკება.
მოდიდდა წყალი,
გადმოვიდა კალაპოტიდან,
ცოცხლებს თუ სხვები ცოცხლად ჭამენ,
არ მიტოვებენ, მკვდრები მე მრჩება.
რამდენიმე დღეც, ავიღებ ვაზის სასხლავ მაკრატელს,
ავიღებ ბარს და მხარზე გავიდებ,
წავიყვან ჩემი ბიძაშვილის პატარა ლუკას,
წავალთ და სოფელს ორლობეში უცხოებად
გავეკიდებით.
გადმოდგებიან დაბრმავებული დედაბრები
გზებზე ჩვრებივით,
გახუნებული ქვრივის კაბები,
ხელის მოჩრდილვით ამოთქვამენ:
„მათი ბალღები“.
სასაფლაო აპრილის, ნოემბრის მსგავსად
ჟანგისფერი.
ღვთისმშობლის საყდარს ზედაშეები ძეებივით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულზე უწყვია.
აქ ეს, იქ ისა –
დაიხრები და ბალახებს აძროობ, პაპა,
ბებიის გულებს ანდა ფილტვებს.
ნეკერჩხლის გრძელი საყურეები ირხევიან
ქარის გარეშე.
ვიღაცა დადის ხის კენწეროზე,
ვიღაცა მუნჯი ორთავეს გვხედავს.
რამდენიმე დღეც –
გაცოცხლებით შიშის ზარს დასცემ.

მარტისთვის

ჩვენ ხომ ვიცით, ჩვენ ორივე ვდუმვართ ამაზე,
თითქმის წლებია, ათასწლეული.
ნუ გეშინია, მე არ გაგთქვამ,
ჩემი ბავშვობის უჟმურ ამბავში.
ჩვენ ხომ ვიცით, რომ ის ტირიფის ხე,
ჩაშტერებული,
საკუთარი ანარეკლისთვის
იმეტებდა წყევლის წკნელებს,
ცოდვის ფოთლებით გივსებდა უბეს,
შენ კი მორევი, სავსე სიყვითლით,
დამუნჯებული
ცას სძირავდი და ცას ახრჩობდი შენსავ წიაღში.
მე მოვდიოდი შორი გზებით – სკოლიდან,
სახლიდან, მეზობლებიდან.
დაგხედავდი და გაკვირდებოდი.
ბოგირზე ვიდექ, და ბოგირიც, გამოჭმული ხის ჭიებისგან,
დარდით ისევე, როგორც შენი მორევი,
ტბორო.
რამდენჯერ შენკენ გამომაგდო სიძულვილმა
ბავშვების, რადგან ვიდექი მარტო, ვიდექი ცალკე, ვიდექი
ისე აბუზული, საკუთარი ჩრდილი მზეში მემალებოდა.
და გამოვრბოდი, უფრო მეტი
შემზარავი დაუნდობლობა რომ შემეგრძნო.
გამოვრბოდი. ტირიფის ხე ქარს მოუხმობდა,
გაავდრდებოდა, ავი ამინდი
სახლის გზისკენ გამაბრუნებდა.
როგორც სხვა უბნის დაკარგულ ხბოს.

ჩვენ ორივემ ვიცით ან გვახსოვს.
ამიტომაც, მე სულაც არ გამკვირვებია,
როცა ორი წლის ბიჭი ტბორში მწოლიარე იპოვეს,
მარტო.

თებერვლისთვის

ხეების ჯადომ მოიხმო თოვლი.
ასეთ ამინდში ჭალები, ღმერთო.
გადათოვლილი გარბის მდინარე.
ასეთ ამინდში ხმელი ხეების წყევლა,
თეთრი, ძუ მგლების ყმუილი
ედება
მინდვრებს. ხნულში ჯირჯვდება თესლი.
ამოსდის,
მწვანე ბალახი ჩვენს პაპ-ბებოთა უხმო საფლავებს
ამოდ სდის,
ჩვენი ბავშვობის სიწმინდე
ცრემლი.
და დაიძვრება საფლავის მიწა,
და მოედება ცემენტის ქალაქს,
ბეტონის ქალაქს, სადაც სული
მოუკვდათ სახლებს.
სადაც, ომებახდენილ მამებს,
გადახეთქილი კეფები სტკივათ,
სადაც, დედები გაიხიზნენ მონებად
და თბილ ქვეყნებისკენ იმზირებიან
მოწყენილი შვილები.
ასეთი მე არ მინატრიხარ,
დროა, პირ-ბადე აიხსნა, აიხსნა წყევლა.
თებერვალში, წყლით ორსულ ხეებს,
უორთქლდებათ მერქანი – თოვლი,
ჭალებს ედება.
ფრინველებიც კი
ბრუნდებიან სახლებში წყებად.

იანვრისთვის, დაგეროტიპიდან ამოჭრილი ამბავი

იდგა ქარში,
სკოლის წინ, სწავლის დაწყებისას, დამთავრებისას,
სოფლის თაობას დაბადებდა, მონათლავდა, წესს აუგებდა.
ყველა ობლის ცრემლს ინახავდა,
ყველა ქვრივის მუხლზე დაცემას,
ყველა დედის ფეხშიშველ ლოცვას –
ავადმყოფი შვილის მორჩენის.
ყველა დროის ამბავს გაშავებულ კედლებში მარხავდა.

იდგა წვიმაში,
მგზავრს იფარავდა.
დავიწყებოდა,
ერთხელ, როგორ დაუდეს გულზე – საკურთხეველზე,
რუსული წარმოების დინამიტი,
გადახსნილი კეფის ქვეშ – გუმბათის –

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მღვდლისა და მედავითნის საფლავის ქვები,
ერთნამს აფეთქდა.
ხმას არ იღებს.
დროის მიუხედავად, ყველა გიორგობას,
ინთება და საიდუმლოდ მყუდროვდება
ბებოების დამჭკნარ ხელებით ჩამოქნილ თაფლის სანთლებში სოფლის საყდარი,
წმინდა გიორგის სახელობის,
წმინდა მუხებს შეფარებული.

ხეს როდი ჭრიდნენ.
წმინდა ხეების უფრო მეტად ერიდებოდათ,

მოარულ ხმას სოფელი გაექვავებინა:
„დილით, იგორს დაუკრავს ცული,
გაუვლია,
საღამოს პირზე, მუხა თავზე წამოქცევია.
მოსტეხია მხარი,
ზის ნაცართან,
ტირის“.

წმინდა ხეების სოფელში, წმინდების გზაზე,
დღესაც კი დგას ერთი მაღალი თუთა.
მაღალი და უცნაური, განიერ მუცელზე სანთლებ-სარტყელით,
მრავალი ღამის და გათენების მომსწრე,
მოხუცების გამცილებელი.

ხეების მოჭრა, წმინდა ხეების,
ძველფოტოებზე ამოჭრილი ადამიანების გამოსახულებას
ჰგავს,
უფრო მეტად რომ იმახსოვრებ, ვიდრე ვინც ჩანან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკივილი

არავინ არის,
ვისაც ეტყვი, რომ გტკივა და გეტყვის, გეტკინოს.
ყველა იმედებით გავსებს,
რომ ყველაფერი კარგად იქნება.
ეს საშინელებაა.
ეს გულისამრევია.
თუ ჩემ გვერდით ხარ,
ჩემ საშველად მოდი
და ჩემთან ერთად დაწექი ჯოჯოხეთთან,
ის, რომ ხვალინდელი დღე
პოზიტივია,
საშინელი მოსასმენია.
მირჩევნია, მითხრა:
შენ ჯოჯოხეთში ხარ
და აი, ჩემი ხელი,
მეც შენ გვერდით ვარ.
მოდი და ერთად
გვტკიოდეს.

მე ემოცია ვარ

მე ემოცია ვარ.
შეუმჩნეველი,
ყველასგან მიტოვებული ემოცია,
რომელიც, როგორც ბაქტერია
ეძებს გზას,
თავის გასავრცელებლად.
მე ემოცია ვარ.
საკუთარ თავში ჩაკეტილი ემოცია.
მოდი ერთი წამით
და დამიჯექი გვერდით.
აღმოაჩენ,
რომ გჭირდება სიყვარული,
ჩემთან მოსატანად.
მე ემოცია ვარ,
ყველასგან მიტოვებული ემოცია
და არ ვიცი, სად არის გზა
თავის გადასარჩენად.

როცა შენ
არ შეგიძლია მომცე სიყვარული,
მე მკვდარი ვარ
და ჩემი სხეული
მარიონეტივით დადის.
მე ემოცია ვარ,
რომელიც უნდა ვენებიდან გამომადინო,
სახლში წაიღო და ჩაისთან,
როცა მარტო დარჩები, მიაყოლო.
მე ემოცია ვარ.
განკუთვნილი მიტოვებისთვის.
განკუთვნილი ფრენისთვის,
განკუთვნილი დასანარცხებლად.
ნუ გამიმეტებ
მე – ემოციას,
ნუ გამიმეტებ.

სიკვდილთან თამაში

მოდი, ერთად ვეთამაშოთ სიკვდილს.
აიღე შენი იარაღი, მიიდე შუბლზე
და გამოჰკარი ჩახმახს.
მთელი ცხოვრება, როგორც ნანახი სიზმარი,
გაგივლის თვალწინ.
კარგია, რომ ტყვიები არ გაქვს,
კარგია, რომ წყლის თოფს ტყვიები არც სჭირდება.
შენ უბრალოდ ეთამაშები სიკვდილს,
ის კი ამ დროს სხვასთან ასწორებს ანგარიშს.
(სად შეიძლება დაკარგო საკუთარი თავი?
საკუთარ თავში და სხვაგან არსად.)
მოდი, ერთად ვეთამაშოთ სიკვდილს.
დადექი სკამზე,
ვითომ ნორმან ფოსტერის ცათამბჯენზე.
დახუჭე თვალები და გადაეშვი წყალში.
ჩაიძირე ბოლომდე შენს აბაზანაში,
ბავშვობის სათამაშო იხვებთან და
ღრუბლებთან ერთად,
საპნიან წყალში.
აფართხალე ხელები,
იგივე ფრთები,
როგორც ზღვის ტალღებიდან
ცაში აჭრილმა თოლიამ.
გაფრინდი თავისუფლებისკენ,
არ გჭირდება ირაოები,
იფრინე კოსმოსისკენ,
იფრინე იქ, სადაც ვეღარ ისუნთქებ
და თავისთავად მოგკლავს უჰაერობა.

უგედურების წვიმა

სარეცხი ჩამოიღე, დედა.
უბედურების წვიმა იწყება.
დააყენე შავი ჩაი,
ლიმონი არ გაწურო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავჭრათ და ფინჯნებში ჩავყაროთ.
შენ ლაპარაკობ მამაზე ხშირად,
ყოველ საღამოს,
ყოველ დილით,
ყოველ შუადღეს.
სამსახურიდან მოვდივარ გვიან,
ცოტათი მთვრალიც,
რომ შემოვდივარ,
მის პორტრეტს ვხედავ მისაღებში,
მშვიდად მიყურებს.
მე კვლავ არ მჯერა
ამ ყველაფრის,
რომ ვეღარ ვნახავ ამ სიცოცხლეში
მის თვალებს, ხელებს,
ნიკოტინისგან გაყვითლებულ სახეს და თითებს.
სარეცხი ჩამოიღე, დედა,
უბედურების წვიმა იწყება.
ჩვენ მარტო დავრჩით,
როგორც ხეები,
როგორც წვიმები
შემოდგომაზე.
და ჩვენ ვსვამთ ჩაის,
ისე, როგორც უყვარდა მამას.
სარეცხი ჩამოიღე, დედა,
უბედურების წვიმა იწყება,
გაუთოვე „სარორჩკა“ მამის,
და ცხვირსახოცი ნაცრისფერი,
ოფლის საწმენდად,
გაუთოვე მისი ხალათი სამსახურის,
სურათთან დადე,
იქნებ დღესვე სურს დაბრუნება,
ყველაფრის ჩაცმა.
სარეცხი ჩამოიღე, დედა,
უბედურების წვიმა იწყება,
აღარაფერი აღარ დარჩა სანუგეშებლად,
დავლიოთ ჩაი
და მერე დავწვეთ, თვალებღია ვათენოთ ღამე.

არ მიეჩვიო

ორ საათამდე ძილს
და უზმოზე სიგარეტის მოწევას.
არ მიეჩვიო
ქარიანი ამინდის ნატვრას.
არ მიეჩვიო
ფეხით სიარულს
უსასრულობის ფსკერზე.
არ მიეჩვიო
სევდიანი მუსიკის მოსმენას.
არ მიეჩვიო ჩუმად ყოფნას.
არ მიეჩვიო წარსულზე ფიქრს.
არ მიეჩვიო მარტო ყოფნას.
არ მიეჩვიო ადამიანებისგან გაქცევას.
არ მიეჩვიო ოთახში შუქის ჩაქრობას
და საკუთარი უმწეობის ყურებას.
არ მიეჩვიო პოეზიას.
არ მიეჩვიო ხატვას.
არ მიეჩვიო სიყვარულით თავდავიწყებას.
რადგან ყველაფერი მიდის.
ყველაფერი მოძრაობს.
როცა ქარია, ხეებს არ აქვთ სხვა გზა.
ისინი დგანან და ელოდებიან თავიანთ განაჩენს.
არ მიეჩვიო საკუთარ თავში ქექვას.
დაკარგულ საკუთარ თავს ვეღარ იპოვი.
არ მიეჩვიო შენს წამიერ ბედნიერებას,
რადგან ოთხმაგად დაისჯები რეალობისგან

არ მიეჩვიო ზღვის ჰორიზონტის ყურებას.
მატარებელი მიდის და შენს ვაგონში გამომწყვდეული
ვერაფრით გადაირჩენ თავს.
არ მიეჩვიო შენს მეორე მეს.
(რადგან შონ აბრამი შენი დროებითი არარეალური არსებაა)
არ მიეჩვიო შენს არასრულყოფილებას.
შენს გაორებას.
შენს ოცნებებს.
შენს გზადაკარგულ ანგელოზს.
შენს შიზოფრენიულ გადახვევებს.
შენს თავს.
არ მიეჩვიო.
არ მიეჩვიო ყოველ საღამოს
კალვადოსიანი ჩაის დალევას.
(ასე იწყებენ ლოთებიც).
არ მიეჩვიო საკუთარი თავის დაკარგვას,
თორემ რომ ვერ პოულობ,
შემდეგ კვდები,
და ახლიდან დაბადებას
არაფრისგან ელი.
არ მიეჩვიო
აღარცერთ ადამიანს,
რადგან მათ მხოლოდ უყვარხარ
და ვერ გიგებენ.
არ მიეჩვიო
ამ დედამოტყნულ ცხოვრებას.
შენ უნდა შეძლო,
შენ უნდა გარდაქმნა,
შენ უნდა დაბადო
საკუთარი, გასაქცევი გზა.
არ მიეჩვიო
თავისუფლებას,

რადგან სწორედ მაშინ ხარ მონა.
არ მიეჩვიო
ადამიანების დაბმას სიყვარულის თოკით.
ისინი აიწყვეტენ და გაიქცევიან.
არ მიეჩვიო
სისულელეების წერას...

მას აქვს საოცარი თვალები

მას აქვს საოცარი თვალები.
არა,
ვიღაც წაიკითხავს და იფიქრებს,
„ასე ლექსი არ უნდა იწყებოდეს."
ასე უბრალოდ.
მე კი მაინც ვფიქრობ, რომ მას აქვს საოცარი თვალები.
და ეს უნდა ვთქვა.
მისი მზერიდან წამოსული სიცოცხლე
ჩემს სხეულში ჩაბუდებულ სიკვდილს ებრძვის.
მას აქვს საოცარი თვალები,
რომელიც გაიძულებს, იბრძოლო ბედნიერებისთვის.
იბრძოლო საოცარი თვალებისთვის.
მას აქვს საოცარი თვალები,
როცა უყურებ,
შეგიძლია, წარმოიდგინო, რომ
შენ წინ არის მწვერვალი,
რომელიც უნდა დაიპყრო სიცოცხლის ფასად.
მას აქვს საოცარი თვალები,
ღირს მისი თვალებიდან წამოსული
ყველა ტკივილის მიღებაც,
ღირს ყველაფრის მოსმენა.
თუ მას უყურებ თვალებში,
ღირს იმედგაცრუება,
რადგან მას აქვს საოცარი თვალები.



ამგავი მერილუზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერილუ
არის ქალი.
გრძელი წითური თმით და
მოვარდისფრო ნათელი თვალებით.
ის გაბოზდა, როდესაც მიატოვეს
და სჭირდებოდა ფული.
მას არ ჰქონდა ძალა, რომ
ჩაეცვა მონაზვნის ფორმა
და ეცხოვრა ჰარმონიულად.
მან ვერ მიიღო განათლება,
თუმცა, დედამ ასწავლა წერა-კითხვა,
მამამ ასწავლა ლიტერატურა,
ცხოვრებამ კი ასწავლა,
როგორ ეშოვა ფული.
მერილუ იყო ჩვიდმეტის,
როცა მამამ მოუკლა დედა
(როცა მამამ დაინახა,
როგორ ტყნავდნენ მის ცოლს).
კარებს ამოფარებული მერილუ უყურებდა,
თვალებში ცეცხლჩამდგარ მამამის.
მან ჯერ მოკლა საყვარელი ქალი,
შემდეგ თავისი ბავშვობის მეგობარი ჯიმი და მიხვდა,
რომ ვეღარაფერი გადაარჩენდა.
მერილუს მამამ აიღო დანა და
ამოიჭრა თავისი სიყვარულით სავსე გული.
შეიძლებოდა უკეთესი სუიციდიც,
თუმცა ამ კონკრეტული შემთხვევისთვის
იდეალური სტილი შექმნა.
მერილუ დარჩა მარტო,
საკუთარ ტკივილთან მარტო,
უწმინდურ ცხედრებთან მარტო.
მერილუ ვერ გადაიხდიდა ბინის ქირას,
ამიტომ მისი პირველი კაცი გახდა ბინის პატრონი.
ეს თავისთავად მოხდა,
იყო 31 აგვისტო.
მერილუ თავის ჩითის კაბაში გამოწყობილი
იჯდა სარკესთან,
აკვირდებოდა ჯერ კიდევ ბავშურ,
თუმცა საკმაოდ წამოზრდილ მკერდს,
ხორბლისფერ ძუძუსთავებს
და ფიქრობდა:
ნუთუ შეიძლება ეს ყველაფერი
გამომადგეს საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად?
კიმი აგრესიულად ეუფლებოდა მის სხეულს,
ის იყო პირველი,
ვინც გახსნა კარიბჭე.
მერილუ განადგურდა,
თუმცა მისმა სხეულმა მიიღო საწადელი.

ის, რაც სჭირდებოდა,
ის, რაც ასე მარტივი იყო,
ის, რასაც ასე ადვილად შესაჩვევი იყო.
მერილუმ ჩაიცვა უფრო მოკლე კაბა,
ვიდრე აქამდე ეცვა.
მოიხდინა უფრო მოკლე დეკოლტე
ვიდრე აქამდე შეეძლო ეტარებინა
და მის თვალებში აენთო
ყველა იმ ძუკნას თვისება,
რომელსაც აღარაფერი აინტერესებს
დოლარების გარდა.
ის მოეწონა საროსკიპოს უფროსს
და პირველმა თავად დააგემოვნა.
არ ეყო ერთხელ,
არ ეყო ორჯერ,
და მესამეჯერ როცა მიხვდა, რომ აღარ შეეძლო,
ცემა დაუწყო. მერილუს შეეშინდა. თუმცა, არ უყვირია.
ყველაფერმა ჩაიარა.
საროსკიპოს უფროსი მაიკლი დაკმაყოფილდა.
მერილუც დაკმაყოფილდა,
როცა მის საცვალში ორასდოლარიანი შეაცურეს.
ასე მიდიოდა დღეები,
კლიენტიდან კლიენტამდე.
მერილუ გამთენიისას ბრუნდებოდა სახლში,
ივლებდა შხაპს და იძინებდა.
ხუთჯერ გაძვალტყავდნენ ხეები
და იდგა შემოდგომის
ჩვეულებრივი საღამო.
მერილუმ არ ისურვა სამსახურში წასვლა.
მერილუმ აღარ ისურვა სექსი.
მას მოუნდა უბრალოდ
ამ ფულის გარეშე დაწოლილიყო ადამიანთან.
დაწოლილიყო ყოველგვარი სექსის გარეშე.
აღგზნების გარეშე.
დაწოლილიყო სახე სახეზე მიდებული,
ხელიხელგადაჯაჭვული,
სუნთქვა სუნთქვაში გადაბმული,
სრული ჰარმონიით დაწოლილიყო ვინმესთან.
ამგვარ ოცნებებში წასული მერილუს
ბინის კარებზე არტყამდა ფეხებს
და სურდა შეღწევა
რამდენიმე განრისხებულ მამაკაცს.
მათ შეაღწიეს.
მერილუ იწვა,
სამივე კაცი ეუფლებოდა მის სხეულს.
სამივე კაცი ულოკავდა სველ საშოს
და ბოლოს,
როცა სამივეს თავი დახრილი ჰქონდა,
მერილუმ
ბალიშის ქვეშ დამალული თავისი დანით,
დაირტყა გულში,
დაირტყა ერთხელ,
დაირტყა ოჯერ.
ისინი ვერაფერს მიხვდნენ,
სანამ პირში სისხლის გემო არ იგრძვნეს,
მერილუს გაყინული სისხლის,
დამპალი,
უკვე დედამოტყნული სისხლის.
ისინი უწოვდნენ მერილუს ცხედარს,
რამდენიმე წუთი,
სანამ მიხვდებოდნენ,
რომ შარში იყვნენ და სასწრაფოდ უნდა
გაქცეულიყვნენ.
მერილუს სხეული დარჩა სრულიად მარტო.
ის აყროლდა, ყველაფერი, რაც კაცებს
ასე მოსწონდათ,
რამდენიმე საათში დალპა.
მერილუს სული გაეცალა ყველას და ყველაფერს,
ის მიფრინავდა ძალიან მშვიდად
და ცაზე წითელ ზოლს ტოვებდა,
ზოლს, რომელსაც მისი მფარველი ანგელოზი
ვერაფრით შლიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 პროზა

პანღური

ნუნუ ქადაგიძე

ერთხელ, დღისით-მზისით, ხალხით სავსე ქუჩაში, ყველას თვალწინ, პანღური ამოარტყეს.

ზაფხული იყო, ივნისის პირველი დღეები, როცა სიცხე დღითიდღე იკრებს ძალას, სულისშემხუთველ ხვატად კი ჯერაც ვერ გადაქცეულა. ქალაქელები აგარაკებზე წასვლას არ ჩქარობენ, ჯერჯერობით ქალაქის ქუჩებში სეირნობა ურჩევნიათ. მსუბუქად ჩაცმულნი გალაღებულები მიდიმოდიან, უკვე მოასწრეს ზამთრის სიცივეების საბოლოოდ გადავიწყება. მანქანები გადასწრების დროს მიჯრით აწყდებიან ერთმანეთს, მინებს იქით მძღოლთა მოუთმენელი, დაძაბული სახეები ილანდება.

თანაც დღის მეორე ნახევარი იყო, როცა ლექსთან ჭიდილში ღამენათევი პოეტებიც კი ველარ ძლებენ ოთხ კედელს შუა.

ძალიან სწყუროდა. თუმცა, შეიძლება, არც ისე ძალიან. ტროტუარზე გაზიანი წყლის ურიკა შენიშნა და მაშინ იფიქრა, მწყურიაო. გარეთ რომ არ გამოეტანათ, შიგნით, გასტრონომში არ შევიდოდა წყლის დასალევად. ურიკა ცისფრად იყო შეღებილი (რა დაწვრილებით დაამახსოვრდა ყველაფერი, თითქოს ტვინის გარსზე გახურებული შანთით ამოუწვესო). მის წინ ორიოდე ადამიანი იდგა, მალე გაიკვლია გზა დახლისკენ. გამყიდველს ფული მიაწოდა, ერთი პიტნაო, ანიშნა. მწვანე ფერი განსაკუთრებით საამოდ ელამუნებოდა თვალს ამ სიცხეში. შეჰყურებდა, როგორ ეშვებოდა ჭიქაში წვრილი, მწვანე ჭავლი. მერე ეს მუქი სიმწვანე ცივი წყლით შეივსო და გაბაცდა. დასალევად უკვე მზად იყო, საამური მწვანე ფერის, დაორთქლილი გამაგრილებელი. ხელი მისკენ გაიწოდა, ამ დროს კარგა მაგარი წიხლი ამოსცხო ვიღაცამ უკნიდან.

არ წაქცეულა, ორივე ხელით ურიკას დაეყრდნო. სასმელით სავსე ჭიქა მწვანე, ბუნდოვან ლაქად იქცა. სამაგიეროდ, გამყიდველი დაინახა ძალიან მკაფიოდ. უფრო სწორად, გამყიდველის კბილები, უსწორმასწორო, მსხვილი, თეთრი კბილები, დაღებულ პირში სიმინდის მარცვლებივით ჩაყრილი. პირს ირგვლივ სახის სხვა ნაკვთებიც ექნებოდა უთუოდ, მაგრამ ისინი სამუდამოდ ჩაინთქნენ უცბად ჩამოწოლილ მეწამულ-ვარდისფერ ბურუსში. ბურუსი ჭიქასავით დაორთქლილი იყო, ოფლის სიმწარით და სიმყრალით, უამრავი დაღებული პირიდან ამოფრქვეული ნერწყვით და ოხშივარით დაორთქლილი.

მალე გასწორდა, უკან მიიხედა. იქ არავინ იყო. ანუ, ზუსტად მის უკან, იმ მანძილზე, საიდანაც ეს პანღური შეიძლებოდა მიეღო, არავინ იდგა. მოშორებით კი, დაახლოებით ორ ნაბიჯზე, უამრავი ხალხი იყო. უამრავი დაღებული პირი, კბილებით გამოვსებული. ნაირნაირი კბილები, სხვადასხვა ზომის და ფერის, აქა-იქ ოქროსი.

– ვინ იყო? – იკითხა. – ვინ ამომარტყა?

პასუხი არ მიუღია, მხოლოდ ხარხარი, კბილები ხარხარებდნენ. ყველაზე მკაფიოდ ისევ კბილებს ხედავდა, სახეებს კი სრულებით ვერ არჩევდა. შეიძლება, ესეც იმ მეწამულ-ვარდისფერი ბურუსის ბრალი იყო, რომელმაც დიდ მდინარესავით ყველა სახე თავის წიაღში აატივტივა და უფორმო ლაქებად აქცია. უამრავი სახე, უამრავი და არცერთი – ამავე დროს, სახეთა უსახობა...

– ვინ იყო? – მზერაარეულმა ვიღაცას ჩაავლო ხელები და მაგრად შეანჯღრია. უფორმო ლაქა ბურუსიდან გამოიკვეთა და უცხო სახემ შემოხედა, კბილები ტუჩებს მიღმა შეიმალნენ.

– მე რა ვიცი, ვინ იყო, თავი გამანებე! – იმ ვიღაცამ მაგრად უბიძგა და თავი გაითავისუფლა. მისი სახე გვერდზე გაცურდა, ისიც იმ უსახობაში გაითქვიფა. მოხარხარე უსახობა...

– ვინ იყო? ჩემგან რა უნდოდა?

ოჰ, რამდენი კბილი ერთად, სიცილის

აკომპანიმენტით... ტუჩებს მიღმა ჩასაფრებულები, ყოველთვის საბრძოლო ფორმაში მყოფნი. გემრიელი ლუკმის დროს გამოხტებიან საფრიდან.

თითქოს ვიღაცამ დაუძახა. მოქალაქეო, ასეთი ზოგადი ფორმით, აბა, მისი სახელი აქ ვის ეცოდინებოდა. მოიხედა, გამყიდველი ხურდას ანოდებდა.

ის ხურდა როგორღა გამოართვა?

გამაგრილებელი წყლით სავსე ჭიქა დაინახა ცხვირწინ, აიღო და დალია.

ან ის წყალი რაღამ დაალევინა?

დალია... მომწარო-მწკლარტე გემო დაუტოვა პირში. გამოტრიალდა და წამოვიდა.

ვიღაც ნაცნობი შეხვდა. ვინ იყო, წარმოდგენაც არ ჰქონდა. მგონი, კარგა ხანს ილაპარაკეს. მერე იმ ნაცნობმა რაღაც ანეკდოტი მოუყვა და თვითონვე ატეხა სიცილი. კბილები, კბილები... იქნებ ესეც იქ იყო, იმ კბილებში...

სწრაფად მიატოვა გაოცებული თანამოსაუბრე და წამოვიდა.

– ყარამანი მაინც არ გერქვას. – უთხრა თავის თავს სარკეში, სახლში მისულმა, სააბაზანოში ჩაკეტილმა. ირგვლივ სიგრილე და სიმყუდროვე სუფევდა, ისმოდა წყლის საამო ჩხრიალი. საკუთარი სახე, ეს იყო ერთადერთი სახე, რომელიც იმ დღეს მკაფიოდ დაინახა. და ამ სახეს, თუ ჩაწითლებულ თვალებს და მომეტებულად ღაჟღაჟა ფერს არ ჩავთვლით, არაფერი არ ეტყობოდა, სრულიად არაფერი. მეორე დღეს იმ ღაჟღაჟა ფერმაც გაუარა, თავისი ჩვეული ფერი დაუბრუნდა.

არაფერი შეცვლილა, სრულიად არაფერი. ყარამანი ისევ ყარამანია, სახლში თუ გარეთ, ნაცნობ-მეგობრებში, ნათესავებში, სამსახურში... ყველგან კარგი ავტორიტეტით სარგებლობს, მის სახელს ასე უბრალოდ აუგად ვერავინ ვერ ახსენებს. ყარამანს ყოველთვის შეეძლო და ახლაც შეუძლია მტერს მტრულად დაუხვდეს და მოყვარეს მოყვრულად.

ჰო, ყარამანი ისევ ყარამანია, მაგრამ...

– ყარამან, შესვენებაზე აღარ მოდიხარ? – ჰკითხა თანამშრომელმა სამუშაოზე თავწახრილს. – ნახევარი შესვენება უკვე გავიდა... რა იყო, რა დაგემართა?

ეს ბოლო შეკითხვა იმით იყო გამოწვეული, რომ ყარამანმა რაღაც უცნაურად, ახალგამოღვიძებულივით მიაშტერა თვალები. მის სახეში დაცინვის ნიშნებს ეძებდა გაფაციცებით, ხმასაც ყურს უგდებდა, ცდილობდა, დაცინვის ნოტები დაეჭირა.

– არაფერი, დავიღალე, წუხელის არ მეძინა. – ნაიბურტყუნა ყარამანმა და თვალების სრესას მოჰყვა. თანამშრომელმა სრულიად ბუნებრივად ჩათვალა ეს პასუხი. ჰო, ხდება ხოლმეო, ჩაილაპარაკა და ზურგი შეაქცია.

- ყარამან ყანთელი სად არის?! – ხმამაღლა, განგებ გაბრტყელებული ტონით თქვა საყოველთაოდ ცნობილმა ხუმარამ, მეტსახელად ჭინჭრაქას რომ ეძახდნენ. ყარამანს მკვდრის ფერი დაედო, როდის როდის ძლივსღა გაახსენდა, რომ ადრეც ასე ეხუმრებოდა ჭინჭრაქა, სხვაც ხშირად გახუმრებია ასე, მაგრამ ახლა მგონი აჭარბებენ... რაღაცა ზედმეტია წინანდელთან შედარებით...

– მაგას ყარამანის მეტი ვერავინ ვერ შეძლებს...

– ეგ თუ ყარამანს მოერევა...

რა ფატალურ მნიშვნელობას იძენდა ახლა ყარამანისთვის ეს უწყინარი, ხუმრობით წარმოთქმული სიტყვები. ნეტავი უწინ როგორ ჟღერდა მათი ხმა? როგორ წარმოთქვამდნენ მის სახელს?

– ყარამან, ჩაი გაგიცივდა, – ცოლის ამ უბრალო სიტყვებში, საკუთარ სახლშიც დაცინვის ნოტებს ეძებდა. – ადრეც ასეთი ხმით მეძახდა? არ ვიცი, არ მიმიქცევია ყურადღება.

ადრე – ეს ნიშნავდა პანღურის მიღებამდე. ნელ-ნელა ყარამანისთვის მთელი მისი ცხოვრების დრო ორ ნაწილად გაიყო, პანღურამდე და პანღურის შემდეგ. სადაც არ უნდა ყოფილიყო, ერთი წამითაც არ ავიწყდებოდა ის ბედუკულმართი წამი, როცა ვიღაც მისმა მსგავსმა არსებამ, მასავით ადამიანმა, არავინ იცის, რისთვის და რა მიზნით, კარგა მაგარი ჭიტლაყი უთავაზა, ისე, რომ თვითონ უხილავი და მიუწვდომელი დარჩა ყარამანისთვის. ხომ იქვე იდგა, იქვე, ორ ნაბიჯზე, სხვებთან ერთად ისიც ხარხარებდა, მაგრამ უხილავი იყო, მისი სახე უკვალოდ ჩაინთქა იმ მოხარხარე უსახობაში. მიდი და ჩაავლე, თუ ბიჭი ხარ, გამოარჩიე იმ უსახო სახიდან.

არასოდეს ასე უმწეო არ მოსჩვენებია თავი ყარამანს, არასოდეს არაფერს გაუმწარებია ასე. რაც კი ოდესმე ტკივილი და წყენა უგრძვნია, ყველაფერი ერთბაშად დაავიწყდა.

– ამოურტყამს თუ არა თქვენთვის ვინმეს ოდესმე პანღური? – ქუჩაში მიმავალი ასე ეკითხებოდა ყველას თავის გულში. – არა? თუ კი?.. რა ვიცი. ისეთი თავდაჯერებული და ღირსეული იერი გაქვთ... პირდაპირ ასე გაწერიათ სახეზე: ამქვეყნად ვერავინ ვერაფერს გამომრჩება და ვერც ვერაფერს მკადრებს ზედმეტსო. და მაინც, თუ ვინვე გამოჩნდა ასეთი თავზეხელაღებული, ვაი, მისი ბრალი, უჯობს, თავისივე ხელით გაითხაროს სამარეო. ჭკვიანური, გალოკილი სახეები, დავარცხნილი თმები... არაფერი გეტყობათ. აბა, ერთი, მეც შემომხედეთ, მეც თქვენსავით არაფერი მეტყობა, მეც თქვენისთანა ღირსეული და თავდაჭერილი გამომეტყველება მაქვს. ერთხელ და ორჯერ ხომ არ მინახავს საკუთარი სახე სარკეში. ჰოდა, მე ამომარტყეს პანღური, ამომარტყეს დღისით-მზისით, ყველას დასანახად. პანღური არც ღამითაა



სასიამოვნო, მაგრამ ისე მწარე მაინც არ იქნებოდა... როგორ ხარხარებდნენ... სწორედ ეს იყო ყველაზე უარესი, მოხარხარე უსახობა... მხოლოდ კბილები ჩანდა... უამრავი კბილი ერთად...

თუ ვინმე რაიმეს შეეკითხებოდა ასეთ ფიქრებში გართულ ყარამანს, მაშინვე სწორ პასუხს გასცემდა. შეიძლება ითქვას, რომ იგი ორ სამყაროში ცხოვრობდა ერთდროულად. ერთი იყო მისი შინაგანი ტკივილის, პანღურის სამყარო, მეორე კი გარემომცველი საგნები და ადამიანები. საჭირო შემთხვევაში დაუბრკოლებლად ჩაერთვებოდა გარემომცველ სამყაროში ისე, რომ პანღურზე ფიქრი ერთი წამითაც არ ავიწყდებოდა. და არაფერს ისე საგულდაგულოდ არ მალავდა ყარამანი, როგორც ამ შინაგან ტკივილს. მთელი თავისი სული და გული რომ გადაეშალა ვინმესთვის, ყველა სატკივარი რომ ეამბნა, რასაც კი ოდესმე შეუწუხებია სიყრმიდან მოწიფულობამდე, ამ პანღურზე ხმას არასდიდებით არ ამოიღებდა. იგი იყო სადღაც სიღრმეში, ძალიან საიდუმლოდ მოჩქმალული, ვერავის თვალი ვერ მიაგნებდა. ეს იმას ჰგავდა, როცა ადამიანს ვთქვათ, ძირმაგარა აქვს სადმე გამოსაჩენ ადგილას, მაგრამ იმაზე მეტად სულ პატარა მუწუკი აწუხებს, სადმ,ე სხეულის უფრო მგრძნობიარე, კრიტიკულ წერტილში. იმ პატარა მუწუკზე ხომ არავის არაფერს ეტყვის, მხოლოდ ძირმაგარაზე მოჰყვება წუწუნს და ჩივილს.

საკუთარ შინაგან ტკივილში ჩაფლული ყარამანი დროის დინებასაც ვეღარ გრძნობდა თითქოს, დრომ შეწყვიტა მისთვის არსებობა. პანღურის მიღების წამი, ეს მთელ მარადისობას უდრიდა მისთვის, და ეს მარადისობა მოხარხარე უსახობით იყო ამოვსებული. როგორ შეეძლო მისი გაზომვა და აღრიცხვა? პალტო იყიდეო, ცოლმა რომ ურჩია, იმას კი მიხვდა, ზამთარი მოსულაო, მაგრამ მერამდენე ზამთარი იყო იმ პანღურის შემდეგ, წარმოდგენაც არ ჰქონდა.

თანდათან, დღითიდღე, ყარამანი დარწმუნდა: პანღურზე ფიქრი ან ჭკუაზე შემშლის, ან ბოლოს მომიღებსო. ან მე, ან ის პანღური. რაღაცა უნდა ვიღონო, – გადაწყვეტით უთხრა თავის თავს. – სხვა გამოსავალი არ არსებობს, ვერაფრით ვერ დავმშვიდდები. რაო? ქრისტიანული მორალი? ერთ ლოყაში რომ გაგარტყან, მეორე მიუშვირეო... კი, ბატონო, ოღონდ ჯერ სახეში შემომხედე, ვიცოდე, ვინა ხარ. შეიძლება, დავღუნო თავი და ხელი არ შეგიბრუნო, ღვთის სახელით, წმენდულის სახელით, სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, მაგრამ ეს მოხარხარე უსახობა?.. კბილებით ამოვსებული. ამაზე საშინელი და საზიზღარი აღარაფერია ამ სამყაროში, ეს სწორედ ისაა, რისი მონელებაც არ შემიძლია, სამაგიერო უნდა გადავუხადო, მეც უნდა ამოვარტყა პანღური.

კი, მაგრამ, ვის?

ამ კითხვამ ბევრი თავსატეხი გაუჩინა ყარამანს. მართლაც, ვისთვის უნდა ამოერტყა პანღური, მოხარხარე უსახობისთვის? კი, მაგრამ მას ხომ არც სხეული აქვს. ეს კითხვა დაცინვასავით ჟღერდა. რა ცხადად, რა გამომწვევად იგრძნო ეს დაცინვა, როცა ერთხელ, შემთხვევით, უცხო ოჯახში მოხვედრილმა, ადამიანის თავის ქალა ნახა საწერ მაგიდაზე დადებული. იმ საწერი მაგიდის პატრონი მგონი მხატვარი იყო და ეს თავის ქალა მწვავე განცდებისთვის სჭირდებოდა, ნერვების შესაღიტინებლად. ყარამანმა კბილები დანახა, მიჯრით ჩაწიკწიკებული მოხარხარე კბილები და მონუსხულივით მიაჩერდა, მთელ სხეულზე კანი დამდუღრულივით აეწვა.

– სწორედ ისა ხარ, ვისაც მე ვეძებ. – უთხრა თავის ქალას ჩუმად, გულში. – კბილები გაქვს და სახე არა, მაგრამ აღარც უკანალი გაქვს, პანღურს ვერ ამოგარტყამ.

მოულოდნელად კბილები გვერდზე გაცურდნენ. ყარამანმა თვალები ასწია. ეს, მასპინძელმა გააცოცა თავის ქალა გვერდზე, ყარამანს ეჭვის თვალით უთვალთვალებდა.

ვინმე ხორცშესხმულ, კონკრეტულ პიროვნებას უნდა ამოვარტყა პანღური, ეს ისე აუცილებელია ჩემთვის, როგორც ჰაერი, მგონი ჰაერზე მეტადაც, მაგამ ვის, შენ ხომ არა? – ეკითხებოდა ქუჩაში შემხვედრებს თავის გულში და თვითონვე ეცინებოდა, რომ იცოდნენ, ახლა მათზე რას ვფიქრობო.

მოსისხლე მტერს ხომ არ ამოვარტყა? ამაზეც ჩაეცინა. მყავს მერე მოსისხლე? უსიამოვნება ბევრისგან შემხვედრია, მაგრამ მოსისხლეს ვერ ვუწოდებ. თუმცა, რატომ ვერ უწოდებ. – შეეკამათა თავის თავს. – სასიკვდილოდ არ გაუმეტებიხარ? ვინ გითხრა, რომ არ გაუმეტებიხარ. ვერ მოგწვდა, თორემ შენგან ერთ ძვალსაც არ დატოვებდა მთელს. არის ასეთი... ახლაც იქაა, ბევრი ანგარიშები მაქვს მასთან გასასწორებელი. იმას რომ ამოვარტყა?

დაწვრილებით წარმოიდგინა მთელი სცენა: მიეპარება ერთ მშვენიერ დღეს უკნიდან და მთელი ძალით ამოარტყამს პანღურს. იპოვის ასეთ მომენტს, სულ ერთად არ არიან?

– გაბათილდება მერე ამით ჩემი პანღური? – ჩაუღრმავდა თავის ფიქრებს. იმაზე აღარაფერს ვამბობ, თვითონ როგორ გადამიხდის სამაგიეროს. და... საერთოდ, ერთი ამბავი ატყდება, უფრო სასაცილო მდგომარეობაში ჩავვარდები. ვის აუხსნი, ვის რას გააგებინებ... არა, არ ივარგებს, – თქვა გადაწყვეტით. – იმას სხვა დროს სხვანაირად გავუსწორდები, პანღური სულ სხვა ვინმეს უნდა ამოვარტყა.

– კი, მაგრამ, ვის? ვის?

ვინმე სრულიად უცნობს, იმისთანას, თვალით რომ არასოდეს მინახავს, მხოლოდ მაშინ ვიგრძნობ შვებას, ყველა ვალს გასტუმრებულად ჩავთვლი, – მოიფიქრა თავის თავთან დიდი სჯა-ბაასის შემდეგ. ეს განზრახვა როგორღაც თითქოს თავისთავად ამოტივტივდა და თანდათან დაიპყრო ყარამანი. ეს მართლაც ყველაზე შესაფერის, ყველაზე საუკეთესო ვარიანტად მოეჩვენა. ის ვიღაცა, მართალია, არ იქნება მოხარხარე უსახობა, მაგრამ რაღაცით მისი ნაწილი იქნება და სწორედ ეს მჭირდება მე ნებისმიერ მოსისხლე მტერზე მეტადო.

ამოვარტყამ პანღურს და გავიქცევი. თუმცა, არა, მაშინვე არ გავიქცევი, სახე უნდა ვნახო მისი, სახე... უსახობის სახე. რა საინტერესო სანახავი იქნება; დაფეთებული, გაოცებული, ნაწყენი... მერე გავიქცევი.

– რომ გამომეკიდოს? – დაფიქრდა ისევ. – იქნებ ვერ მოვასწრო დროულად გვერდზე გადგომა იმ... იმასავით, მე რომ ამომარტყა. ხომ იქვე იდგა იმ წუთში, ჩემ წინ, მაგრამ რას გამოვარჩევდი. იქნებ ვერ მოვასწრო უხიფათო მანძილზე გაცლა. თანაც, ვინმემ რომ მიცნოს?

– პარიკს გავიკეთებ, – მოიფიქრა ბოლოს. – თუ გამომეკიდებიან, სასწრაფოდ მოვიხსნი და გადავაგდებ. ერთი სიტყვით, ასე; მივდივარ ქუჩაში, ან სხვაგან სადმე, სულ ერთია. ვნახავ ვინმეს შესაფერის პოზაში, მივალ, პანღურს ამოვარტყამ და ვითომც აქ არაფერიო, იქვე, მის ცხვირწინ გავჩერდები. მამა აბრამის ბატკანივით. თუ მიხვდა რაიმეს, მაშინ გავიქცევი. სარისკოა, მაგრამ რას ვიზამ, სხვა გამოსავალი არ მაქვს. ან მე, ან ის პანღური.

ასე გადაწყვიტა ყარამანმა და მისი გადაწყვეტილება ურყევი იყო. სხვისი პირით რომ მოესმინა ასეთი ამბავი, იქნებ სულელურ აკვიატებად მოსჩვენებოდა ყველაფერი. «თავი დაანებე, მაგაზე ფიქრიც კი არ ღირს.» – ასე ეტყოდა ალბათ იმ სხვას. – «რომელი ჩვენგანი არ იღებს ამქვეყნად პანღურს? ამ ხალხს რომ უყურებ, ასე გაბღენძილები რომ დადიან, აქაოდა მაგარი ბიჭები ვართო, რაო, შენ გგონია, მაგათთვის ჯერ ცხვირზე ბუზიც არ აუფრენიათ? ვინ რა იცის, ვისგან, როდის და საიდან იღებენ პანღურს. ხანდახან ისეთნაირად, რომ ამაზე თვითონ წარმოდგენაც არა აქვთ, ვერ გრძნობენ ამას. ნაცნობს ხომ არავის დაუნახიხარ? არა? ჰოდა, რა გაღელვებს? ანდა, ვთქვათ, დაგინახეს. მერე რა მოხდა? ყველას აქვს თავისი პანღური, უჯობთ, იმაზე იფიქრონ, შეეშვი, ცხოვრებას ნუ იწამლავ...»

ასე ეტყოდა ალბათ სხვას, მაგრამ თავის თავს ასე ვეღარ დაარიგებდა. სხვა სხვის საქმეში ბრძენიაო, ნათქვამია. თავის ფარულ სატკივარს ყველა თვითონ უწერს წამალს, ჭკვიანურია თუ სულელური. თვითონვე იცის, რა უშველის და რა არა... და ვერაფრით მოისვენებს, თუ თავისი არ სცადა. ამ შინაგან, ფარულ სატკივარს მხოლოდ რჩევა-დარიგება ვერასოდეს დააცხრობს, როგორც მდუღარე ქოთანს ვერ გააგრილებს სულის შებერვა, თვითონ ცეცხლი თუ არ განელდა.

პარიკის ამორჩევამაც საკმაოდ გააწვალა ყარამანი. არ ეგონა, თუ ეს საქმე ასე რთული იქნებოდა. ვერა და ვერ შეარჩია საჭირო ფერის და ზომის პარიკი. ზოგი დიდი იყო, ზოგი პატარა, ზოგიც ზუსტად მისი თმის ფერის იყო, ყველაზე მეტად კი სწორედ ამას გაურბოდა ყარამანი. ბოლოს, ბევრი რჩევის და ჯახირის შემდეგ გამყიდველმა გოგონამ უშველა, გამოუძებნა კუპრივით შავი პარიკი, და მხრებამდე ჩამოაფხატა თავზე. შუბლზე ჩამოყრილი თმები თვალებამდე უწევდა.

მერე მისი შესაფერისი წვერ-ულვაშიც მოინდომა. აქ უფრო დიდ გასაჭირში ჩავარდა, გამყიდველმა გოგონამაც ვეღარ უშველა, ვერ გამოუძებნა მისი მოსაწონი წვერ-ულვაში. იყო ერთი საჭირო ზომის, ოღონდ ჟღალი ფერის. ყარამანს გულზე შემოეყარა. ვის გაუგია სხვადასხვა ფერის თმა და წვერ-ულვაში? მაგრამ უცბად გაახსენდა ერთი თავისი ნაცნობი. იმასაც კუპრივით შავი თმა ჰქონდა, მაგრამ წვერი კი ჟღალი ფერის ამოსდიოდა რატომღაც. ამის გახსენებაზე იყიდა ყარამანმა ის წვერ-ულვაში. უკმაყოფილო იყო, მაგრამ სახლში რომ გასინჯა დამშვიდებით სააბაზანოში ჩაკეტილმა, კმაყოფილი დარჩა, ასე კაციშვილი ვერ მიცნობსო.

რაკი ეს საქმეც მოაგვარა, და სამოქმედო გეგმაც მზად ჰქონდა, ყარამანი შეუდგა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანას. სახლში მისული ყოველ საღამოს, ცოტას შეისვენებდა თუ არა, გამოვიდოდა სახლიდან, შევიდოდა სადმე, მყუდრო ადგილას, გაიკეთებდა თავის პარიკს და საყელოაწეული დასეირნობდა ქალაქის ქუჩებში. შუბლზე ჩამოყრილი თმებიდან ქვეშ-ქვეშ უთვალთვალებდა შემხვედრ ხალხს, ეძებდა, ვინმე შესაფერის პოზაში ენახა და პანღური ამოერტყა. ეს ისე ადვილი არ აღმოჩნდა, როგორც ერთი შეხედ-

ვით შეიძლებოდა მოსჩვენებოდა ადამიანს. არც ისე ხშირად იყო ვინმე შესაფერის პოზაში, ანდა, ძალიან ცოტა ხალხი იყო ირგვლივ, ყარამანს საშუალება არ ექნებოდა «იმასავით» გათქვეფილიყო სხვებში. ბევრი ხალხიც იყო ხანდახან, შესაფერისი სიტუაციაც, მაგრამ ყარამანმა ვერ იქნა და ვერ გაბედა, ფეხი ვერ მოსწყვიტა მიწას. ახლა, აბა ახლა... შესძახოდა თავის თავს, მაგრამ ფეხი ტყვიასავით დაუმძიმდა, ვერაფრით ვეღარ მოიქნია.

– ძნელია, – ხვნეშოდა თავისთვის ცივ ოფლში გაწუწული. – ეს მართლა ძნელია, მკვლელობაზე უფრო ძნელი, მე თუ მკითხავთ. მკვლელობა სულ სხვაა. ეს... ეს რა არის, მე თვითონაც არ ვიცი. სულ ადვილად შეიძლება სასაცილო მდგომარეობაში ჩავვარდე.

თანაც ქუჩაში პარიკით სიარული არც ისე უხიფათო აღმოჩნდა.

– გამარჯობა, ყარამან, კინაღამ ვერ გიცანი, კინოში გიღებენ?

ყარამანმა აიხედა, ვიღაც აყლაყუდა დასდგომოდა თავზე.

– ჰო, მასობრივ სცენებში.

– გიხდიან რამეს?

– ისე, რა...

– მიაგენი ხომ მაინც შენს მოწოდებას... კარგად იყავი! – ხელი ისე დაარტყა მხარზე, ყარამანი კინაღამ ჩაიკეცა. კარგა ხნის ფიქრის შემდეგ გაახსენდა, მისი სკოლის ამხანაგი იყო, ერთად დადიოდნენ სკოლის დრამწრეში.

ამ შეხვედრის შემდეგ ყარამანმა გადაწყვიტა ხალხით სავსე ქუჩისთვის თავი აერიდებინა, სანაპიროზე არჩია თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა. პირველივე, თითქმის იძულებითი გასეირნების შემდეგ, დარწმუნდა, აქ სიარული სჯობიაო. სანაპიროზე ხალხი ყოველთვის ცოტაა, მით უმეტეს, ზამთრის თვეებში. მართალია, ხალხი რომ არ იქნება ირგვლივ, ჩემს ჩაფიქრებულ სცენას ერთი მეტად მნიშვნელოვანი დეტალი აკლდება, მაგრამ ასედაც არა უშავს, მაინც კარგ ეფექტს მოვახდენო, ფიქრობდა ყარამანი. მე ხომ მისი სახის დანახვა მინდა, ამისთვის ერთი წამიც მეყოფა, არა, წამის ნახევარიც საკმარისია, მერე მოვასწრებ გაქცევასაც და მიმალვასაც. ჰო, ნამდვილად აქ სჯობია. – საბოლოოდ გადაწყვიტა ყარამანმა, როცა თვალი შეავლო ჯებირზე გადაყუდებულ ადამიანებს, რომლებიც მდინარეს თვალს არ აცილებდენ. – სხვაგან სად ვნახავ საპანღურედ ასეთ მოხერხებულ პოზაში ვინმეს?

ამ აღმოჩენამ გუნება გამოუკეთა, სიგარეტს მოუკიდა და წელგამართულმა მხნე ნაბიჯებით დაიწყო წინ და უკან სიარული. – აქ უნდა მოვსულიყავი თავიდანვე, ახლა უკვე მოშორებული მექნებოდა ის წყეული პანღური. აგერ, რა კარგად დგას, თითქოს მე მელოდებაო.

მხნე, დაჯერებული ნაბიჯებით მიუახლოვდა, სიგარეტსაც ხაზგასმულად ლაღად აბოლებდა, ვითომც აქ არაფერიაო. კრიტიკულ მანძილს რომ მიაღწია, მუხლები აუკანკალდა, სუნთქვა შეუგუბდა და ვერც აქ, ამ ცარიელ სანაპიროზე ვერ მოსწყვიტა მიწას ფეხი, თითქოს ასფალტს მიეწებაო.

ჩაუარა, კარგა მანძილზე გასცდა და მერეღა მობრუნდა უკან. ნახევარი გზაც ან გაევლო, უცნობი მოაჯირს მოსცილდა, მოტრიალდა და მისკენ გამოემართა. ნელა, დინჯად ჩაუარა გვერდით ყარამანს, მისთვის ზედაც არ შეუხედავს, ერთი ზორზოხი ვინმე იყო, თავიდან არ ეტყობოდა.

– ეეჰ, ყარამანი მაინც არ გერქვას. – უთხრა თავის თავს ყვედრებით ყარამანმა. – რა დაგემართა, სულ მთლად წახდი? ამ ცარიელ სანაპიროზე რიღასი გეშინია.

სიგარეტი ღრმად მოქაჩა, ცოტათი დამშვიდდა და ისევ გააგრძელა სეირნობა. ჯერჯერობით არავინ ჩანდა შესაფერის პოზაში, ანდა, ბევრნი იყვნენ ერთად. ზოგიერთები თევზაობდნენ ჯებირებზე შემომსხდარნი, ისინი სათვალავში ჩასაგდებნი არ იყვნენ; აბა, როგორ ამოარტყამ პანღურს მჯდომარე ადამიანს? – მთელი სერიოზულობით ფიქრობდა ყარამანი.

მერე გამოჩნდა ვიღაც შესაფერისი, აუჩქარებლად მოსეირნობდა პალტოს საყელოაწეული, მერე მდინარის მოაჯირს გადაეყუდა. ყარამანმა კრიტიკული თვალით შეათვალიერა; ჩემი ტანისაა, რამე რომ იყოს... პალტოც კი ჩემნაირი აცვია. სასაცილო კია, იქნება ერთად ვიყიდეთ მე და მაგან ეს პალტოები, მაღაზიაში შევხვდით ერთმანეთს და ახლა ისევ ვხვდებით სულ სხვა მდგომარეობაში. ვინ რა იცის, სად როგორ შეგვახვედრებს ერთმანეთს ცხოვრების მღვრიე მდინარე.

– აბა, ფილოსოფოსობის დრო არ არის! – შეუძახა თავის თავს იმ წამსვე. – მოქმედება, მოქმედებაა საჭირო. ეს სწორედ ისაა, რაც მე მჭირდება, თითქოს საგანგებოდ ჩემთვის მოვლენილა ამ სანაპიროზე.

მართლაც, ძალიან მოხერხებულ პოზაში იყო ის ვიღაცა. გამომწვევად უკანგამოშვერილს თვალი მდინარისთვის გაეშტერებინა, მგონი ძალიან ჩანთქმული იყო საკუთარ ფიქრებში.

ყარამანი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა. ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა. როცა მიაღწია იმ კრიტიკულ მანძილს, რომელიც პანღურისთვის იყო საჭირო, გულმა ისევ აჩქარებით დაიწყო ძგერა, ოფლმა დაასხა და აკანკალებულმა ისე ჩაუარა უკან, შეჩერებაც კი ვერ შეძლო ერთი წამით.

რამდენიმე ნაბიჯზე რომ გასცილდა, მხოლოდ მაშინ შეჩერდა და მძიმე ქაქანით მოითქვა სული. რისი გეშინია, შენ ახლა არაფრის უნდა გეშინოდეს. – უმტკიცებდა თავის თავს და ცდილობდა, ნერვიული კანკალი დაეოკებინა. – ხომ იცი, რომ სხვა გზა არა გაქვს, ან შენ, ან ის პანღური...

მოტრიალდა, ისევ მიუახლოვდა უცნობს, ნაბიჯი თანდათან შეანელა, შეჩერდა კიდეც... შეჩერდა ორიოდე წამით... და ისევ გააგრძელა სიარული, სიგარეტს მოუკიდა იმ შეჩერების დროს.

– რა მემართება ბოლოს და ბოლოს? – გაუბრაზდა თავის თავს, – მკვლელობას ხომ არ ვაპირებ... ერთი პანღური, მხოლოდ ერთი, მეტი არაფერი.

კვამლი ისე ღრმად ჩაისუნთქა, მთელი ფილტვები აუწვა, მაგრამ ერთიც არ ამოუხველებია, მობრუნდა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა უცნობისკენ. სწრაფი ტემპი იმიტომ აიღო თავიდანვე, შიშს რომ ვერ მოესწრო მისი დაჯაბნა. დაახლოებით შუა გზაზე იყო, როცა უცნობი მოსცილდა მოაჯირს, წელში გაიმართა და ნელ-ნელა სეირნობით გაუყვა ტროტუარს.

გამწარებულმა ყარამანმა თავის თავს შეუკურთხა. რას ვუყურებდი ამდენ ხანს? ასეთ მოხერხებულ შემთხვევას როდისღა წავაწყდები... სულ მთლად ცარიელი სანაპირო და «ის» მოაჯირზე დაყუდებული... მართლა ყველაფრის ღირსი ხარ, – თათხავდა თავის თავს, – სულ პანღურები უნდა ურტყან შენისთანა უტვინოს, შენზე ახია.

ორიოდე წრე დაარტყა აჩქარებული ნაბიჯებით და მერე თვითონვე გადაეყუდა მოაჯირს. მღვრიე, ტალახისფერ მდინარეს შეჰყურებდა, გამხმარ ფოთლებს და ათასნაირ ნაგავს რომ მოაცურებდა, მაგრამ ვერაფერს ამჩნევდა. ახია ჩემზე ყველაფერი, ახი. – ისევ ილანძღებოდა გუნებაში. – ახია, ახლა რომ მართლა ამომარტყას ვინმემ პანღური, ხომ მოხერხებულ პოზაში ვარ, ა?

ამის გაფიქრება იყო და ზურგიდან ნაბიჯების ხმა შემოესმა. მთელი ტანით დაიძაბა, ყური მიუგდო. ნაბიჯები თანდათან მოახლოვდნენ. თითქოს გულმაც შეწყვიტა ძგერა, ისე გაილურსა. აჰა, უკვე სულ ახლოს არის, სულ ახლოს... და ისევ მიწყდა ნაბიჯების ხმა. გზა გააგრძელა, არ შეჩერებულა.

ვერ გაბედა ვითომ? თუ... თუ არც აპირებდა. რა ვიცი, მე ახლა ისე მეჩვენება, თითქოს ყველა პანღურის ამორტყმას მიპირებდეს, ვინც კი ახლოს ჩამივლის.

შორს არ წასულა, აქვე დასეირნობს. ისევ გამოემართა მისკენ. მოახლოვდა, მოახლოვდა... კიდევ ცოტაც და... ნაბიჯების ხმა შეწყდა. შეჩერდა, არსად არ მიდის...

ოჰ, ერთი მართლა ამომარტყას ახლა პანღური, მეტი არაფერი მინდა. რას ვუზამ სამაგიეროდ? მეც არ ვიცი, ნამდვილად არ ვიცი. ერთი ისღა ვიცი ახლა, რომ სხვა ყველაფერი ჩემთვის სულერთია, თუნდაც ჩამომახრჩონ... ნეტავი მართლა ამომარტყას პანღური...

არ ამოურტყამს. სიგარეტის სუნი ეცა, მერე ისევ ნაბიჯების ხმა მოესმა და მიხვდა: ისიც ჩემსავით სიგარეტის მოსაკიდებლად შეჩერებულაო. ჩემსავით? შეეკითხა თავის თავს და ნაღვლიანად ჩაეცინა. – რა ვიცი, მართლა რას გაიგებ, პალტოს საყელო მეც კი მაქვს აწეული. ცივა და იმიტომ.

ნელ-ნელა დასეირნობს, თითქოს აქაურობა არ ეთმობაო. არც მე მეთმობა, სასეირნოდ მშვენიერი საღამოა, ცაზე ვარსკვლავები ერთიმეორის მიყოლებით ინთებიან. ქალაქის ნათურები მდინარეში ციმციმებენ და ზეციურ ვასკვლავებს უწევენ მეტოქეობას. რა სილამაზეა... აქვე ჩემ გვერდით მანქანების ნიაღვარი მიედინება შეუწყვეტელი გუგუნით, მათი შხამიანი სუნთქვა ახლა ისე შემაწუხებელი აღარაა, როგორც ზაფხულში.

წავიდა? არა. ისევ იქაა... ყველაზე ხელსაყრელ პოზაში. კიდევ უფრო გადაყუდებია მოაჯირს, თითქოს წყალში არეკლილ ნათურებს ითვლიდეს. ბევრია, არა? მაინც რამდენი? ერთი... ორი...

ორიოდე ნაბიჯიც და მყისიერად შემდგარმა მთელი ძალით მოიქნია ფეხი. ამ მოძრაობას იმხელა სიმძიმე გაატანა თან, თითქოს მთელი ის მაჯლაჯუნა, რაც ამდენ ხანს გულზე აწვა, ერთი დაკვრით მოიშორა თავიდანო. «აჰა, ეგეც შენ, მიიღე თუ არა.» ეს სიტყვები გულში თქვა, ხმამაღლა კი ერთი ამოისუნთქა მხოლოდ, ამოისუნთქა შვებით, ღრმად და გულიანად. რამდენი ბოღმა ამოაყოლა იმ ერთ ამოსუნთქვას.

ახლა კი აღარაფერს დავეძებ, კიდეც რომ მომკლან, ნაკუწ-ნაკუწ დამკეპონ, სრულებით არ მენაღვლება, ტკივილსაც კი ვერ ვიგრძნობ. ოღონდ ჯერ სახე... სახე უნდა ვნახო შენი, მრავალსახა უსახობის, მოხარხარე უსახობის სახე. ახლა ხომ მაინც მოიხედავ ჩემსკენ... აბა, ერთი შემომხედე...

მართლა მოიხედა იმ ვიღაცამ, ერთი ხმამაღლი შეყვირების შემდეგ მაშინვე მოტრიალდა. და იმან, რაც თვალში ეცა მის უკან მდგარ გასაქცევად მომართულ ყარამანს, ადგილზე მიაჯაჭვა იგი, ვერსადაც ველარ გაიქცა. უკიდურესად ნაცნობმა სახემ, მისმა საკუთარმა თვალებმა შემოხედეს, შიშით, წყენით და გაბოროტებით სავსე თვალებმა. და პარიკიც... რა თქმა უნდა, პარიკი იყო, ოღონდ შებრუნებულად. იმ ვიღაცას თმები ჰქონდა ჟღალი ფერის, წვერ-ულვაში კი კუპრივით შავი. ულვაშის ერთი ბოლო ასძრობოდა, თითქოს საგანგებოდ, მის არაბუნებრივობაში რომ დაერწმუნებინა მნახველი.

მნია-მნია

(ფანტასტიური რეალობა)

კობა ცხაკაია

„ღამეა ბნელი, დელგმაა,
დგანდგარებს არე მარეო,
ღმერთო მოჰხედე ტანჯულთა,
უშველე, შეიწყალეო...“
ვაჟა-ფშაველა „სტუმარ-მასპინძელი“

შეაგვიანდა საკონფერენციო დარბაზში მისვლა. უნდოდა ელეგანტური გამოჩენილიყო და ამიტომ, გონგის შემდეგ ცოტა ხნით სარკესთან შეჩერდა... ამან დრო დააკარგვინა და მისთვის იმ საღამოს ბევრი რამ გაუგებარი დარჩა.

ყველაზე მეტად ხაშლამის ნაჭრებით გავსებულმა ჯამმა დააბნია, რომელიც მას დარბაზში შესვლისთანავე შესთავაზეს, უფრო სწორად, შეაჩეჩეს. ახლად დაჭრილი მწვანილი ზურმუხტისფერ ხალებად ეფინა ცხელ ხორცზე. ნახარშის მოტკბო სუნი პირდაპირ ცხვირში ეცა. არ ესიამოვნა. კინაღამ გული აერია. შემოთავაზებული კერძი გვერდზე გასწია და მორცხვად მოიტყუა, „ვეგეტერიანელი ვარო“.

მისმა სიტყვებმა ტალღასავით გადაუარა აყაყანებულ დარბაზს და რამდენიმე წამით ყურადღების ცენტრში მოექცა. ძალიან დაიბნა, თუმცა, ამ უხერხული მდგომარეობიდან უფროსის მეგობრულმა შეხებამ გამოიყვანა:

– ხორცს არ ჭამთ? – ღიმილით ჰკითხა დაბალი ტანის, შუანლებს მიტანებულმა, ულვაშებგაწკეპილმა კაცმა, მუსა დარქინაზანაშვილმა, – კარგია! ქოლესტერინი, ათეროსკლეროზი, წნევა... ჯანმრთელი ცხოვრების წესს მისდევთ?

პასუხად რაღაც წაილუღლუღა.

– კარგია! მხოლოდ იცოდეთ, ვინც ბალახით იკვებება, მას ხორცის მჭამელები მიირთმევენ! ჰა-ჰა-ჰა! – მუსას სიცილს თითქმის ყველა თანამშრომელი აჰყვა...

საზეიმოდ გამოწყობილი კოლეგები ისტერიულად ხარხარებდნენ. ეგონა, ეს არასოდეს დამთავრდებოდა, მაგრამ საერთო მხიარულება უცებ შეწყდა და ყველა ოდნავ შეგრილებულ კერძს მიუბრუნდა... თითქმის ყველა.

ის ფინჯანი ყავით ხელში ფანჯარასთან მივიდა და ჩამავალი მზის მოსისხლო-მოოქროვილი ფერებით დაფარულ ქალაქის გახედა... სხივების ნაწილი, მის პერანგზე, მკერდთან, პატარა ლაქასავით ანათებდა და ახლადანთებული კოცონივით მოწითალო-მოყვითალო-მოლურჯო ფერებში ლივლივებდა. ეს პატარა ცეცხლი თითქოს გულს უთბობდა. ესიამოვნა, დამშვიდდა და გაეცინა...

...

ლაგაზათ ალხასტაიძემ შემთხვევით გაიგო, რომ შეჭმას უპირებდნენ... თუმცა, ეს ამბავი არც კი გაჰკვირვებია...

რამდენიმე წელი იყო, რაც უცხოეთიდან დაბრუნდა და ხვდებოდა, ირგვლივ რაღაც შეიცვალა... თითქოს ადამიანები სხვანაირები გახდნენ... ურთიერთობის დროს იყო მომენტები, როცა ზოგიერთ მათგანს მზერაში ველური ნაპერწკალი გაუელვებდა... ხანჯალივით მჭრელი და სისხლიანი. ეს ჯერ ახლობლებში შეამჩნია, მერე შორებლებშიც... სულ ბოლოს კი თანამშრომელთა, კოლეგათა დამშეულმა მზერამ მიიქცია მისი შეშფოთებული ყურადღება.

– გემრიელი კაცი ხართ, ბატონო ლაგაზათ! – საქმიანი საუბრისა და კვალიფიციური რჩევების მერე ასე ხშირად ეუბნებოდნენ... ეს ფრაზა, ან ფრაზები – ანუ ტრადიციული ქათინაურების, ან ეტიკეტით მიღებული საქები სიტყვების მაგივრად „ჭამისთვის“ დამახასიათებელი მნიშვნელობების გამოყენება ჯერ ხუმრობა ეგონა, მერე მავნე და გაუცნობიერებელი ჩვევა, მაგრამ რაც დრო გადიოდა, რწმუნდებოდა მათ მიზანდასახულობას, სერიოზულობასა და საფუძველიანობაში... თუმცა, საბოლოოდ „საღმა აზრმა“ გადასძალა და სიტუაციას იუმორით შეხედა. ამ კანიბალურ შექებაზე საპასუხო ტექსტიც კი მოიგონა.

– გემრიელი კაცი ხართ, ბატონო ლაგაზათ! – როგორც კი ეტყოდნენ, იმწუთასვე ხარხარით პასუხობდა:

– გემრიელი კი ვარ, მაგრამ იალაღებზე გაზრდილი ცხვრის ჩაქაფულს მაინც ვერ ვჯობივარ!

– ვნახოთ! ვნახოთო! – „ემუქრებდნენ“ მისი იუმორით გახალისებული მოსაუბრენი...

მოკლედ, სულ ასე სიცილ-ხარხარში გადიოდა დრო...

მაგრამ მოდით, ყველაფერი თანმიმდევრულად მოვყვეთ...

ლაგაზათი დიდი ხანია ოცნებობდა იალბუზის, ანუ ღმერთების მთის დაპყრობაზე...

არ იყო პროფესიონალი მთამსვლელი, მაგრამ ბოლო ხუთი წლის (სამი უცხოეთში და ორიც აქ – მშობლიურ ქალაქში ცხოვრების) მანძილზე, სულ ერთი და იგივე სიზმარი „აწუხებდა“...

ალპური, ცივი ნიავი გაოფლილ ულვაშებს

გათოშილ სახეზე აყინავდა და ჩასუნთქული ჰაერი ფილტვებში სუსხიან ფენად ერეოდა სიამაყით აჩქროლებულ სისხლს... ქედუხრელი და კმაყოფილი ლაგაზათი მწვერვალზე იდგა, ხელში წერაყინი ეჭირა და კავკასიონის მყინვარებს შორის გაჭედილ მთვარეს გულის ფანცქალით შეტრფოდა.

ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. ხეობები ნისლითა და ფუმფულა ღრუბლებით დაფარულიყო. ალხასტაიძე გახარებული იქნევდა მთვარის შუქზე მოლაპლაპე წერაყინს და ხმამაღლა გაიძახოდა საყვარელი ანსამბლის ცნობილ სიმღერას:

„აივ პაიდ მი დუეს! / ტაიმ ავთერ ტაიმ!

იავ დონე მი სენტენცე / ბუტ ქომიტედ ნოუ ქრიმე...

...ვე არ თზე ჩემპიონს მაი ფრენდზზზზ...“

ეს სიტყვები სმენით ჰქონდა დაზეპირებული.... ენა არ იცოდა, მაგრამ ყოველ ფრაზაში ხმოვნებს წელავდა. ხმა შედარებით დაბალ რეგისტრში გადაჰყავდა და გემის საყვირივით გუგუნებდა, მხოლოდ წინადადებას – „ვე არ თზე ჩემპიონს...“ შეუპოვრად, ფილტვების დახეთქვამდე გაიძახოდა და ტონალობით თითქმის ჯაბნიდა აწ განვენებულ ფრედი მერკურის...

„აი... აი... იიი უესსსს... აიმ ერ... აიმმმ...

ვე არ თზე ჩემპიონს მაი ფრენდზ!“...

ამ უკვდავ ჰანგებს გაჰკიოდა იალბუზის კინკრიხოზე ამაყად შემდგარი ლაგაზათ ალხასტაიძე... ოღონდ სიზმარში... ყოველ ღამე... მაგრამ თუკი ნასვამი ან ძალიან დაღლილი იყო, რაც იშვიათად ხდებოდა, კუნაპეტი სიბნელის მეტი არაფერი ეზმანებოდა...

საზღვარგარეთ ყოფნისას ამ ძილისმიერ აკვიატებულ ხილვას „ნოსტალგიას“ ეძახდა, ხოლო სამშობლოში დაბრუნებისას „უსიკვდილოდ აღსასრულებელ ოცნებას“, „რომლის ხორცშესხმის გარეშე შესაძლებელია, ჩემს ცხოვრებას, მხოლოდ არსებობა, კარიერიზმი და ტანჯვა ვუწოდო!“ – ამ დასკვნას, ახლად გაღვიძებული, სარკეში არეკლილ გამოსახულებას თითქმის ყოველდღე ეუბნებოდა და შემდგომ გამომაფხიზლებელ-გამაკაჟებელ ყინულ-შხაპს მედგრად უმკლავდებოდა...

ჰოდა, ბედი არ გინდა? სექტემბრის შუა რიცხვებში ორკვირიანი გეგმიური შვებულება უწევდა...

თუმცა, მოვლენებს წინ არ გავასწრებ და ჩვეული მანერით გავაგრძელებ – ბუნებით ცოტა ზოზინა, მკვეთრი ცვლილებების ნაკლებად მოყვარული და მორიდებული ალხასტაიძე, ტრადიციულად, დასასვენებლად კვლავ ახტალაში აპირებდა წასვლას... იქ ტალახის აბაზანებს მიიღებდა პროფილაქტიკის მიზნით. შემდეგ, თუშეთის გზაზე, თორღვას აბანოებსაც მიაკითხავდა და შვებულების ბოლო „ველურ“ კვირას შეალევდა იქაურ ხასხასა ბუნებით ტკბობას და ჟანგბადით გაპენტილი ჰაერის ყლაპვას, ვულკანურ ცხელ წყალში დათვივით ფრუტუნს და ხვანცალს, და ნახევრად გატყიურებული დაუბრუნდებოდა მშობლიურ სამსახურს, სადაც მისი გათვლებით სულ მალე დიდ, გასაოცარ, შორსმიმავალ მოვლენებს მ ო ე ლ ო დ ა...

ჰოდა, სექტემბრის შუა რიცხვებში, ორკვირიან შვებულებაში გასვლის წინა დღეს, ბედად ძველი ნაცნობი, ასი წლის უნახავი ჯოყოლა ბაბურაული შეხვდა და სწორედ მან შესთავაზა თითქმის უსასყიდლოდ (მხოლოდ მგზავრობის ფული უნდა დაედო), იალბუზის დასაპყრობად წასვლა... დანარჩენი აღჭურვილობა, აუცილებელი იარაღები და საკვები – უკვე მომარაგებული ჰქონდათ.

ამაზე უკეთესს რას ინატრებდა, იალბუზზე, ანუ რუსულად ელბრუსზე, ანუ ჩერქეზულად „აშ გამახოზე“ (წმინდა მთა), ყაბარდოულად „ოშხო-მახოზე“ (ბედნიერების მთა), ბალყარულად „ჯინ ფადიშაჰზე“(მთების სულთა მეფე), ოსურად „სტირ-ხოხზე“ (დიდი მალული მთა), ყარაჩაეულად „მინგი თაუზე“ (ათასი მთის კრებული) ოცნებებ და სიზმრებ გატანჯული კაცი?

ლაგაზათ ალხასტაიძეც სიხარულით დათანხმდა.

უფროსს ამის შესახებ იმავე დღე უამბო. არაფერი გაჰკვირვებია, როგორსაც ელოდა, ზუსტად ისეთი პასუხი მიიღო, მაგრამ დაფარული აზრით გაჟღენთილი სიტყვები ყურში მაინც უცნაურად მოხვდა... კიდევ იყო დასისხლიანებული, ლამის ბუდეებიდან ამოვარდნამდე მისული თვალები... ეს უბრალო გამოხედვა არ იყო, ეს განაჩენს უფრო ჰგავდა – თითქმის ცივი, ღრმა, გამჭოლი... და ბასრი, მხოლოდ წამის მეასედში გაელვებული, დაფარული საშიშროების გამამჟღავნებელი... რომელიც მძიმედ თუ წაიშლებოდა მეხსიერებიდან...

– გემრიელი კაცი ხარ, ჩემო ლაგაზათ! გ ე მ რ ი ე ლ ი! ელბრუსის იალაღებზე ნანავარდევი კი ასმაგად უფრო გემრიელი დაგვიბრუნდები! – გაუხარდა უფროსს, მუსა დარქინაზანაშვილს და კაპუჩინო საკმაოდ ხმაურიანად მოსვა, – ხხხვვვრრრყუოპწ!

გინახიათ და მოგისმენიათ, როგორ გამოწოვენ – „ხვრეპენ“ ძვლიდან გემრიელ ტვინს... ხმაურით, და ამასთანავე სიამოვნებისაგან კრუსუნებენ?.. სწორედ ასეთი ხმას გამოსცა უფროსმა:

– ხხხვვვრრრუოოპწ!

მისმა შემყურე ლაგაზათმაც კი ნერწყვი გადაყლაპა:

– მწტპ!..

...ჯგუფი, რომელსაც ალხასტაიძე შეურთდა, თანამოაზ-

რეების მიერ სულ ერთი წლის წინათ ჩამოყალიბდა და „არსაკიძის, ანუ დიდოსტატის მარჯვენის“ შეუპოვარ შთამომავალთა კლუბის სახელს ატარებდა. ასე იმიტომ ერქვა, რომ ამ ჯგუფის ყოველ წევრს სხეულის რაღაც ნაწილი, ანუ კიდური აკლდა. ზოგს ხელი, ზოგს ფეხი, ზოგს თვალი, ყური... იყო ერთი უხმოც და ერთი „უხერხემლოც“ (ყოველ შემთხვევაში, მას ასე ეძახდნენ). ეს „უხერხემლო“, ლაშქრობის დროს, მისივე კონსტრუქციით შექმნილი, ტანზე გამობმული, გაბერილი საჰაერო ბუშტებისა და თხილამურების ჯოხებით გადაადგილდებოდა... მარცხენა ბუშტზე ერთმანეთის ქვემოთ ეწერა შემდეგი სიტყვები:

„ჩვენ...
დავიპყრობთ...
და ვერაფერი...“,

ხოლო მარჯვენაზე:

„მაინც...
მწვერვალებს...
შეგვაჩერებს“...

ამ სიტყვების აზრს ლაგაზათი პირველ ხანს ვერ ჩასწვდა, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, ხეობიდან მოვარდნილ ქარს ეს ორი ბუშტი ერთმანეთისთვის „მიეხეთქ-შეეერთა“, რომ ყველაფერი გასაგები გახდა. წარწერა გვამცნობდა კლუბის ლოზუნგს:

„ჩვენ მაინც დავიპყრობთ მწვერვალებს და ვერაფერი შეგვაჩერებს“.

მოკლედ, ძალიან საინტერესო, შეუპოვარი პიროვნებებით დაკომპლექტებულიყო ეს ჯერ კიდევ უცნობი, მაგრამ საკმაოდ ორიგინალური კლუბი... რომლის ჰიმნიც ყველასათვის ცნობილ ტექსტზე აეგო ჯგუფის ცალფეხა და ცალთვალა ლიდერს – ჯოყოლა ბაბურაულს:

„ხეკორძულას წყალი მისვამს, /მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, /რატომ კარგი აგიგია!“

(ჰიმნის მისამღერიც ასევე ხალხური შემოქმედებიდან იყო მოძიებული):

წუთისოფელი ასეა, –/ ღამე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუქცევია –/ სიყვარულს უშენებია.“

მელოდიაც მთიულური ფოლკლორიდან აეღოთ, არც თუ ცნობილი სიმღერის „კომშმა თქვა, მეც ხილი ვარო“-ზე აგებული ვარიაციებით... სწორედ ამ „ვარიაციების“ ავტორის, ამჟამად მომლოგინე ქალბატონის, აღაზა გიგაურის მაგივრად იყო წამოსული ჩვენი ლაგაზათ ალხასტაიძე...

არსაკიძის მარჯვენოსანთა კლუბი ნელი, მაგრამ მიზანსწრაფული ნაბიჯით მიუყვებოდა იალბუზისკენ მიმავალ კლდოვან და ციცაბო ბილიკებს. წინ, ფანდურით ხელში, კლუბის თავჯდომარე, ბაბურაული მიუძღვებოდა, თანამოაზრეთა ჯაჭვს კი საჰაერო ბურთებზე ჩამოკიდებული „უხერხემლო“ კრავდა...

დაბალ ხმაზე შესრულებული ჰიმნი, ერთ რიტმში მოძრავი კოლონა და მიუვალი მთების მედიდური პეიზაჟები ალხასტაიძეს ტრანსში აგდებდა და მისტიკური რიტუალის თანამონაწილედ ხდიდა...

ალპინისტები, ღამღამობით სახელდახელოდ დანთებული კოცონის ირგვლივ იკრიბებოდნენ და უსიტყვოდ, მხოლოდ გამოხედვით, მზერით „ესაუბრებოდნენ“ ერთმანეთს და შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. თითქოს არ სურდათ კავკასიონის სიმყუდროვის დარღვევა და მისი უტყვი სიბრძნისეული სიწმინდის ზედმეტად წამოსროლილი სიტყვებითა და ფრაზებით გასვრა.

...ექსპედიციის მესამე დღეს ლაგაზათმა წევრებს შორის აღმოაჩინა ისეთებიც, რომლებსაც გული, თირკმელი, ღვიძლი, კუჭი, და, თქვენ წარმოიდგინეთ, ორივე თვალიც კი აკლდათ, თუმცა, მიუხედავად ამისა, დისკომფორტს არცერთი მათგანი არ გრძნობდა... ეს უსინათლო (უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა, „უთვალებო“, ან „თვალისჩინდაკარგული“, რადგან „უსინათლოდ“ მისი მოხსენიება საკმაოდ აღიზიანებდა და შეეძლო ,კარგა გვარიანადაც ეთხლიშა სახეში, თან ისე, რომ მხედველობითი ორგანოებიდან ნაპერწკლებსაც კი გადმოგაყრევინებდათ), სწორედ ეს უთვალებო იყო ყველაზე მეტად ხალისიანი და უშიშარი. ის, თავისი უშრეტი ენერგიით, სხვა კიდურნაკლულებსაც კი მუხტავდა...

მწვერვალზე ასვლის წინა ღამეს ვეღარ მოითმინა ცნობისმოყვარე ლაგაზათმა, დაარღვია დუმილი და ბავშვობის მეგობარს ჰკითხა: „სად, როგორ და რა ვითარებაში დაკარგეს ამ დალოცვილებმა ზემოაღნიშნული კიდურები, ან ორგანოები?“

ბაბურაულის მხრიდან იყო მოკლე, ცინიკური და ამასთანავე სევდიანი პასუხი:

– არ იცი, რა დროში ვცხოვრობთ?

– მაინც?

– იყო გამორჩეული, ნიშნავს განაჩენს! აუცილებლად შეგჭამენ ან მ ო გ ა ჭ ა მ ე ნ! თუ ძალიან გამწარდნენ – მოგაგლეჯენ! ეჰ, ზოგს კი „შემთხვევით“ დაუფსებენ, ანუ დათხრიან!

– თავს შევაკლავ და კიდურებს არ დავითმობ! – წამოიყვირა ლაგაზათმა, მაგრამ რაკი მის შემართებას მოსაუბრეში თანადგომა არ გამოუწვევია, კვლავ მორიდებით ჰკითხა, – უგულოდ, უთირკმელოდ, უღვიძლოდ როგორღა ცხოვრობენ?

– უგულოდ, უთირკმელოდ, უღვიძლოდ, უკუჭოდ, უელენთოდ – სულიწმინდა აცოცხლებს! – ჯანმრთელი თვალი ჩაუკრა ჯოყოლამ.

– უტვინოებიც ხომ არ არიან თქვენ გვერდითო? – დაინტერესდა ალხასტაიძე.

– უტვინოები? – ეჭვით შეხედა მოსაუბრეს, თუმცა, შემდეგ რაღაცის შერცხვა და თვალი აარიდა ალხასტაიძის გულუბრყვილო მზერას, – უტვინოები და თავხედები კაციჭამიები არიან!

– მართლა?

– ეეჰ! ნეტავ ვინ იცის, ვის რა ელის! – ამოიოხრა მან, კიდევ რაღაც მნიშვნელოვანის გამხელა მოუნდა, მაგრამ ნერწყვი გადაყლაპა და სევდიანი სახით ჰკითხა ლაგაზათს, – შემთხვევით რომელიმე საჭმლის მაგვარი ქათინაურებით ხომ არ მოგმართავენ?

– ამ ბოლო დროს ინტენსიურად დაიწყეს! როცა რაიმე პროექტს წარავდგენ, სულ ნერწყვებს ყლაპავენ!

– ჰოო! – თავისი საქციელის შერცხვა ბაბურაულს, პირჯვარი გადაიწერა, – თავდაუზოგავი კაცი ყოფილხარ! მაგრამ რა ვქნათ! დრო მიდის, დრო მოდის – რაღაცა კი ყოველთვის უნდა დასრულდეს...

მიუხედავად ძალიან ჩახლართული და გაუგებარი მნიშვნელობისა, არც ეს სიტყვები გაჰკვირვებია ალხასტაიძეს... ასეთ ბუნდოვან აზრებს, ანუ ფრაზების ზუსტად ასეთ წყობას არ ელოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ რაღაც ამდაგვარს ეტყოდნენ...

სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ – ლაგაზათი ყოველთვის გამოირჩეოდა კარგი ერუდიციით, შორსმჭვრეტელობით, შესაბამისად გრძელვადიან შედეგებზე გათვლილი მიზნების სწორი ანალიზით... აქედან გამომდინარე, ის შეჭმას დიდი ხანია ელოდა და ამიტომ არაფერი გაჰკვირვებია. თუმცა, როცა ამაში სრულებით დარწმუნდა, გული მაინც სხვანაირად აუფანცქალდა... არ შეშინებია, მხოლოდ სპეციფიური ინფორმაციის ნაკლებობა აბნევდა და ეს იყო მისი გულის აჩქროლების მიზეზი...

მან არ იცოდა, შეჭმული ადამიანის სული, ანუ ის, რაც ხორცის, ძვლების, ნერვების, სახსრების, სისხლის, გონების, გრძნობების მამოძრავებელ ძალას, სუბსტანციას წარმოადგენდა, სიკვდილის შემდეგ სად მოხვდებოდა. არ იყო დარწმუნებული, რომ კანიბალიზმის მსხვერპლი და წამებული, ან თუნდაც სიკვდილმისჯილი, „იქ – საიქიოში“, მოხვედრისას ერთნაირ ფაზებს გაივლიდა და ერთნაირ სამოთხეში, ჯოჯოხეთში თუ განსაწმენდელში მოხვდებოდა...

...მას არ აშინებდა სიკვდილი, რადგან ეს გარდაუვალი იყო, მას აფრთხობდა იმქვეყნად გადაბარგების რიტუალი, რომლის შემდეგ სანუგეშო და ხელმოსაჭიდი ვერაფერი იპოვა... კაციჭამიობის მრავალსაუკუნოვანი მითოლოგიის არცოდნა, განმარტებების არარსებობა და, აქედან გამომდინარე, გაურკვევლობის თეთრი ლაქების არსებობა სულიერად არყევდა ალხასტაიძეს და, ხშირ შემთხვევაში, არ აძლევდა სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას. ეს კი მისთვის დიდი დეპრესიის ან მძიმე ნევროზის დაწყების საფუძველი იყო...

თუკი ახალი გვინეის კალუფოს ტომის კანიბალების წესებსა და მითებს დაუჯერებდა, დამამედებელი და სასიხარულო იქ არაფერი ჩანდა. ეს პრიმიტიული განვითარების დონის კაციჭამიები თვლიდნენ, რომ ლაგაზათის ყველანაირი ნიჭი, ძალა და გონიერება მის შემჭმელებს უნდა გადასცემოდათ. ეს კი ნიშნავდა, რომ ალხასტაიძე, როგორც პიროვნება, დანაწევრდებოდა ათას ნაჭრად, ლუკმად და საკვების გადამამუშავებელი ორგანოების წყალობით, არსებობას შეწყვეტდა და სხვა, დაბალი ინტელექტის, სულიერების თუ ცნობიერების მატარებელ პირთა დროებით დანამატად, ცხოვრების გამაადვილებელ ხელსაწყოდ იქცეოდა... მაგრამ მას არ სურდა თავისი ინდივიდუალურობის, „მე“-ობის დაკარგვა... რადგან ის თვლიდა, რომ სული, როგორც გონების, სიბრძნის, გრძნობების, ემოციების და, რაც მთავარია, რწმენის კიდობანი, „მე“-ობის სუბსტანციიდან იყო წარმოქმნილი... უ-“მე“-ობოდ – ერთფეროვან და ერთგვაროვან ჯოგებად, მხოლოდ ჯოჯოხეთში დადიან! „მე“-ობის გარეშე, შეუძლებელია, ცხონდე!..

როცა უფრო განვითარებულ კაციჭამიათა მითები და გადმოცემები აღმოაჩინა ინტერნეტში, უფრო სავალალო დასკვნებამდე მივიდა: „სიკვდილის შემდეგ ყოველი შეჭმული ადამიანი კანიბალის მონა ხდება!“...

საცოდავი ლაგაზათი ამ ინფორმაციამ საშინელ დეპრესიაში ჩააგდო. იყო მომენტი, რომ ჩემოდანსაც კი დაავლო ხელი უცხოეთში გასაქცევად, მით უმეტეს, რომ იქიდან სულ მუდმივად ურეკავდნენ, უწყვეტად მოსდიოდა ტელეგრამები, იმეილები და ფაქსები: „დაგვიბრუნდი! გვენატრები! აქ დიდი პერსპექტივები გელოდება!“ – მაგრამ რამდენჯერაც ჩაალაგა, იმდენჯერ ამოალაგა ეს წყეული ჩემოდანი...

და ამის მიზეზი აეროპორტის გზა იყო, რომლიდანაც ნათლად მოჩანდა კავკასიონის მშობლიური ქედი. ალხასტაიძესთვის ენით აღუწერელი იყო მისი მიმზიდველობა და მომაჯადოებელი მშვენიერება.

ის აღფრთოვანებისგან ხევდებოდა, როცა ხედავდა, ღრუბლებიდან გამოხეთქილი ოქროსფერი სხივები ცეცხლოვან ყელსაბამად როგორ კიაფობდნენ სამართებელივით ბასრ, „ხაშლამისფერ“ (შინდის, ყაყაჩოსა და ნაცრის ნაზავ ფერთა) კლდეებზე. ლაგაზათს თითქოს ყურშიც კი ჩაესმოდა ამ არამატერიალური, მისტიკური ცეცხლის ტკაცატკუცი, რომელსაც ნამიანი ბალახის და თრთვილმოკიდებული სუსხიანი ქედების სურნელი ასდიოდა.

სწორედ ეს ბუნებრივი და ამავე დროს არარეალური სილამაზე აბამდა უხილავი ჯაჭვით, და საკმარისი იყო, აერო-

პორტის კარს მიმდგარიყო, სუნთქვა ეკვროდა, თვალთ უბნელდებოდა და იძულებულს ხდიდა, პირველსავე მომხდურ ტაქსში შეხოხებულიყო და უკანმოუხედავად გამოძურწულიყო და უიმედობის, შიშის და თუნდაც შავბნელი ბედისწერის მომაკვდინებელ მკლავებს ჩაკვროდა. ის აქაური იყო, კავკასიონის აქეთა მხარისა... იქითა მხარისობას ვეღარ იტანდა, ვეღარ უძლებდა და რა უნდა ექნა?..

ამ ფიქრებში იდგა წერაყინმომარჯვებული ლაგაზათი იალბუზის თოვლიან მწვერვალზე, მთაზე, რომელსაც წინაპარი კავკასიელები ღმერთების საუფლოდ მიიჩნევდნენ. გვერდით დიდი ხნის მეგობარი, ჯოყოლა ბაბურაული ედგა და მასთან ერთად გაჰყურებდა კავკასიონის უტეხ ხერხემალს და მღეროდა ისე, როგორც არასდროს. მისი ხმა ნისლივით იშლებოდა შემოდგომის მზით ცეცხლდანთებულ ჰორიზონტზე და მოგუგუნე ექოდ უბრუნდებოდა ოცნებაასრულებულ ადამიანებს.

...ნაშვებულებარი ლაგაზათი კვირა საღამოსვე თანამშრომლებს ტელეფონით ესაუბრა.

ცნობისმოყვარე კოლეგებს ძალიან მოკლედ და მშრალად მოუყვა თავის თავგადასავლებზე... მიუხედავად ასეთი „მწირი ენით“ თხრობისა, მის სულს საოცარი, ზეამაღლებული შეგრძნება არ ტოვებდა, და ეჩვენებოდა, რომ კვლავ იქ იდგა, თავისი ოცნების მწვერვალზე და ღმერთებს ჰიმნს უძღვნიდა... ხმაც კი უთრთოდა და მოსაუბრეს ეს რომ არ ეგრძნო, ხშირად ახველებდა... მოკლედ, ძალიან გაუჭირდა თავის შეკავება... გრძნობდა, როგორ შეეძლო მთაში დაგროვილი, დადებითი ზეენერგიით გაეჟღინთა ქალაქის ქვაბულებში გამოკეტილი კაციჭამიები – „ისინი“, მაგრამ არა ახლა, არა დღეს, არა ტელეფონით, არამედ ხვალ... როცა ყოველ მათგანს თვალებში ჩახედავს...

ეს აზრი და გადაწყვეტილება, რომელიც ექსპრომტად დაებადა თავში, ძალიან მოეწონა და ესიამოვნა...

დარწმუნებული იყო: „როცა უანგაროდ გასცემ სულიერ აღტყინებას, შედეგიც არ დააყოვნებს!“...

„მათ“ უკეთესებს და, რაც მთავარია, იალბუზის, ღმერთების საუფლოს სილამაზის მოწყურებულებს და დანატრებულებს გახდიდა: „როცა მწვერვალი გიყვარს, შეუძლებელია, ადამიანი არ იყო!“...

ლაგაზათს სჯეროდა, რომ „მათ“ ალპიური ზონის მზის სხივებს შემოახვევდა სხეულებზე და წარმოსახვით აიტაცებდა მყინვარის ქიმზე, საიდანაც რეალურ ყოფიერებაზე უფრო მნიშვნელოვანი, უკიდეგანო სამყაროს ჰორიზონტებს აზიარებდა, სადაც...

ამ ხილვებითა და სურვილებით გართული უცებ დაიღალა, ცოტა დასევდიანდა, რადგან საკუთარი ოცნება უკვე ასრულებული ჰქონდა... ხვალინდელ დღეზე დაფიქრდა, გაიცინა, არა ცინიკურად, არა ბედს შეგუებულივით, არამედ კმაყოფილმა, როგორც ყველაფერის დამძლევმა და ღირსეულად მიმღებმა... შარვალი, ჰალსტუხი და ქამარი ლამაზად დაალაგა, შხაპი მიიღო. სანთელი დაანთო და ძილისწინა ლოცვების წასაკითხად მოემზადა... ამ დროს გაისმა ტელეფონის ზარის ხმა.

– ალო, გისმენთ!

– ვერ შევიკავე თავი და პირდაპირ უნდა გითხრა! ხვალ შენს შეჭმას აპირებენ!.. – უპასუხა ნაცნობმა ხმამ.

– ნუ მეხუმრები! – ვითომ გაბრაზდა ლაგაზათი.

– ყველაფერი აქვთ ამისთვის მომზადებული!.. მაპატიე, მაგრამ მეც უნდა შეგჭამო! ასე თუ არ გავაკეთე, ცუდ ტონად ჩამეთვლება! გამრიყავენ! – გულისტკივილით იმართლა თავი მოსაუბრემ.

– რაკი ასეა, რა გაეწყობა! – გაეცინა ალხასტაიძეს და დანთებულ სანთელს გახედა.

– დედას გეფიცები, ეს უკვე გადაწყვეტილი ამბავია! ისიც კი იციან, შენგან რა უნდა მოამზადონ! ამის გაკეთებას საღამოს ბრიფინგისთვის აპირებენ! უამრავი ხალხია ჩართული!.. რა გინდა? რეკლამა შენ თვითონ გაუკეთე შენს ხორცს?! კავკასიონის იალაღებიდან დაბრუნებული, ქალაქის ტოქსიკური მინარევებიდან გათავისუფლებული, ალპური ჰაერით გაჟღენთილი, საკმაოდ გემრიელი და მიმზიდველი რომ იქნებოდი, არ იცოდი?... – გაუბრაზდა კოლეგა, – ამიტომ, შესვენებაზე არავინ აპირებს სადილს და კუჭის ამოვსებას! ყველას უნდა, გემრიელად შეგჭამოს! ჰოდა... ჰოდა... ჰოდა...

– რა, ჰოდა! – გაბრაზდა ლაგაზათი.

– თუ გეშინია, ეგებ არ მოხვიდე?! – შეაპარა მოსაუბრემ.

– მე არაფრის მეშინია!

– ვიცი! – გაუხარდა მას, – დამიჯერე, ძალიან გემრიელი იქნები, მაგრამ... მაგრამ... – ვერ გაებედა რაღაცის თქმა, დიდხანს იშმუშნებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც უთხრა, – თუ არ გინდა, თუ ოდნავ მაინც გეშინია, მაშინ გაუპარსავი და დაუბანელი მოდი!.

– რატომ? – გულწრფელად გაუკვირდა ლაგაზათს.

– შენს გაპატიოსნებას დრო დასჭირდებდა! მაგარი მშივრები იქნებიან და ვეღარ მოითმენენ! სხვას შეჭამენ, ან რაიმეს მოიფიქრებენ..

– არა მგონია, ჩემმა წვერებმა გადააფიქრებინოთ! – დარწმუნებით თქვა ლაგაზათმა.

– თუ სუფთა მოხვედი, ეგრევე დაგკლავენ და მოგამზადებენ! – ნერწყვი გადაყლაპა, ლამის სასულეში გადასცდა. ჩაახველა და ამაყად გაუმხილა – დაკვლა მე მავალია!.. მამაჩემი ყას-

ბი იყო და იმიტომ... იცი, რა სწრაფად ვაკეთებ ყველაფერს! თუმცა, ხვალვე დარწმუნდები! ნადვილად კმაყოფილი დარჩები!

– რას?..

– რაას? – დაიბნა ყასაბის შვილი, – ალბათ გინდოდა გეკითხა, რითი?

– არა! მაინტერესებს, რის მომზადებას აპირებენ?

– ხარჩო უნდოდათ, ნიგვზიანი!.. მერე ოსტრი მე შევთავაზე, საოცარი ოსტრი გამომდის. მაგრამ, მაგას ის უნდაო, ეს უნდაოო... თან თანამდებობით და ინტელექტით არ შეეფერებაო! მოკლედ, მთელი ამბებიო! ამიტომ, ძველი დამსახურების და მთის სიყვარულს გამო გადაწყვიტეს შენგან ჩაქაფული მოამზადონ!

– ჰოო! – თითქოს დაეთანხმა ლაგაზათი, – მეც ეგრე ვფიქრობდი! მწვადი რომ არ ვიქნები, ამისთვისაც დიდი მადლობა...

– მწვადი ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება! ტრადიციულად, მოხარშული ხორცი უნდა იყოს! ხინკალიც მიღებულია! – თანამშრომელი საქმის დიდ ცოდნას ავლენდა, კერძებზე საუბრისას ხალისი და აზარტი ემატებოდა, – მაგრამ თუ შენი უკანასკნელი სურვილი იქნება, გავითვალისწინებ... თთთ... სუკებს და არტალას ამოგაჭრი... მწვადის შეწვა ვიციიი?! ცვრიანის! თითებს ჩაიკვნეტ. უკმაყოფილო არ დარჩები! გინდა?

– ვნახოთ! – ამოიოხრა ლაგაზათმა, – კარგი ტყემალი მაქვს! მთიელების დაკონსერვებული! იქიდან ტარხუნაც და ყველანაირი მწვანილი წამოვიღე! თითქოს ვგრძნობდი! – ნერწყვი გადაყლაპა, – ნაღდია! ნატურალური! პესტიციდების გარეშე. მთის ჰაერზე მოყვანილი! ხასხასა! არომატული! – თითქოს კიდევ რაღაცის დამატება უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა.

– რასაოცარი კაცი ხარ! – გული აუჩუყდა „ყასბოვიჩს“, – წამოიღე! არანაირი სიკეთე არ დაგეკარგება! უანგაროდ გაცემული, აუცილებლად შეგეწევა! ოღონდ, ერთი თხოვნა მექნება.

– რა თხოვნა?

– არაფერი ისეთი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია!

– ამოღერღე! – უბრძანა ლაგაზათმა.

– ყელის გამოჭრას რომ დაგიწყებ, არ დამწყევლო! ნუ დაიბოღმები, გთხოვ!

– წყევლა არ მეხერხება!

– იმ დროს გამწარებულ კაცს ყველაფერი ეხერხება! ჩვენ კიდევ მაგრად გვწყინს! კაციჭამიები კი ვართ, მაგრამ ბოროტები არა ვართ! არ ვიმსახურებთ! ვიცი, ბოღმა არა ხარ, მაგრამ მაინც...

– შევთანხმდით! – დააიმედა ლაგაზათმა.

– მართლა, რა გემრიელი კაცი ყოფილხარ?! – აცუნდრუკდა მოსაუბრე, – ისა... მნია-მნია!

– რაა? – დაიბნა ლაგაზათ.

– მნია-მნია! არ გახსოვს ასეთი გამოთქმა? – ოცნებებში წავიდა „ის“, – ბავშვობაში, ცხონებული დედაჩემი საჭმელს რომ მომიმზადებდა, სულ ასე მეუბნებოდა: – „მნია-მნია ხინკალიაო! მნია-მნია სუფიაო! მნია-მნია სოუსიაო!“.. ეეჰ, ებარებოდეს უფალს მის ნათელი სული!.. კიდევ ერთი თხოვნა მექნება! ყველაფრის მიუხედავად, მორწმუნე კაცი ვარ, სალოცავში დავდივარ! ლოცვების წიგნებიც მაქვს სახლში!.. ვიცი, შენც ლოცულობ, ანთებული სანთელი დავინახე შენს კაბინეტში... გევედრები! შენს უკანასკნელ ლოცვებში მომიხსენიე! ძალიან კარგია, თუ დღესაც ილოცებ ჩემთვის და ხვალ, ყელის გამოჭრის წინაც დამლოცავ. ამ სიტყვებს თუ ჩაიწერ და იტყვი, ძალიან დამავალებ: „ღმერთო, მინდა, რომ შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული, / რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან, / გთხოვდე: შეუნდე, – არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“...„შეუნდე, – ღმერთო!“ შ ე უ ნ დ ე ო!.. რა იცი, მერე რაში გამომადგება... იტყვი?

– პარაკლისიც ხომ არ გადაგიხადოთ, შენცა და იმათ, ლოცვებისმოყვარე კაციჭამიებს? – უნდოდა ეყვირა ლაგაზათს, მაგრამ თავი შეიკავა, – ჰოო! მნია-მნია! – ამ სიტყვებით დაემშვიდობა თავხედს, თავის წარსულს და... სევდანარევი, ახალ ფანტასტიურ რეალობასთან შეხვედრის მოლოდინში, ლოცვებს მიუბრუნდა...

...

ზუსტად 17.00 წუთზე, დარეკა გონგმა და უახლოესი ტექნოლოგიების კვლევითი დაწესებულების თანამშრომლებს ამცნო სამუშაო დღის დასრულების და საღამოს ბრიფინგის დაწყების შესახებ... ამ დროს, თეთრ ქათქათა პერანგსა და მუქ, ლურჯ შარვალში გამოწყობილი, სუფთად გაპარსული, ენერგიული, ლაგაზათ ალხასტაიძე დიდ და მოვერცხლილ დაღესტნულ სინზე ლამაზად დაწყობილი მწვანილით, მწვანე ხახვით, მკვახე ვაშლისფერი ტყემლით, ქორფა ტარხუნით, ფართოლებნებიანი ქინძით და ოხრახუშით, მსუყეღეროიანი ნიახურით და მოწითალო-მომწვანო კახური, გრძელი წიწაკით ხელში ღირსეული ნაბიჯით მიადგა საკონფერენციო დარბაზს. გაოგნებული ჟურნალისტებით გარშემორტყმულმა, ფეხის მსუბუქი გაკვრით ხის მასიური კარი გააღო და სცენაზე აღმართული ტრიბუნისკენ გაემართა. მისი ასეთი თავდაჯერებული და სადღესასწაულო ქმედებებით დაბნეულ-დამშეულ კოლეგებს სახეზე კამაყოფილი ღიმილი ჯერ დაეღრიცათ, შემდგომ კი გაურკვეველ, გაოგნებულმიმიკიან ნიღბებად გადაექცათ.

ალხასტაიძემ ჩიტებით, არაბული რაშებითა და ჩადრიანი ლამაზმანებით მოჩუქურთმებული ვერცხლის სინი წითელ

წინსაფარში გამოწყობილ, მორცხვად მოღიმარ ყასაბს გადასცა.

– არ ინერვიულო, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება! – თავის მხრივ დააიმედა დარცხვენილმა „ყასაბოვიჩმა“.

მოსალოდნელი მოვლენებისგან აღგზნებული ლაგაზათი მიკროფონთან მივიდა, ჩაახველა და „დიდოსტატის მარჯვენის შეუპოვართა“ კლუბის ჰიმნის ფონზე აღიღინდა. ალაპარაკდა. შეიძლება ითქვას – ენადაც კი გაიკრიფა... მან ყველასათვის მოულოდნელ და დროისთვის შეუფერებელ თემაზე დაიწყო საუბარი: „კავკასიონის იდუმალების და ულევი საგანძურის, ასევე ცის ორი კიდის შესახებ, რომელსაც ჰორიზონტი კრავს და ამით ამტკიცებს, რომ სამყაროს იქით კიდევაა სხვა, უფრო დიადი და საოცარი სამყარო. ამას კი მხოლოდ მწვერვალზე ასვლისას შეიგრძნობს ადამიანი, რომელსაც „იქითა“ სამყაროს არსებობის დასამტკიცებლად სიტყვები აღარ სჭირდება, ისინი უბრალოდ არ ჰყოფნის და ამისათვის ფრაზებს შორის დავანებული სიბრძნე, დუმილი უნდა გამოიყენოს!“.

ლაგაზათის ბობოქარი, ემოციებითა და უკიდეგანო რწმენით გაჟღენთილი ხმა დარბაზში სადღაც ზევიდან, თითქოს ჭერიდან ღვრებოდა...

ალხასტაიძე ხედავდა, მსმენელთა გაქვავებული სახეები ნელ-ნელა როგორ ცოცხლდებოდა. სასწაული „მათ“ სულებში თითქოს მართლაც ახლა ხდებოდა... ამ დროს, ფანჯრებიდან შემოჭრილმა ჩამავალი მზის სხივებმა ღიმილმოფენილი კოლეგების სახეებზე ცეცხლოვანი გვირგვინები ააგიზგიზა. ყველამ გაიგონა, თუ როგორ აგუგუნდა, იქ, შორს, კავკასიონის მთებში, ასწლეულების წინ მიძინებული ხმები, შეაზანზარა ჯუნგლებად ქცეული ქალაქის რკინაბეტონის საბუნაგეთი და მიხვდნენ, რომ დღევანდელი დღე სხვა იყო...

და ღმერთების საბუდარ მწვერვალზე მოხვედრილთ, ვიღას ახსოვდა „მნია-მნია“...

...

...თუმცა, იყო მეორენაირი დასასრულიც.

პატარ-პატარა ჯამებში ჩასხმულ-ჩადებული, დასარიგებლად გამზადებული, ახლად მომზადებული ჩაქაფულის ოხშივარი კედლებშიც კი ატანდა. ირგვლივ ისეთი მსუყე არომატი და სურნელი ტრიალებდა, რომ მთელი დღის დამშეული კაცი მხოლოდ მისი ყნოსვით გაძღებოდა...

საკმარისი აღმოჩნდა მუსა დარქინაზანაშვილს მწვანილგაჯერებული, ოსტატურად მომზადებული კერძის თუნდაც ერთი ლუკმა დაედო ნერწყვში დამხრჩვალ ენაზე, რომ რამდენიმე წამით ნეტარებისგან გონიც კი დაკარგა და ყასაბს ხელი რომ არ შეეშველებინა, აუცილებლად წაიქცეოდა.

დარქინაზანაშვილმა ხელის კანკალით, კიდევ ერთხელ გაუსინჯა გემო ორთქლმომდგარ ჩაქაფულს და მოლოდინში გარინდებულ აუდიტორიას კმაყოფილი სახით მიმართა:

– მნია-მნია, მეგობრებო! მნია-მნია!..

– მნია-მნია! – თითქმის ერთხმად უპასუხა დარბაზმა.

უეცრად დინამიკებში გაისმა უკვდავი „We Are The Champions“. მართალია, სიმღერა სულ სხვას მეტყველებდა, საკონფერენციო დარბაზში მიმდინარე „ღონისძიება“ სულ სხვას, მაგრამ გაუთვითცნობიერებელი კაცისთვის ამ ორი ცხოვრებისეული დინების ერთ ფანტასტიურ რეალობად შერწყმა საკმაოდ ბუნებრივი, იდეალური და გემოვნებიანიც კი იყო.

უეცრად, ფანჯრიდან შემოჭრილი მზის სხივები კედლებზე კოცონებად აგიზგიზდა, მაგრამ ამ მოვლენამ ჭამით გატაცებულ აუდიტორიაში ვერც ასოციაციები და ვერც ინტერესი ვერ გამოიწვია.

თუმცა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ

„დრო, პური და ღვინო“

მარსიანი

ნაირა გელაშვილის პოეტური კრებული „დრო, პური და ღვინო“ 2006 წელს გამოსცა „კავკასიური სახლის“ გამომცემლობამ. წიგნში თავმოყრილია ნაწარმოებები, რომლებიც მოიცავს ავტორის შემოქმედებითი ცხოვრების 40 წელიწადს (ყველაზე ადრეული ლექსი 1966 წლითაა დათარიღებული). ნაირა გელაშვილი მკითხველი საზოგადოებისათვის, უპირველეს ყოვლისა, პროზაიკოსადაა ცნობილი (იგი არის აგრეთვე ესეისტი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი), მისი პოეზია კი ბოლო ხანებამდე ჩრდილში რჩებოდა, როგორც ჩანს, ავტორისავე ნებით. ამ კრებულის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ლექსის წერა ნაირა გელაშვილისათვის სულაც არ ყოფილა რაღაც მეორადი თვითრეალიზაცია, აქ წარმოდგენილი პოეტური პროდუქციის მეტი წილი უდავოდ პირველხარისხოვანი ღირებულებისაა; კრებული გამოირჩევა როგორც პრობლემატიკისა და თემატიკის, ასევე მხატვრული ფორმების მრავალფეროვნებით.

წიგნს თან დართული აქვს რამდენიმე რეცენზია ქართველი მწერლებისა; ამ რეცენზიებში გამოთქმულ მოსაზრებებს ნაირა გელაშვილის პოეზიაზე საჭიროების შემთხვევაში დავიმოწმებთ წიგნის ანალიზის დროს. უპირველეს ყოვლისა, მინდა დავეთანხმო რეცენზიათა ავტორებს იმაში, რომ ნაირა გელაშვილის პოეზია, მიუხედავად მისი მნიშვნელოვანებისა, შეიძლება გარკვეული მოსაზრებით „პროზაიკოსის პოეზიად“ იწოდოს, რადგან ნაირა გელაშვილის სტიქია მაინც პროზა უფროა და მის ლექსებშიც აირეკლება ამის ცალკეული ნიშნები – მიდრეკილება საგნობრივი დეტალიზაციისაკენ, „არაპოეტური“ მასალის თამამი შემოტანა, ტროპული მეტყველების შედარებით მცირე წილი, საერთოდ უარყოფა ე. წ. „პოეტური ჯადოქრობებისა“, როგორიცაა ალიტერაცია, ევფონია, რთული და ვირტუოზული რითმა, თვითკმარი ღირებულების მქონე მეტაფიზიკური ხატოვანება და სხვა ამგვარი, „წმინდა პოეზიისათვის“ დამახასიათებელი სამკაულები; მისთვის უმთავრესია აზრი, სათქმელი, ანალიტიკური მიდგომა პრობლემისადმი, თვით პროცესი აზროვნებისა, თავისი ორიგინალური გრადაციებით. თანამედროვე ქართველი პოეტებიდან, ამ მხრივ, იგი რამდენადმე ენათესავება ბესიკ ხარანაულს, საერთოდ კი, როგორც რეცენზენტებიც აღნიშნავენ, ეს არის ნიკოლოზ ბარათაშვილის და, განსაკუთრებით, ილია ჭავჭავაძის ხაზის გაგრძელება პოეზიაში. ეს ხაზი – ანალიტიკური, „მძიმე“ ლექსი – ერთგვარ პოლარობას ქმნის რუსთაველის, ბესიკის (გაბაშვილი), აკაკის, გალაკტიონის მელოდიურ ლექსთან. რეცენზენტები ყურადღებას ამახვილებენ აგრეთვე იმაზე, რომ წიგნს ქვესათაურად აქვს „დღიურის ნაწილი“, რაც იმაზე მიმანიშნებელია, რომ ავტორი აქცენტს აკეთებს დღიურისათვის დამახასიათებელ მაქსიმალურ გულწრფელობაზე, აღმსარებლურ ტონზე, მოვლენათა ყოველდღიური ცვალებადობის უშუალო მგრძნობელობით ფიქსაციაზე, თუმცა ეს ყოველივე, რასაკვირველია, მაქსიმალურად შორდება ჩვეულებრივი დღიურის ვიწრო პირადულ ფარგლებს და პოეტური განზოგადების დონეზეა აყვანილი.

ხოლო რაც შეეხება სათაურს, „დრო, პური და ღვინო“, ეს არა მხოლოდ კრებულის, არამედ კრებულში შემავალი ერთი ვრცელი ლექსის სათაურიც გახლავთ: ეს ნაწარმოები თავისი უძლიერესი ტრაგიკული მუხტით, ფილოსოფიური სიღრმით, ფორმის სრულყოფილებითა და ორიგინალურობით ნამდვილი შედევრია და, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ მთლიანად კრებულსაც მისი სათაური ეწოდა. შეიძლება აქ ერთგვარი პოეტური გადაძახილი დავინახოთ დიდი გერმანელი ლირიკოსის, ფრიდრიხ ჰიოლდერლინის ცნობილ ელეგიასთან „პური და ღვინო“. ნაირა გელაშვილი, როგორც ლიტერატურათმცოდნე, ჰიოლდერლინოლოგი გახლავთ; „კავკასიური სახლის“ ჟურნალ „აფრას“ 2002 წლის მეათე ნომერში დაბეჭდილია მისი ვრცელი მონოგრაფია „ჰიოლდერლინი“ და მის მი-

ერვე შესრულებული თარგმანი ჰიოლდერლინის რამდენიმე ლექსისა (მათ შორისაა „პური და ღვინოც“), მონოგრაფიას კი წინ უძღვის სტატია „როცა პოეზია ღვთისმსახურებაა და... ცხოვრებაც“. ეს სტატიაც ჰიოლდერლინს ეძღვნება: ის, ასე ვთქვათ, მონოგრაფიის პრელუდია გახლავთ. განსაკუთრებით საინტერესოა ერთი მომენტი: ნაირა გელაშვილი აქ მოულოდნელ შედარებას გვთავაზობს ორი ისეთი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული პოეტისა, როგორიცაა ჰიოლდერლინი და ილია ჭავჭავაძე: ჰიოლდერლინი მე-18 საუკუნის გერმანულ კლასიციზმსა და რომანტიზმს შორის მდგარი ეული ფიგურაა, თავისი ეპოქის ლიტერატურული ტენდენციებისგან ერთგვარად „განზე მდგარი“, გნებავთ, „საერთო კონტექსტიდან ამოვარდნილი“, წინასწარ შემგრძნობი მოახლოებული სხვა ეპოქის კატაკლიზმებისა, ასე ვთქვათ, „მომავლის პოეტი“; ილია ჭავჭავაძე კი მე-19 საუკუნის ქართული კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე მყარად მდგარი მწერალი და ერისკაცი, თავისი დროის საქართველოს სულიერი ცხოვრების ლიდერი და სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ; ნაირა გელაშვილი ამ ორ, მისთვის უსაყვარლეს შემოქმედს შორის სიღრმისეულ ნათესაობას საფუძვლიანი, დამაჯერებელი ანალიზით ცხადჰყოფს. თვით სტატიის სათაურშივეა მკაფიო მინიშნება იმ საერთოზე, რაც უძირითადესია ორივე პოეტის მწერლური და მოქალაქეობრივი მრწამსისათვის: პოეზია ღვთისმსახურებაა, რაც, ამავე დროს, აუცილებლად გულისხმობს ერის (ზოგადად, კაცობრიობის) სამსახურს და ამგვარი მრწამსის მქონე შემოქმედისათვის, რასაკვირველია, პოეზია „ცხოვრებაც“ არის, მისთვის არ არსებობს ამ ორი რეალობის იმგვარი გამიჯვნა-განცალკევება, რაც არცთუ იშვიათი მოვლენაა ესთეტ ხელოვანთა, „დეკადენტთა“ პრაქტიკაში („დაე, ჩვენმა მსახურებმა იცხოვრონ ჩვენს მაგივრად“. ლეკონტ დე ლილი).

ნაირა გელაშვილისათვის, როგორც ხელოვანისა და მოქალაქისათვის, უაღრესად ახლობელია ჰიოლდერლინისა და ილია ჭავჭავაძის პოზიცია: ეს პოეტები მისთვის, როგორც თავადვე აღიარებს, ნათელი და საიმედო ორიენტირები არიან სულიერ ძიებათა გზაზე და ეს მომენტი მკაფიოდ აისახება მის პოეზიაში, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, რელიგიურობისა და მასთან განუყრელად გადაჯაჭვულ მოქალაქეობრიობის ნიშნითაა აღბეჭდილი.

ნაირა გელაშვილის ლექსი „დრო, პური და ღვინო“ თავისი თემატიკით სრულიად განსხვავებულია ჰიოლდერლინის „პური და ღვინისაგან“; თავისთავად ცხადია, გამომსახველობითი საშუალებებიც სხვადასხვაგვარია, მაგრამ სწორედ რელიგიურისა და მოქალაქეობრივის სინქრონული განცდით ენათესავება ერთმანეთს ეს ორი ნაწარმოები: ორივეგან ცენ-



ტრალური სიმბოლოა პური და ღვინო (ქრისტეს ხორცი და სისხლი), მაგრამ ნაირა გელაშვილის ლექსის სათაურში მათ ემატება მესამე წევრი – დრო, თან ეს მესამე აქ რიგით პირველ ადგილს იჭერს. ალბათ, ეს შემთხვევითი არ არის, რადგან ლექსი იწყება სწორედ „დროზე“ საუბრით: ჯერ ვკითხულობთ ფრაზას „გავიდა 36 წელი“, შემდეგ კი დროის ფენომენის შესახებ ფილოსოფიურ განსჯა-რეფლექსიას გვთავაზობს ავტორი, რითაც გვამზადებს ტრაგიკული ნარატივის მოსასმენად, სადაც კონკრეტული ხდომილება (ცხოვრებისეული ფაქტი) ფილოსოფიურ-რელიგიური განზოგადების დონეზე მაღლდება: ზემოთ ხსენებული „36 წელი“ არის ის დრო, რომელიც გავიდა ამ ლექსის ადრესატის ტრაგიკული აღსასრულიდან (საუბარია პოეტის მამაზე). ეს არის ლექსში წარმოდგენილი დროის ფენომენის ყველაზე ლოკალური, ემპირიული პლასტი, მაგრამ პოეტურ-ფილოსოფიურ ჭრილში გააზრებით ხდება მისი უნივერსალიზაცია; აქ შეიძლება, თუ რამდენადმე თავისუფალი ინტერპრეტაციის უფლებას მივცემთ თავს, გამოვყოთ დროის კიდევ ორი პლასტი: ჰიოლდერლინის „პური და ღვინიდან“ ნაირა გელაშვილის „დრო, პური და ღვინომდე“ გავლილი დაახლოებით ორი ასწლეული ის დროა, როცა რამდენიმე ეპოქის გავლის შემდეგ სულ უფრო მეტი სიმძაფრით გამოვლინდა კაცობრიობის სული-

ერი კრიზისი; მესამე პლასტი დროისა (რომელიც, რა თქმა უნდა, მოიცავს პირველსა და მეორეს) უკვე ათასწლეულებით განისაზღვრება: ეს ის „მწირი ჟამი“, ანუ „მსოფლიო ღამე“ გახლავთ, რომელიც ჰიოლდერლინის ელეგიაში ფიგურირებს: ეს არის კაცობრიობის ცხოვრებაში ღმერთის (ღმერთების) არყოფნა, ადამიანის დაშორება ღვთიური ნათელისაგან. ჰიოლდერლინის მიხედვით, ამ ჟამის საპირისპირო, ნათელ პერიოდს ანტიკური საბერძნეთის კულტურა და ყოფა წარმოადგენდა, როცა ადამიანების ბედში ღმერთები უშუალოდ ერეოდნენ და მათი ცხოვრებისეული გზის საიმედო ორიენტირებად ჩანდნენ. „მსოფლიო ღამის“ პერიოდში კი, ჰიოლდერლინის მიხედვით, ადამიანთა მოდგმამ ღმერთების ხსოვნა უნდა შემოინახოს და მოთმინებით, სასოებით ელოდოს მომავალს, როცა „მსოფლიო დღე“ კვლავ გათენდება. პური და ღვინო – ეს ის სიმბოლოებია, რომლებიც დაკარგულ და მომავალში კვლავ მოსაპოვებელ ღვთიურ მადლს განასახიერებს კაცობრიობისათვის.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ნაირა გელაშვილის ლექსი „მსოფლიო ღამის“ გაცილებით პირქუშ, მძიმე, ტრაგიკულ ფაზას ეხება, ვიდრე ჰიოლდერლინის ელეგია; „დრო, პური და ღვინოს“ მიხედვით, უკვე თვით პურსა და ღვინოს, როგორც ქრისტეს ხორცისა და სისხლის მატერიალურ გამოხატულებებს, სიმბოლოებს, თავიანთი მაღალი აზრი დაუკარგავთ, რადგან ადამიანს მეტისმეტად შეუბღალავს ეს სიწმინდეები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დრო, პური და ღვინო“ პოეტმა მამის ხსოვნას მიუძღვნა; ლექსიდან ვიგებთ, რომ პოეტის მამა – ღვინის ბრწყინვალე ტექნოლოგი და საქვეყნო საქმისათვის თავდადებული პიროვნება – ფიზიკურად შეეწირა ღვინის ფალსიფიცირებით გამდიდრების მოსურნე მაფიოზებთან ბრძოლას. „მაღალჩინოსანმა მკვლელებმა“ (როგორც ავტორი უწოდებს) ტერორისტული აქტი მოუწყვეს მას და ასე ჩამოიშორეს გზიდან. ლექსის ლირიკული გმირისთვის ეს პირადული ტრაგედია საყოველთაო, საკაცობრიო ტრაგედიის სიმბოლურ გამოხატულებად იქცევა, სიმართლეს შეწირული მამის სახე ჯვარცმული ქრისტეს ნიშნებს იძენს:

„შენი სიკვდილი ყველაფერში ზათქით ჩაიმსხვრა,
გაფცქვნა ნერვები, დააწვეთა კუპრი, იოდი,
მოჭიმა ყველა ჩუმი სიმი, ლესა, დახვეწა,
ნუთუ მიწაზე ამისათვის ჩამოდიოდი?“

და აქ შეგვიძლია პარალელის გავლება ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულ აღსასრულთანაც: ილია, რომელიც მთელი ქართველი ერის მამად შერაცხული სულიერი წინამძღოლი იყო, თავისმა იდეურმა მოწინააღმდეგეებმა ტერორის საშუალებით გაანადგურეს; ილიამ ეროვნული მასშტაბით გაიმეორა გოლგოთის ტრაგედია (ამას საგანგებოდ აღნიშნავს ნაირა გელაშვილი თავის სტატიაში „როცა „პოეზია ღვთისმსახურებაა“ და... ცხოვრებაც“).

აქ ერთ საინტერესო მომენტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება: ავტობიოგრაფიულ წიგნში „სარკის ნატეხები“ ნაირა გელაშვილი გვიამბობს სიზმარს, საუბარი „მამა-შვილი და სახიფათო ქვეყანა საფრთხეში“. ამ სიზმარში მწერალს ეცხადება ილია ჭავჭავაძე, რომელიც მის საკუთარ მამასთან იგივდება. ავტორი სიზმრის ახსნისას საგანგებოდ ხაზს უსვამს იმას, რომ ილია იგივდება მის მამასთან და არა პირიქით, რადგან მამა, როგორც არქეტიპი და სიმბოლო, ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ბიოლოგიური, გამზრდელი მამის სახით წარმოუდგება. ილია კი არის მეორე, ანუ სულიერი მამა. სიზმარი სიმბოლურია და ავტორი დაწვრილებით აანალიზებს მას. შორს წაგვიყვანს ამ სიზმრის პერიპეტიების აღწერა, მთავარი და არსებითი ისაა, რომ აქ ბოროტების მიერ სიკეთისათვის შექმნილი სასიკვდილო საფრთხე ცნაურდება: სიზმარში უზარმაზარი სამხედრო ტრაილერი გადაუვლის პატარა, ცისფერ, საყვარელ ავტომობილს და გზისპირა ბუჩქები თუ ხეები ავტომატიან ჯარისკაცებად იქცევიან, რომელთაც სიზმრის მნახველი თავის წინააღმდეგ მომართულ აგრესიულ ძალად აღიქვამს. საკუთარი ქვეცნობიერი მას მფარველის, მამის ხატს სთავაზობს, ამ შემთხვევაში ილიას სახით წარმოდგენილს, რადგან საფრთხე ეროვნული მასშტაბისაა და „ერის მამა“, როგორც გადარჩენის ორიენტირი, ნუგეშად ევლინება ინდივიდს და მასთან ერთად ეროვნულ (უფრო ზოგადად, ადამიანურ) სულიერებას; მაგრამ ამ სიზმარში მამა-ილიაც უმწეო, დაუცველი ჩანს, რადგან ინდივიდმა (სიზმრის მნახველმა) იცის – ილიას სახელს ვულგარული, დემაგოგიური იდეოლოგია თავის სასარგებლოდ იყენებს, ყოველგვარი ინდივიდუალობის, პიროვნულობის მტერი აგრესიული მასა ილიას დამახინჯებულ სახებას ფარად იშველიებს და ამით ებრძვის საღ აზრს, კულტურას, სიკეთეს, ჭეშმარიტ ადამიანურ ფასეულობებს.

ილიას პიროვნებაში განხორციელებული მოდელი პოეტისა, რომელიც შუამავლის ფუნქციას კისრულობს ღმერთსა და ადამიანებს შორის, თავისი არსით ღრმად ქრისტიანულია. ყოველი ჭეშმარიტად მორწმუნე ქრისტიანისათვის ქრისტეს პიროვნება განასახიერებს იდეალს და მორწმუნე თავს ვალდებულად თვლის, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში აღასრულოს ქრისტეს შეგონება „იყვენით მობაძვად ჩემდა“, ანუ იცხოვროს უფლის მცნებათა დაცვით და საჭიროების შემთხვევაში მსხვერპლადაც შეეწიროს თავის მრწამსს. ილიამ თავისი ეპოქის ქართველ მოღვაწეთა შორის ყველაზე

მაქსიმალური ძალისხმევით შეასრულა როლი იმგვარი ერისკაცისა, იმავდროულად ღვთისკაციც რომ არის.

ილიას პოეზიაში ქვეყნისა და ღვთის მსახურების მოტივი რომ ცენტრალურია, ამას მის არაერთ ლექსში ქრისტიანული ლოცვების საგანგებო პერიფრაზირებაც მოწმობს. მაგალითად:

„რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდაც გულს
ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, არ იციან თუ რასა იქმან!“

ეს სტრიქონები მოტანილია ლექსიდან „მამაო ჩვენო“. როგორც ვხედავთ, სათაურადაც ყველაზე ცნობილი ლოცვის სახელწოდებაა გამოყენებული. ნაირა გელაშვილი თავის სტატიაში ამ და კიდევ რამდენიმე ილიასეულ „ლოცვას“ რომ განიხილავს, პარალელს ავლებს ჰიოლდერლინთან, რომელმაც ახალგაზრდობაშივე წერილობითი აღთქმა დადო, რომ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების უმთავრესი მიზანი სიკეთისა და ჭეშმარიტებისაკენ (ანუ ღმერთისაკენ) სვლა იქნებოდა. ამ ორი პოეტის შემოქმედებაში რელიგიურ-მოქალაქეობრივი მომენტის ასე განსაკუთრებული ხაზგასმით ნაირა გელაშვილი, როგორც მათ სულიერ მემკვიდრედ გამცნობიერებელი საკუთარი თავისა, რა თქმა უნდა, თავისთავად გვითვალსაჩინოებს საკუთარ შემოქმედებით პოზიციასაც: მოქალაქეობრივი შემართება მასთანაც განუყოფელია რელიგიურობასთან და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ღმრთისმაძიებლობა მისი პოეზიის უმთავრესი მახასიათებელია: თემატურადაც და იდეური თვალსაზრისითაც, მრავალი მისი ნაწარმოები გვაძლევს ამის თქმის უფლებას.

კრებულში არის პოემა-ტეტრაპტიხი „სიმშვიდის, სიხარულის, მწუხარებისა და ნუგეშის შესახებ“, რომელიც სახარების მოტივებზეა შექმნილი. ამ ოთხ პოემაში ქრისტეს პიროვნება სხვადასხვა რაკურსშია წარმოდგენილი ორი ქალის თვალთახედვით: ერთი მათგანია წმინდა მარიამ ღვთისმშობელი, მეორე კი – ქრისტეს მოწაფე, რომელსაც სახელით არ მოიხსენიებს ავტორი, მაგრამ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ეს წმინდა მარიამ მაგდალინელია. ნაწარმოების მიხედვით, ამ ქალს, რომელიც იესოს მოწაფედ გახდომამდე ცოდვილი იყო, მოძღვარი უყვარს არა მხოლოდ საღვთო სიყვარულით, არამედ ქალური ვნებითაც (თუმცა, რასაკვირველია, გაუმხელელით); ორივე ქალის – დედისა და გამიჯნურებული მოწაფის მიმართება იესოსადმი ღრმად ადამიანური კუთხითაა დანახული და თვით იესოს პიროვნებაც, აქედან გამომდინარე, სწორედ ადამიანური მხრივ წარმოჩნდება ხაზგასმულად. რა თქმა უნდა, ეს არის მხატვრული ხერხი, ერთგვარი პირობითი საშუალება საიმისოდ, რათა ავტორმა საკუთარი მიმართებანი საღვთო ისტორიასთან შთამბეჭდავად, სახეობრივად გადმოგვცეს სახარებისეული ნარატივების რამდენადმე თავისუფალი გადათამაშებით, მათში თანამედროვე ხედვის შეტანით. თანამედროვე ადამიანის სეკულარიზებულ მსოფლაღქმას სჭირდება მსგავსი განაზრებანი, რადგან ქრისტიანული დოგმატიკა დღეს არაიშვიათად ჩვენი გაგების ფარგლებს სცილდება; ადამიანი მაქსიმალურად დაშორდა რელიგიურ ცნობიერებას, თავისი შეზღუდული გონებრივი ძალების ამარა დარჩა და მისთვის საღვთო ისტორიაში ეჭვშეუტანლად გასაგები მხოლოდ ის არის, რაც ადამიანური გრძნობა-გონების აღქმადობის ფარგლებში რჩება.

მაგალითად, რა უნდა იყოს ჩვენთვის იმაზე უფრო ბუნებრივი და გასაგები, რომ ცხოვრებისაგან გადაღლილ, იმედგაცრუებულ ცოდვილ ქალს (ვისიც მხოლოდ სხეული სურთ და ამ სურვილის გამოც სძულთ იგი) შეუყვარდეს თავისი სულიერი მოძღვარი, ხსნად და ნუგეშად მოვლენილი ძე ღვთისა – მშვენიერად აღნაგი ჭაბუკიც რომ არის და ღვთიურ ნათელს მზესავით აფენს თავისი გარშემომყოფებს?

ასევე გასაგები და ღრმა თანაგანცდის აღმძვრელია დღევანდელი მკითხველისათვის მარიამ ღვთისმშობლის პროტესტი მამა-უფლისადმი, უბინო ჩასახვის მახარებელი გაბრიელ მთავარანგელოზისადმი და თვით იესოსადმი: პროტესტი იმაზე, რომ თურმე მისი შვილის, იესოს ჯვარცმით აღსრულება წინასწარ განზრახული ყოფილა, ცაში გადაწყვეტილი; და იგი, დედა, არავინ გააფრთხილა, „შეთქმულება მოუწყვეს“, საშინელი ტანჯვისათვის გასწირეს... მსგავსი წმინდად ადამიანური მოტივები საგანგებოდაა ამ პოემებში წინწამოწეული: ის, რაზედაც კანონიკური ტექსტები სდუმან, თანამედროვე პოეტისათვის განსაკუთრებული ინტერესის საგანია: იგი თითქოს „თეთრ ლაქებს ავსებს“, ცდილობს მხოლოდ რწმენით საწვდომი (და, არსებითად, ვერსაწვდომი, რაკი რწმენა თითქმის შეუძლებელი გამხდარა) როგორმე გრძნობა-გონებით საწვდომი გახადოს და ამდენად, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ქმედითობა“, „პრაქტიკული სიცოცხლისუნარიანობა“ მიანიჭოს მარადიულ, მაგრამ დღევანდელი ეტაპისათვის მეტწილ შემთხვევაში აბსტრაქციებად ქცეულ ჭეშმარიტებებს.

პოემა „მაღლა მთაში“ უფრო უშუალოდ, ბუნების წიაღში განმარტოებითა და მედიტაციით გადმოგვცემს ლირიკული გმირის რელიგიურ განცდებს. აქ ღმერთი ბუნების ნებისმიერ მოვლენაში, დიდსა თუ მცირე ქმნილებაში შეფარულად ცხადდება. ამაში თითქოს არის რაღაც პანთეისტურიც, თითქოს ინდურ რელიგიურ სამყაროსთან სიახლოვეც იგრძნობა, მაგრამ ის არსება, რომელსაც პოეტი სახელს არ არქმევს და ყოველივეში, უამრავ სარკე-ნიღაბში არეკლილსა და შეფარულს

ჭვრეტს, საბოლოოდ მაინც ქრისტიანული რელიგიის მამაღმერთად ან სულიწმიდად უნდა გავიაზროთ, რადგან პოემის ერთ მონაკვეთში მიმართვის ობიექტად უკვე „თორმეტი წლის ბიჭი“ გვევლინება, რომელსაც ჯვარცმით სიკვდილი ელის: ამდენად უზენაესი არსება არამხოლოდ გამოკვეთილად პიროვნულ, არამედ ადამიანურ ასპექტშიცაა წარმოდგენილი: იესო ქრისტეს სახე სწორედ ამ მხრივ არის ავტორისათვის განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი აქაც ისევე, როგორც პოემა-ტეტრაპტიხში.

მაგრამ ღვთის სული ნაკლებად, ან თითქმის არ ვლინდება თანამედროვე ცივლიზაციის სიმბოლოდ წარმოდგენილ „დიდი ქალაქის“ მხატვრულ სახეში; ავტორს იგი თავისებურ ცოცხალ არსებად, „ბნელ დედად“ ესახება, ღვთიურ ჰარმონიასა და წესრიგს მოწყვეტილ სნეულ მონსტრად, რომელიც ეჭვითაა გულგასენილი იმის გამო, რომ გრძნობს, უკვე „აღარავის უნდა“ – არც მხეცს, არც კაცს, არც ანგელოზს, არც ღმერთს; იგი მომაკვდავია, უკვე აგონიის ზღვარს მიახლებული და პოეტის თანამლმობელი გული თითქოს მის გალიად, კუბოდ ქცეულა...

პოემაში დღეღამური ციკლი ყოფნის დიდ, გავრცობილ მეტაფორად არის გააზრებული და მისი ცალკეული მონაკვეთები – დაღამება, გათენება, დილა, შუადღე, ნაშუადღევი, საღამო, საღამოს გული და კვლავ ღამე თითქოს ნაირგვარი ფაზებია, გრადაციებია მთლიანი სამყაროული ყოფისა. ლირიკული გმირი მარტოა, მედიტაციაში ჩაძირული და ელოდება მეორე ადამიანს, რომელსაც თავის „მეგზურსა და მასპინძელს“ უწოდებს, სხვა მხრივ არ აკონკრეტებს მის ვინაობას, რადგან ნაწარმოების კონცეფციის მიხედვით, ეს არის ზოგადად „სხვა“, ზოგადად მოყვასი, რომელთან ერთობაც მარტოობის, მიუსაფრობის ალტერნატივად არის დასახული.

პოემა თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია იმ იდუმალებით, რასაც ღმერთთან და სამყაროსთან უშუალოდ, გახსნილი გულით მიახლება შობს: რელიგიური მუხტი ამ ნაწარმოებისა არავითარი კანონიკურ-დოგმატური კლიშეებით არ იზღუდება, მაგრამ, განსხვავებით ზემოთ განხილული პოემა-ტეტრაპტიხისაგან, აქ არც იმგვარი პოლემიკური პათოსია, რასაც კლერიკალური მენტალობა ალბათ ერესად შერაცხავდა; ეს არის უფრო ინტიმური შეხება უზენაესთან და მის ქმნილებასთან, მის შემოქმედებასთან; ლირიკული სუბიექტი თითქოს „იხსნება“ მიმართვის ობიექტში ისე, რომ საგანგებოდ ლოცვის ფორმასაც არ იშველიებს; თუ პოემა-ტეტრაპტიხი „სიმშვიდის, სიხარულის, მწუხარებისა და ნუგეშის შესახებ“ ლირიკულ-ეპიკური ნაწარმოებია თავისი მარადიული პერსონაჟებითა და პერიპეტიებით, „მაღლა მთაში“ წმინდად მედიტაციური ლირიკაა: აქ ავტორს აღარ სჭირდება სახარების პერსონაჟებში გარდასახვა და სახარებისეული რეალიების შევსება თავისი მხატვრული ფანტაზიით. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ ნაირა გელაშვილი მაძიებელი ბუნების შემოქმედია, ის არ სჯერდება ერთ, რომელიმე რაკურსს თემასთან (ამ შემთხვევაში რელიგიურ თემასთან) მიმართებაში. ნათქვამის საილუსტრაციოდ ასევე გამოგვადგება, მაგალითად, პოემა „მე, ღუმელი, ცეცხლი და რცხილა“. აქ თითქოს სულ სხვა, ყოფითი პრობლემაა წამოწეული – გათბობის სისტემის მოშლამ (და, საერთოდ, ეკონომიკურმა კრიზისმა) ქალაქში საჭირო გახადა სოფლური შეშის ღუმელის გამოყენება. პოემის ლირიკული გმირი, რომელსაც ბავშვობის წლები სოფელში აქვს გატარებული, ზის დანთებული ღუმელის წინ და ისე ესაუბრება მას, როგორც ძველ, მონატრებულ ახლობელსა თუ მეგობარს. ღუმელის გარდა, იგი თვით ცეცხლსა და რცხილის შეშასაც გადასწვდება თავის მონოლოგში: საგნებთან ამგვარი შეხმიანება ინტიმური ემოციით შეფერილი რეფლექსიაა ამ საგანთა არსის შესახებ და თანდათანობით იმგვარ განზომილებებსა და სიღრმეებს სწვდება, რომ ფილოსოფიურ, გნებავთ, მისტიკურ იერსაც იღებს. ამ საგნებს არამარტო გასულიერებულად წარმოგვიდგენს ავტორი, არამედ ერთგვარ „წარმართულ ღვთაებებადაც“. თვით ამ საუბარ-მონოლოგს ხომ იგი თვითონვე უწოდებს „წარმართულ წარმოდგენას“.

ზოგი ნაწარმოები კი სწორედ ლოცვის ფორმით აქვს პოეტს დაწერილი: ასეთია „ნეტავ, ჩვენი სიხარული მოგენატროს“, „ისევ ის სიტყვები, მწუხარე სიმღერა...“, „სიმღერა განდევნილთათვის“, „ჩემი ფიქრები“ და სხვა. ერთ ლექსს „ფსალმუნი“ ჰქვია, იგი საკუთარი ხალხის, საკუთარი ქვეყნის დაცემის გამო გოდებაა ბიბლიურ ყაიდაზე, ვედრებაა ღვთისადმი, რათა კვლავ აღადგინოს დავრდომილი... განსაკუთრებით მინდა გამოვყო ტრიპტიხი „სამი სიმღერა“: პირველ სიმღერას სათაურად აქვს „მწუხრის სიმღერა“; აქ გამოთქმულია წუხილი იმის შესახებ, რომ ლირიკულ გმირს „არა აქვს“ უფალთან შესახვედრი ადგილი (ვაშლის ბაღი, ვაზის ჩერო, მაყვლის ბარდი, მდინარე); მას მხოლოდ „ქვისა და რკინის ქალაქი გააჩნია“, სადაც ალბათ უფალი არ ინებებს მობრძანებას; ეს არის წუხილი ინდივიდუალურ დონეზე უფალთან შეხვედრის შეუძლებლობის გამო; მეორე სიმღერას „ლოცვა ქალაქისათვის“ ჰქვია: აქ პოეტი უფალს ევედრება დაიფაროს ქალაქის უმწეო ბინადარნი – მოხუცები, ქალები, ბავშვები, ჩიტები, ძაღლები... მესამე სიმღერა, სათაურით „ძახილი“ დასკვნითი ნაწილია ტრიპტიხისა და აქ უკვე არა ინდივიდუალურ, არამედ კოლექტიურ დონეზე, ზოგადადამიანურ ასპექტში არის გამოხატული ქრისტეს მეორედ მოსვლის მოლოდინი; შინაარსობლივად მარტივი და სადაა (როგორც ლოცვას შეეფერება) ამ ტრიპტიხის ტექსტი, ემოციურად

კი უაღრესად შთამბეჭდავი და გადამდები: გულიდან ამოხეთქილი განცდის წმინდა ნაკადი ისე სათუთად გვეფინება, რომ სხეულის მატერიალურობისაგან განთავისუფლების, დედამიწის მიზიდულობის ძალისაგან თავის დაღწევის შეგრძნება გვეუფლება; ეს ნაწარმოები ნამდვილი საგალობელია, არამხოლოდ თავისი ლოცვისებური შინაარსით, არამედ ფორმის მელოდიურობითაც. მართალია, როგორც ზემოთ ითქვა, ნაირა გელაშვილი რეფლექსიის, აზროვნების პოეტია და მის ნაწარმოებთა დიდ ნაწილს ახასიათებს ერთგვარი „პროზაული სიმძიმე", მაგრამ „სიმღერებად" წოდებულ ლექსებში ის ახერხებს უფრო მსუბუქი, მღერადი ფორმების მოხელთებას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ნაირა გელაშვილი არამხოლოდ მწერალი, არამედ მუსიკოსი, კომპოზიტორიც გახლავთ: მას არაერთი მუსიკალური ნაწარმოები აქვს შეთხზული საკუთარ ტექსტებზე და, მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგში პროფესიონალი არ არის, მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია: განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რელიგიურ თემაზე შექმნილი სიმღერები და საკუთარი ზღაპრის („გოლიათების კუნძული და ლტოლვილი გოგონა ნია-ნია") მიხედვით შექმნილი მშვენიერი მუსიკალური დრამა (ნუკრი აბაშიძის ორანჟირებით). ეს ნაწარმოები, შესანიშნავად შესრულებული სოლისტებისა და გუნდის მიერ, დისკზე ჩაწერილიც გამოვიდა და მსმენელთა მოწონება დაიმსახურა.

დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ ნაირა გელაშვილის პოეზია თემატიკის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. განსაკუთრებული ყურადღება რელიგიურ მოტივებს დავუთმეთ, როგორც ყველაზე არსებითსა და მნიშვნელოვანს მის პოეტურ შემოქმედებაში. ისიც ითქვა, რომ ხშირად რელიგიურობის მომენტი სულ სხვა, „არარელიგიურ" თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებშიც საგრძნობია. მაგალითად, ნაირა გელაშვილს არაერთი ლექსი აქვს მიძღვნილი კონკრეტული პიროვნებებისადმი, მაგრამ ეს ლექსები ნაკლებად, ან სულაც არ ჰგვანან ჩვეულებრივ მიძღვნითი ხასიათის, კამერულ-ინტიმური ტიპის ნაწარმოებებს, მათში მეტ-ნაკლებად იჩენს თავს ზოგადფილოსოფიური და რელიგიური განწყობილებები; ხოლო სამოქალაქო მოტივების რელიგიურობით გამსჭვალულობაზე საგანგებოდაც გავამახვილეთ ყურადღება; ავტორი ეხმაურება ე. წ. ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის თემას („შერიგების სიმღერა", „სიმღერა ქალაქ სოხუმზე", „ლტოლვილი გოგონას სიმღერა"), ჩეჩნეთის ტრაგედიას („დაბნეული და დაკარგული ბიჭი", „ჩეჩენ ბავშვებს", „რუსეთმა რომ ჩეჩნეთი გაანადგურა"), ეკოლოგიურ პრობლემებს („წყნეთის ქუჩა", „კოსმოსის დაპყრობა", „7-წუთიანი ზონის ვარსკვლავი"), ერებად და ენებად კაცობრიობის გათიშულობას („როდესაც აქ სული მეხუთება მარტივი მიზეზით") და მრავალ სხვა პრობლემას, რაც თანამედროვე მკითხველისათვის მახლობელი და მტკივნეულია. ერთ ლექსში, რომელსაც „სირბილი დაღლისას" ჰქვია, პოეტი პარადოქსულ სიტუაციას წარმოგვისახავს – მას სურს გაექცეს საკუთარ გულს, რომელსაც მისი პიროვნება ისე შთაუნთქავს, როგორც ვეშაპს – იონა, ანუ ამ ლექსის მიხედვით, გული კი არ არის პიროვნების შიგნით მყოფი და მისდამი დაქვემდებარებული, არამედ პიროვნებაა საკუთარ გულს შიგნით მოქცეული და ტყვედქმნილი, ამიტომ სურს ამ დილეგისგან თავის დაღწევა. და თუ გაქცევა შეუძლებელია, მაშინ იგი მზადაა „გაყიდოს" თავისი ჯალათი გული (რომელშიც შესაძლოა ჯერ კიდევ იმყოფება ღმერთი და იქნებ კვლავაც აქ დარჩენას აპირებს): ამ პოეტური ფანტაზმის აზრი ნათელია – ადამიანურობის ტვირთი (მოყვასისადმი სიყვარული და თანალმობა) ზოგჯერ იმდენად დამამძიმებელია, რომ აუტანელი ხდება მისი ზიდვა; ერთი შეხედვით ეს პოლარულად ეწინააღმდეგება ილია ჭავჭავაძის ღაღადისს, ზემოთ რომ უკვე გვქონდა ციტირებული – „რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდაც გულს ლახვარი მკრან, გთხოვდე: „შეუნდე, არ იციან, თუ რასა იქმან!" მაგრამ დიდი დაკვირვება არაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ ეს „პოლარულად საწინააღმდეგო" სურვილი თუ მოთხოვნა სინამდვილეში ილიას სურვილისა თუ მოთხოვნის იდენტურია, ნაირა გელაშვილი საკუთარი სულიერი შეჭირვების უფრო შთამბეჭდავი გამოხატვის მიზნით მიმართავს ამგვარ პარადოქსულ, „უკუთქმით" ფორმას; ხოლო სხვა ლექსში („მხნეობის წყარო"), სადაც დაახლოებით ამგვარსავე განწყობილებას, პიროვნულ ჯანყს გამოხატავს ნაირა გელაშვილი, იქვე პასუხიც არის ამაზე გაცემული: „ის გულმოკლული შემომხედავს: „იფიქრე სხვებზე, უმეტესობა შენს გარშემო შენზე სუსტია". მართალია, ეს მეორე ლექსი პირველზე ერთი წლით ადრეა დაწერილი, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, აქ სასოწარკვეთისა და მხნეობის ეტაპები ემპირიულ დროში თანმიმდევრობით განლაგებული და ერთჯერადი როდია, ეს არის სულიერი ცხოვრების რთული შინაგანი დინამიკა, რომლის კანონზომიერებათა დადგენა მეტწილად შეუძლებელია; ადამიანი პერმანენტულად შეიგრძნობს სულის ამ რხევებს, განწყობილებათა ამ მონაცვლეობას. აქ ციტირებულ სტრიქონებში გაცხადებული აზრის ფსიქოლოგიური მექანიზმი ამხელს სულის შინაგან წინააღმდეგობრიობას, რაც იქნებ ყოფნის ტრაგიკულობის ერთ-ერთი წინა პირობაა: ერთი მხრივ, ადამიანს მხნეობას მატებს იმის ცოდნა, რომ სხვები მასზე სუსტები არიან, რადგან ამ ფარდობითობათა სამყაროში საკუთარი სიძლიერე მტკიცედ რომ ირწმუნო, სხვებზე აღმატებულობის განცდაც არის საჭირო, მხოლოდ საკუთარი შინაგანი პოტენციალის, შინაგანი

სისავსის შეგრძნება სადღაც მაინც უკმარია; მაგრამ, მეორე მხრივ, სხვებზე აღმატებულობის გაცნობიერება უკვე მოვალეობის გრძნობასაც ბადებს იმ სხვათა, სუსტთა მიმართ, ანუ ადამიანურობის მძიმე ტვირთის ზიდვას აიძულებს ინდივიდს (ჰუმანისტ ინდივიდზეა საუბარი, რასაკვირველია; პოეტი კი არ შეიძლება ჰუმანისტი არ იყოს); და სწორედ ამ ტვირთისგან გაქცევის სურვილის ხმამაღლა (ლამის ისტერიული ფორმით) გაცხადება მართლაცდა სხვა რა უნდა იყოს თავისი ჭეშმარიტი არსით, თუ არა მოთხოვნა სულიერი ძალების გაზრდისა, განმტკიცებისა; მოთხოვნა პარდოქსული ფორმით, როგორც უკვე ვთქვით.

პოემა „დედაშვილობა“, რომელსაც ქვესათაურად აქვს „რომანის კონსპექტი“, ისევეა აგებული პირადულ, ავტობიოგრაფიულ მასალაზე, როგორც „დრო, პური და ღვინო“. თუ ამ უკანასკნელში პოეტისთვის საკუთარი მამის ტრაგიკული აღსასრული გახდა შთაგონების წყარო, „დედაშვილობაში“ საკუთარ დედასთან რთული, დაძაბული, მთელი ცხოვრების მანძილზე გამუდმებული ბრძოლის ნიშნით აღბეჭდილი ურთიერთობა იძლევა იმპულსს დიდი პოეტურ-ფილოსოფიური განზოგადებისათვის. ეს პოემა მართლაც შეკუმშულ რომანსა ჰგავს, მაში ჭარბადაა შემოტანილი ყოფითი, პროზაული მასალა, ოღონდ მთლიანად ლირიკულ პრიზმაში გარდატეხილი: რომანის სახით რომ დაწერილიყო ეს ნაწარმოები, ალბთ მაინც შედარებით უფრო დინჯი, ეპიკური რიტმი იქნებოდა მისთვის ნიშანდობლივი, თხრობაც უფრო დეტალიზებული და პანორამული, თუმცა თანამედროვე რომანებში არაიშვიათად წამყვან ადგილს ეპიკური თხრობა კი არა, ექსტატიური შინაგანი მონოლოგები იჭერს; ხოლო ამგვარად დაწნეხილი, ლირიკული პოემის სივრცეში ჩატეული სათქმელი ემოციურად ისეა გამძაფრებული, დრამატიზების ისეთ რეგისტრში ადის, რომ სულის ტრაგიკულ კივილად უფრო აღიქმება, ვიდრე განსჯა-რეფლექსიით დატვირთულ თხრობად (თუმცა კი მთელი პოემა სწორედაც რომ სავსეა რეალურად მომხდარი ამბებით და ამ ამბავთა სიღრმისეული განსჯითა და გააზრებით).

მშობლისა და შვილის ურთიერთობა დიდი განზოგადების შემცველი თემაა: აქ ხომ საქმე გვაქვს არა მხოლოდ სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ ასპექტებთან ადამიანური ყოფისა, არამედ ძირეულ რეალობასთან, არქეტიპთან; მშობელს სწადია, თავის ხატად და ასლად შექმნას შვილი, როგორც უფალმა, შვილს კი დამოუკიდებლობა, თვითდამკვიდრება სწყურია და, ამდენად, კონფლიქტი გარდაუვალია. „პატივი ეც დედასა შენსა და მამასა შენსა“ – ასეთია უფლის ერთერთი მცნება. პოეტი მწარე ირონიით შენიშნავს: „რა იქნებოდა, ერთი პარაგრაფიც (თუნდაც მინდორზე) მიეწერათ: „აღიარე ნაყოფი შენი!“ ადამიანს სწყურია აღიარება, სხვათაგან დასტური თავის ინდივიდუალურ, პიროვნულ მნიშვნელოვნებაზე, და განსაკუთრებით უახლოესი ადამიანისგან, მშობლისგან აღიარება სჭირდება მას თვითგანმტკიცებისათვის. საერთოდ კი, აქ დასმული პრობლემები სცილდება მშობლისა და შვილის ურთიერთობის პრობლემას, თავისთავად დიდმნიშვნელოვანი და მრავალგანზომილებიანი რომაა; აქ სხვა არქეტიპული მოდელებიც: „მე“ და „სხვა“ („სხვები“) მარადიული ოპოზიციაა ჩვენს მატერიალურ სამყაროში, რადგან „ღმერთმა ერთი რით აცხოვნოს, თუ მეორე არ წარწყმიდოს“. ადამიანთა პრაქტიკულად აბსოლუტურ უმრავლესობას მართავს ეგოისტური, თავკერძული ინსტინქტი, რაც თითოეულს აიძულებს საკუთარი სასიცოცხლო სივრცის (მატერიალურისა თუ სულიერის) გაფართოების მიზნით შეავიწროვოს სხვები, ხელი შეუშალოს იმ სხვათა ასეთსავე „თვითგაფართოებას“, ანუ იგივე თვითდამკვიდრებას. ამ ინსტინქტის დაძლევა მხოლოდ წმინდანთა, „განთავისუფლებულ ადამიანთა“ ხვედრია და ისიც, ალბათ, არა აბსოლუტური მნიშვნელობით, რადგან, სანამ ხორციელ გარსში იმყოფება, ინდივიდი მთლიანად მაინც ვერ უკუაგდებს „მეს“ პირველადობისა და „სხვის“ მეორადობის განცდას თავისთავში.

„ო, ღმერთო ჩემო, რატომ გვჭირდება
ასე მძვინვარედ, –
იმისთვის, რომ ადამიანად შევიგრძნოთ თავი,
მტკიცება იმის,
რომ სხვა ჩვენზე უარესია,
შვილი კი ის არის, ვინც მუდამ ცდება...“

აქ მოქმედებს ე. წ. „ბაბილონის სინდრომი“, ანუ ადამიანთა შორის ჭეშმარიტი გაგების, სრულყოფილი კომუნიკაციის პრაქტიკული შეუძლებლობა: თითოეული ინდივიდი ერთგვარი ჩაკეტილი სისტემაა და სხვა ინდივიდთაგან მოღწეული ინფორმაცია არასოდეს არ აღწევს მასში თავდაპირველი, წმინდა სახით: როგორც წყალში ხდება მზის სხივის გარდატეხა, ასევე გარდატეხილ-გამრუდებული, დეფორმირებული სახით ღებულობს ინდივიდის ცნობიერება მასში შემოსულ ინფორმაციას, ეს კი საფუძველშივე გამორიცხავს სრულყოფილ გაგებას. კონფლიქტის სათავეც სწორედ ამაშია.

პრობლემას ამძაფრებს აგრეთვე ადამიანის თვითგაცნობიერებულობის არასაკმარისი დონე. მეტწილ შემთხვევაში ადამიანი ვერ აცნობიერებს, რომ თვითონაც ისევე ახდენს სხვათა სურვილებისა თუ მოქმედებათა შეზღუდვას, ბლოკირებას, რის გამოც იმ სხვებს (თავის პიროვნებასთან მიმართებაში) ბრალს სდებს.

„ცხოვრება ბრძოლაა“ – ეს ფორმულა ადამიანთა

უმრავლესობისათვის აქსიომური ჭეშმარიტებაა. ბრძოლაში კი, უწინარეს ყოვლისა, „მესა“ და „სხვას“ („სხვებს“) შორის ბრძოლა იგულისხმება. ადამიანისთვის მთავარი მოწინააღმდეგე სწორედ ადამიანია და არა სხვა რამ — ბუნებას დავარქმევთ თუ სამყაროს; ეს არის ადამიანად ყოფნის ტრაგედია.

რაკი პოემა „დედაშვილობა“ შვილის პოზიციიდან არის დაწერილი, აპრიორულად იგულისხმება, რომ შვილი უფრო მაღალ ჭეშმარიტებას ფლობს, ვიდრე დედა, მშობელი; ამგვარი მიკერძოება, სუბიექტურობა სავსებით ბუნებრივი და გარდაუვალია, რადგან აქ ურთიერთობაში თავჩენილი მტანჯველი დისჰარმონიის განსჯა-შეფასებაა მოცემული, ხოლო ვინც განსჯის, ის შეუძლებელია სხვის სიმართლეს თავის სიმართლეზე მაღლა აყენებდეს: ასეთ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა უფრო მონანიე აღსარებასთან, ვიდრე განსჯასთან.

მაგრამ აქვე სიღრმისეულად და ძლიერი ემოციური მუხტის თანხლებით არის ნაჩვენები და გააზრებული მშობლის გამუდმებული ზრუნვა შვილზე, შვილის კეთილდღეობის, უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. „სამყაროს საჭეთმპყრობელისა“ თუ „ბუნების ძალისადმი“ დაუსრულებელი ვედრება (ხშირად ბრძანებას რომ უფრო ჰგავს) შვილის დაცვა-გადარჩენისათვის; შვილი აღიარებს, რომ ესწრაფვის მარტოობას (რასაც მშობელი, პირიქით, გაურბის), მაგრამ ეს უფრო ცხოვრების უხეში აგრესიისაგან თავდაცვის, სიმშვიდის, სულიერი კომფორტის მოთხოვნაა და არა ცხოვრებისა და ადამიანებისგან სრული განდგომა-იზოლირების სურვილი. ადამიანს ხომ, უბრალოდ, არ შეუძლია „სხვების“ გარეშე ყოფნა, რადგან ყოფნა – ეს „სხვებთან“ მიმართებაა ნებისმიერი ფორმით. პოემის ბოლოს ლირიკული გმირი ექსტატიური სიმძაფრით აღბეჭილ ღაღადისს აღავლენს, რომ მშობელმა, დედამ არ დატოვოს, „ლეთაში არ შევიდეს“, რადგან მის გარეშე შეუძლებლად ესახება საკუთარი პიროვნების ზრდა-დასრულება, აგრეთვე შენდობის მიღება; ეს თითქოს წინააღმდეგობაშია იმასთან, რაც აქამდე იყო თქმული, რადგან მშობლის ჯიუტი ნება ხომ ბარიერად იყო აღმართული შვილის თვითდამკვიდრების გზაზე, რაკი არ აღიარებდა მის დამოუკიდებლობას; მაგრამ ამ წინააღმდეგობრიობის მოხსნა ხდება ურთიერთობის ხასიათის რადიკალური შეცვლის მოწოდებით: „ჯერ აქ შევერთდეთ ქრისტეში“ და „ვალმობიეროთ სამყარო“ – აი, უმაღლესი აზრი და იდეალური ფორმა ადამიანთა, მოყვასთა (უწინარეს ყოვლისა, მშობელთა და შვილთა) ერთადყოფნისა ამქვეყნად.

ნაირა გელაშვილის პოეზია რთული და მრავალწახნაგოვანია; კრებული „დრო, პური და ღვინო“ მოცულობითაც დიდია და ერთ წერილში, რა თქმა უნდა, მისი სრული ანალიზი შეუძლებელია. ამ წერილში ძირითადი ყურადღება წიგნის შინაარსობლივ მხარეს, მასში გამოხატულ სააზროვნო ტენდენციებს დავუთმეთ, მაგრამ გვინდა ცოტა რამ მის ფორმისეულ თავისებურებებზეც ვთქვათ: ნაირა გელაშვილის პოეტურ ნაწარმოებთათვის კლასიკურ-კონვენციური, მკაცრად მოწესრიგებული სალექსო ფორმები ნაკლებად დამახასიათებელია, მისი მხატვრული სტიქია *წინასწარდადგენილ ჩარჩოებს ვერ ჰგუობს:* ზოგჯერ სტროფში კანონიკური ოთხი სტრიქონის ნაცვლად ხუთი ან ექვსი სტრიქონი ჩნდება, ზოგჯერ ვერლიბრში რვამარცვლიანი შაირი ან სხვა რომელიმე ნაცნობი სალექსო საზომი შეერევა, ზოგან ლექსს პროზის გრაფიკული ფორმა ეძლევა და ა. შ. პოეტის ყურადღება ძირითადად კონცენტრირებულია აზრის ნიუანსობრივად, სხვადასხვა რაკურსში გადმოცემაზე და ეს მომენტიც განაპირობებს ფორმის იმპროვიზაციულობას, ერთჯერადობას. მაგალითად, ამ კრებულის გვირგვინი, ლექსი „დრო, პური და ღვინო“ ძირითადად პროზის გრაფიკული ფორმითაა დაწერილი. შიგადაშიგ ჩართულია ლექსის ფორმით გაწყობილი გარითმული სტროფებიც, რომელთაგან ზოგი ტრადიციულად ოთხსტრიქონიანია, ზოგში კი ეს ნორმა დარღვეულია. თვითონ პროზად დაწერილი მონაკვეთები კი ზოგან ურითმოა, ზოგან გარითმული; ამ ლექსის ფორმა სტიქიურად, იმპროვიზებულად არის შობილი, ერთჯერადია, განუმეორებელი და ამდენად, გამორჩეული ორიგინალობით აღბეჭდილი. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ჩეჩენი ლტოლვილი ბიჭისადმი მიძღვნილ ლექსზე („დაბნეული და დაკარგული ბიჭი“): აქაც პროზაული და სალექსო გრაფიკა ენაცვლება ერთმანეთს და რაღაც თავისებური, უცნაური რიტმიკა, მომხიბლავი ვიზუალურ-აკუსტიკური ეფექტი იქმნება. სხვა ნაწარმოებებიც მეტწილად ფორმის სტიქიურობით გამოირჩევიან, აქ ინტუიტურად მიგნებულობის ეფექტი აშკარად თვალშისაცემია: ფიგურალურად რომ ვთქვათ, ნაირა გელაშვილის პოეტურ ქმნილებათა ფორმა მდინარის ბუნებრივად მიხვეულ-მოხვეულ, უსწორმასწორო კალაპოტს უფრო გვაგონებს, ვიდრე მკაცრი წინასწარგაანგარიშებით კონსტრუირებულ არქიტექტურულ ნაგებობას, როგორიცაა მაგალითად, ბესიკის „ტანო-ტატანო“, გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი“, გალაკტიონის „ატმის ყვავილები“, „ლურჯა ცხენები“ და ა. შ.

პოეტური კრებული „დრო, პური და ღვინო“ თანამედროვე ხედვით აღბეჭდილი, ეპოქალური სულისკვეთებით გამომხატველი წიგნია, რომელიც, ვფიქრობთ, ქართულ პოეზიაში საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს თავისი გამორჩეული ხმითა და სათქმელით.

გადაკარგვამ აზრი დაკარგა

ლელა კოდალაშვილი



ინგმარ ბერგმანის ფილმში, „პერსონა“, ერთი პერსონაჟი ესაუბრება მეორეს: „თავბრუ გეხვევა სასტიკი სურვილისგან, რომ როგორმე გამხილონ, გამოგიცნონ, ან სულაც გაგანადგურონ... ყველა სიტყვა ტყუილია, ყოველი ჟესტი – ხელოვნური, ღიმილი – გრიმასა. თვითმკვლელობის მცდელობა? არა. ეს ვულგარულობაა. ღირსეული ადამიანები ასე არ იქცევიან. მაგრამ ხომ შეიძლება, გაქვავდე, დადუმდე, გადაიკარგო. და აღარ იქნება საჭირო, ითამაშო რამე როლი, მალო გრძნობები...“

დათო ქართველიშვილმაც უარი თქვა რაღაც როლზე და გადაკარგვა არჩია. უფრო მეტიც, ის ნელ-ნელა დადუმდა...

არა მგონია, რომ მართებული იყოს მთავრობებზე, ქვეყანაზე, სოციუმზე გაბრაზება, ეს ყველაფერი ხომ თითქოს იმისთვის არსებობს, რომ ადამიანს ხელი შეუშალოს და სარტრისა არ იყოს, ჯოჯოხეთად იქცეს. მაგრამ საბოლოოდ უმეტესობას მეტ-ნაკლებად ერთი და იგივე პრობლემები ატყდება თავს. თუმცა, ყველა სხვადასხვაგვარად ებრძვის ამას. ვიღაცის ნაბიჯები უფრო რადიკალურია, ვიღაცისას საერთოდ ვერ ვამჩნევთ.

აი, დათო კი, ადგა და წავიდა. წასვლით ბევრი მიდის. ეს თითქოს ნორმად იქცა. ვინ უშლის, რომ იქ წეროს და აქ გამოაგზავნოს გამოსაცემადო, ალბათ იტყვით, მაგრამ ეს მწერალი მოსწყდა მთავარს – ენას.

ვინც წლებია, წასულია, მითუმეტეს, ვინც არ ინარჩუნებს სოციალურ აქტივობას, მის სასაუბრო ლექსიკასაც კი არქაული ელფერი დაჰკრავს, სავსეა ძველისძველი კლიშეებით და დეფიციტია ნეოლოგიზმების. ეს ყველაფერი, საუბრისასაც კი, ენის მიმართ სენსიტიური დამოკიდებულების მქონე ადამიანებში ერთგვარ უხერხულობას ქმნის, პროზაიკოსის ტექსტებისთვის კი მომაკვდინებელი გასროლასავითაა.

საქართველოდან წასულთა ლექსიკურ პრობლემებზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ისევ დათო ქართველიშვილს დავუბრუნდები.

ჩვენ ძალიან ცოტა პროზაიკოსი გვყავს. ცხადია, ნორმალურ მწერლებს ვგულისხმობ, თორემ წერით, ლამისაა, ყოველი მეხუთე წერს. დათოც ამ „ცოტას“ წარმომადგენელია. აქვს საკუთარი სტილი, ენა, თხრობის წესი და პროზაიკოსული „ლუპა“. ლუპაზე ოდნავ ქვემოთ ვიტყვი. მანამდე კი, არ მინდა, გამომრჩეს და არ აღვნიშნო იმ ოქსიმორონის შესახებ, რომელიც იშვიათად დამიფიქსირებია ქართველ მწერალში – ის ერთადერთია, რომელიც წერს საშინლად გამაღიზიანებელ, ტრივიალურ თემებზე, ბანალურზე ბანალურ ადამიანებსა და მათ ბანალურ ქცევებზე, ხატავს პრიმიტიულ პერსონაჟებს, თხრობისას თითქმის არ ამჟღავნებს არანაირ მწერლურ ინტელექტს... და მაინც, ახერხებს, იყოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფადი, ისეთი, პირველივე წინადადებებიდან რომ იცნობა და ჯერ გაბრაზებს, მერე გაცინებს, ბოლოს კი მაინც აგრძელებ კითხვას ბოლომდე. „მიწაზე დაბრუნებული მარი ჩემკენ მოდის. მე ტახტზე ვზივარ, ასე რომ, შეიძლება ითქვას, მარი ჩემკენ და ტახტისკენ მოდის, უფრო სწორად, მოვიდა“ („რამდენიმე მინიშნება“, მოთხრობა). – აი, ამგვარად „ულეჭავს“ დათო ქართველიშვილი მკითხველს პერსონაჟის ელემენტარულ მოქმედებასაც კი. ამგვარი „ნაღეჭით“ სავსეა მისი ტექსტები. როცა სულ პირველად გადავფურცლე მისი წიგნი, თუ არ ვცდები, ეს იყო რომანი, „იყო საღამო, იყო დილა“, გავბრაზდი და ჩემთვის ვთქვი – ამას, მე მგონი, მკითხველი დებილი ჰგონია-მეთქი. მაგრამ რომანი მაინც ბოლომდე წავიკითხე. გაბრა-





ზებამ სადღაც ტექსტის პირველ მეოთხედში გამიარა და სულ სხვა განცდა წარმოიშვა – ეს არის ავტორი, რომელიც თამაშობს. ან, უფრო სწორად, ღადაობს. და ძალიან უნდა, შენც გაგრძნობინოს ის, თუ რამდენად არასერიოზულია მთელი ეს ყველაფერი, რასაც ის წერს, და საერთოდ, რაც გარშემოა. დამოკიდებულება ამბავთან, პერსონაჟთან, საკუთარ თავთან და მკითხველთან – დათოსთან ეს ყველაფერი თითქოს ერთ შრეზეა. მას ვერსად აღმოუჩენთ მტკივნეულ წერტილს, რადგან ეს წერტილიც ამ შრეზეა შერეული სხვა ყველაფერს.

უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ დათო ამ მეთოდით ინიღბება. არ გაჩვენებს არც ნამდვილ სახეს, არც საკუთარ სატკივარს, არც სტილს, რადგან მისი სტილი, ესაა სტილზე უარის თქმა. და მარტივი მოქმედებების გაუთავებელი დაქუცმაცება. ამ დაქუცმაცებაში ის საკუთარ და მკითხველის ნერვებს ერთნაირად ამოწმებს. ცდილობს, იყოს გამაღიზიანებელი და მომაბეზრებელი, რათა შემდეგ ყველაზე გამოწრთობილ მკითხველთან მიაღწიოს უნისონს. ის შენთან ერთად გადის ამ რუტინას და გაჩვენებს, რომ ტექსტში მხოლოდ ამ მოგზაურობით გახდებით მაუგლივით მისი სისხლის.

„იყო საღამო, იყო დილა“ მისი გამორჩეულად საინტერესო ტექსტია, რადგან აქ დათოს მთელი მწერლური მომხიბვლელობა ერთობლიობაშია მოცემული. აქ მან საკუთარი თავი ნებაზე მიუშვა და ამ მეთოდმა გაამართლა. რომანის გმირები არაფრით გამორჩეული ადამიანები არიან. კითხულობ და საკუთარ თავზე ბრაზდები, რატომ უნდა დაუთმო დრო ამ სულელ ხალხს, რითი არიან ღირსშესანიშნავნი, რა უნდა ამ ცინიკოს მწერალს... მაგრამ მერე თანდათან ხვდები, რომ ეს ის ბალასტია, რომელსაც ავტორი არც კი დასცინის, ეს გმირები მას არ აღიზიანებენ, პირიქით, ავტორი შემწყნარებლური და თანამგრძნობიც კია მათ მიმართ. ამბის დრამატურგიას ის ისევე მარტივად ცვლის, როგორც თავის პერსონაჟებს. შეუძლია, ერთი შტრიხით საინტერესო გახადოს მანამდე ნაცრისფერ გარსში ჩაკარგული ადამიანი.

ჰოლივუდური სურნელი – აი, კიდევ რა იგრძნობა დათო ქართველიშვილთან. ხანდახან გგონია, რომ ამერიკული იაფფასიანი კინოპროდუქციით გაჟღენთილი ავტორი ცდილობს, ეს დომხალი როგორმე დაალაგოს და ამ მცდელობას პროზა დაარქვას. გვიან იაზრებ, რომ ეს მისეული ირონიაა – იქილიკოს ყველასა და ყველაფერზე, ტრაგიკულსა და კომიკურზე, სულელსა და ღრმაზე, მოაქციოს ერთ კონტექსტში და ერთი საერთო სახელი დაარქვას, რადგან ადამიანი მაინც განწირულია იმისთვის, რომ სხვებს ჰგავდეს.

დავით ქართველიშვილის ამ რომანში რამდენიმე მთავარი პერსონაჟია – რამდენიმე ქალი და კაცი. მათ ერთმანეთი სძულთ, უყვართ, ხან ვიღაცის მოკვლას ცდილობენ. მათ თვალწინ უამრავი დანაშაული მოხდა და ამიტომ მათში შიშია ჩაბუდებული. ეშინიათ ყველასი და ყველაფრის. იქნებ ამიტომაც სჩადიან დანაშაულს. ავტორი გულგრილად აღწერს მათ ცხოვრებას. ჩვეული ირონიული ღიმილით ჰყვება მძიმე ამბებს, რადგან იცის, რომ ამ ადამიანებს მომავალში არაფრი ესაქმებათ. მათი სამოქმედო არეალი დასასრულს მიუახლოვდა. ისინი უნდა დამთავრდნენ,

მაგრამ რუტინა უსასრულოდ მეორდება, სხვადასხვანაირად შენიღბული. სხვა საქმეა, რამდენად ცნობს მას ავტორი. ცნობს და, თითქოს ჯინაზე, შენც ამ ყველაფრის ნაწილად გაქცევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედები გამიცრუა ქართველიშვილის მეორე რომანმა, სახელწოდებით, „ახალი წიგნი". სიუჟეტზე არ გავამახვილებ ყურადღებას, რადგან იქ არაფერია ღირსშესანიშნავი. მწერალი, აქ პერსონაჟად გვევლინება. უფრო სწორად, მწერალი წერს თავის შესახებ. ბევრმა ეს კონსტრუქცია ორიგინალურ და ახალ იდეად მონათლა, თუმცა, ცხადია, ლიტერატურაში ავტორის ტექსტში „შეჭრა" კარგა ხანია, მოძველებული ტრიუკია და ლუიჯი პირანდელოდან მოყოლებული – დღემდე, არაერთ მწერალსა და დრამატურგს გამოუყენებია. სოციალური ფონის აღწერის სურვილი, ანუ ის, რომ მწერალი იძულებულია, ფულის გამო ვიღაც ბიზნესმენის შეკვეთაზე იმუშაოს, ასევე ძალიან მცირე მიზეზია იმისათვის, რომ რომანი შექმნა. ანუ, როგორც ყოველთვის, დათო თემითა და პერსონაჟების ფსიქოლოგიით ვერ გვხიბლავს. მისი მთავარი ღირსება, როგორც ზემოთ ვისაუბრე, მუდამ არის უკიდურესად ნაივური თხრობის სტილი, ანუ მისეული მიდგომა ენასთან. სამწუხაროდ, „ახალ წიგნში" ეს ხიბლი დაიკარგა.

არსებობს ფოტო, სადაც სწორედ ამის შესახებ ვესაუბრები დათოს და ამ ფოტოზე კარგად იგრძნობა ისიც, თუ როგორ ვუბურღავ ტვინს... და, რაც მთავარია, ფოტოზე იგრძნობა მისი განწყობა – ფიქრი ამ ყველაფერზე. თუმცა კი, მაშინ პასუხი გამცა, ამიხსნა, რომ იმ ენამ, რომელსაც მე ვიწონებდი, თავისი დრო ამოწურა და მოვიდა ახალი, რომელსაც თავის მხრივ, კიდევ უფრო საინტერესო რამ უნდა მოეტანა. ხოლო ის, რაც დავიწუნე, გრადაციული პროცესია.

მაგრამ დათო წავიდა და ეს პროცესიც შეჩერდა. მისი წიგნები კი სხვა თანამედროვე ავტორების ადრე გამოსულ წიგნებში ჩაიკარგა, რადგან ჩვენი საუკუნის პრაგმატული საზოგადოება ადვილად ივიწყებს ადამიანებს. მხოლოდ რამდენიმე მეგობარს ახსოვს და გული სტკივა, რომ ის გადაიკარგა.

ზემოთ „ლუპა" ვახსენე და აღვნიშნე, რომ დავუბრუნდებოდი ამ სიტყვას. მინდოდა მეთქვა, რომ როცა პროზას ვკითხულობთ, ძალიან ხშირად, ჩვენ, მკითხველები, შეიარაღებული ვართ ხოლმე „ლუპით", რათა სიტყვებსა და წინადადებებს შორის ავტორის მიერ ჩადებული სათქმელი დავინახოთ, ამოვიცნოთ და რაც შეიძლება მეტი ფილიგრანულობით დავალაგოთ ჩვენს ცნობიერებასა და ემოციურ სამყაროში, უკეთ აღქმის მიზნით. დათო ქართველიშვილის ტექსტების კითხვისას კი გიჩნდება შთაბეჭდილება, რომ ეს ლუპა თავად მწერალმა გამოიყენა და უკვე დანაწევრებული, ფართო პლანით აღქმული მოვლენები მოგვაწოდა ყოველგვარი სისტემის გარეშე, ბროუნის მოძრაობის პრინციპით წიგნების ფურცლებზე მოლივლივე. და მკითხველიც იძულებული ხდები, ქვეტექსტები კი არ ეძებო, როგორც ეს საერთოდ გჩვევია, არამედ მთელი ეს ქაოსი კომპაქტურ ყალიბში თავადვე მოაქციო და სასურველი მიმართულება მისცე. ბევრს შეიძლება მოეჩვენოს, რომ ქართველიშვილი რეალურსა და ირეალურს ერთმანეთში ურევს, რათა თავგზა აუბნიოს მკითხველს და ბუნდოვანი თხრობით კიდევ უფრო იდუმალი და ირონიული გახდეს. მაგრამ, ჩემი აზრით, რეალური და ირეალური არაფერ შუაშია. ეს ავტორი, როგორც უკვე ვთქვი, უბრალოდ ყველას და ყველაფერს ერთ განზომილებაში განიხილავს. თანაბარი გულგრილობით ეკიდება უარყოფითსა და დადებითს, ბანალურ მოვლენას და განსაკუთრებულ აღმოჩენას. მისი ინდიფერენტიზმი გადამდები არ არის. პირიქით, ბრძოლის სურვილს გიღვიძებს და სწორედ აქ აღმოჩნდები ანკესზე წამოგებული, როცა ხელთ, საბოლოო ჯამში, არაფერი შეგრჩება. მე ვიტყოდი, რომ მისი მიზანიც სწორედ ესაა – დაგანახოს ეგზისტენციალური ამაოება და ის, რომ საბოლოოდ ამ ყველაფერს ერთი ფასი აქვს.

და ბოლოს, ისევ ბერგმანის პერსონაჟს დავუბრუნდები და მისი სიტყვებით შევახსენებ დათოს: „წყეული რეალობა წინააღმდეგობას გიწევს შენს საიდუმლო თავშესაფარში, ბზარებს აჩენს იქ და იმ ბზარებში გაედინება ცხოვრება". ამიტომ, მე ვიტყოდი, რომ გადაკარგვამ აზრი დაკარგა. ამიტომ, კარგი იქნება, თუკი დათო ქართველიშვილი დაუბრუნდება ცხოვრების ამ მხარეს და გააგრძელებს იმ ენობრივ გზას, რომელზეც ზემოთ უკვე ვთქვი.

5 ახალი თარგმანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილი კანდინსკი

ვასილი კანდინსკი (1866–1944), აბსტაქტული მხატვრობის ერთ-ერთი მამამთავარი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო: ფერმწერი, აკვარელისტი, დრამატურგი, ხელოვნების თეორეტიკოსი და ფრიად საინტერესო პოეტი, რომელიც სრულიად განსხვავებულად აღიქვამდა სამყაროს. მხატვრის გამორჩეული სულიერი ხედვის თვალსაჩინო მაგალითია პოეტური ალბომი „ხმოვანება“ (Klänge), რომელიც 1908-1910 წლებში შეიქმნა გერმანულ ენაზე და 1912 წელს გამოიცა მიუნხენში, სადაც იგი 18 წლის განმავლობაში ცხოვრობდა. ალბომი დაიბეჭდა სულ 300 ეგზემპლარი, მხატვრის მიერვე არის ილუსტრირებული და „დიადი სულიერი ეპოქის“ მოლოდინითაა აღბეჭდილი. კანდინსკი „აბსოლუტური ფერწერის“ მეხოტბე იყო და პოეზიაშიც ცდილობდა, აბსოლუტური ხმოვანება დაემკვიდრებინა. გთავაზობთ ამ ალბომიდან შერჩეული ლექსების თარგმანს.

მთარგმნელისაგან

ლექსები ალბომიდან „ხმოვანება“

ადრეული გაზაფხული

ქუჩაში მამაკაცმა მოიხადა ქუდი. დავინახე შავ-თეთრი,
თმის საცხით გვარიანად გაპოხილი, მარჯვნივ და მარცხნივ
გადაგლესილი თმა.
მეორე მამაკაცმა მოიხადა ქუდი. დავინახე დიდი, ვარდისფერი,
ოდნავ ზეთოვანი, მოლურჯოდ ბზინვარე სიქაჩლე.
ორივე მამაკაცმა ერთმანეთი შეათვალიერა, მათ მონაცრისფრო,
მოყვითალო, ბჟენიანი კბილები უჩვენეს ერთმანეთს.

გალია

გაგლეჯილი იყო. ავიღე ორივე ხელით და მეჭირა ერთმანეთს მიბჯენილი კიდეებით.
ირგვლივ რაღაც იზრდებოდა. მჭიდროდ, ჩემ გარშემო. თუმცა არაფერი ჩანდა.
ვფიქრობდი, აქ არც არაფერი იქნება-მეთქი. მაგრამ წინ წაწევას მაინც ვერ ვახერხებდი.
ყველის ხუფქვეშ მოყოლილი ბუზივით ვიყავი გამომწყვდეული.
ანუ, არაფერი ჩანდა და თავს კი მაინც ვერ ვაღწევდი. სიცარიელეც კი იგრძნობოდა.
ჩემ წინ ხე იდგა მარტოდმარტო, ეული, უფრო ნორჩი ხე ეთქმოდა. სპილენძმწვანას
დარი მწვანე ფოთლებით. რკინასავით მკვრივი, უდრეკი. მომცრო, სისხლივით ელვარე
წითელი ვაშლები ეკიდა ტოტებზე.
ეს იყო სულ.

ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ყველამ იცით ეს ღრუბელი უზარმაზარი, ყვავილოვან კომბოსტოს რომ ჰგავს. თქვენ შეგიძლიათ მისი თოვლივით ქათქათა სიმკვრივე ღეჭოთ. ენა კი მაინც მშრალი რჩება. და ეს ღრუბელი მუქლურჯ ჰაერს ეკიდა ტვირთად.
ქვემოთ კი, მის ქვეშ, მიწაზე, მიწაზე იდგა ალმოდებული სახლი, იწვოდა. ის მუქწითელი აგურებით მტკიცედ, ო, მტკიცედ იყო ნაგები.
და ის მტკიცე ყვითელ ალში გახვეულიყო.
და ამ სახლის წინ მიწაზე.....

შეუცვლელი

ჩემი მერხი ლურჯია, თუმცა, აქ არ დგას ყოველთვის. მხოლოდ გუშინწინ მივაგენი ისევ. მის გვერდით, ჩვეულებრივ, ეგდო გაცივებული ელვა. ამჯერად ელვის გარშემო ბალახი ოდნავ შეტრუსულიყო. ალბათ უეცრად, საიდუმლოდ თუ გავარვარდა ელვა, ქიმით მიწაში ჩაცემული. სხვა რამ ცვლილება არ შემინიშნავს: ყველაფერი ძველებურად იყო თავთავის ადგილებზე. ჩვეულებრივ, როგორც ყოველთვის, ვიჯექი ჩემს მერხზე. მარჯვნივ, ელვა მიწაში, – ქიმით ჩაცემული: ის, მარტო რომ ვარვარებდა. ჩემ წინ, დიდი მინდორი. ჩემგან მარჯვნივ, ორმოცდაათ ნაბიჯზე, ქალი, მკერდზე ბანანივით მიხუტებული შავი შალით. იგი უყურებს წითელ სოკოს. მარცხნივ ჩემგან იგივე ფერგადასული წარწერა:

"Bann! Ahne!" („სდექ! წინაპარია!")*

და მაინც ისევ?

შენ, ხარ ველური ქაფი.
შენ, ხარ ურგები: ლოკოკინა ხარ, ის, მე რომ არ ვუყვარვარ.
ჯარისკაცთა უსასრულო ნაბიჯების ცარიელი სიჩუმე, რის მოსმენასაც მე აქ ვერ შევძლებ.
თქვენ ოთხი კვადრატული სარკმელი ხართ, შუაში ჯვრებით.
თქვენ სარკმელები ხართ, ცარიელი დარბაზისა და თეთრი გალავნის, ჯერ არავინ რომ მიყრდნობია. თქვენ ხართ მთხრობელი სარკმელები უჩუმარი ამოოხვრებით. თქვენ გულცივობას იჩენთ ჩემდამი: თქვენ საჩემოდ არ ხართ ნაგებნი.
შენ, ნივთიერი წებო ხარ.

გაზაფხული

იყუჩე ჩუმად, ნაირფერო ადამიანო!
ნელა ცურდება გორაკიდან ძირძველი სახლი. ლურჯი, ბებერი
ცა უიმედოდ შერჩენია ტოტებს და ფოთლებს.
ნუ მიხმობ იქით!

ზოგი რამ

თევზი სულ უფრო ღრმად მიცურავდა წყალში. თევზი ვერცხლისფერი, წყალი კი ლურჯი იყო. მე თვალს ვადევნებდი მას. თევზი სულ უფრო ღრმად ჩადიოდა, თუმცა ჯერ მაინც ვხედავდი მას. მე უკვე ველარ ვხედავდი მას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ისევ ვხედავდი მას, თუმც არ შემეძლო, რომ დამენახა.
მიუხედავად ამისა, მაინც ვხედავდი. და მაინც, მაინც ვხედავდი მე მას.
მე ვხედავდი მას. მე ვხედავდი მას. მე ვხედავდი მას. მე ვხედავდი მას.
მე ვხედავდი მას. მე ვხედავდი მას.

თეთრი ცხენი გრძელ ფეხებზე წყნარად იდგა. ცა იყო ლურჯი. ფეხები – გრძელი. ცხენი უძრავად გარინდულიყო. ძირს დაშვებული ფაფარი არ იძვროდა. ცხენი უძრავად იდგა გრძელ ფეხებზე. თუმც ის ცოცხალი იყო მაინც. არც კუნთის კრთომა, არც კანის ჟრჟოლა. ის იყო ცოცხალი.
ის მაინც, მაინც ცოცხალი იყო.
ფართო მდელოზე იზრდებოდა რაღაც ყვავილი. ყვავილი იყო ლურჯი. ერთადერთი ყვავილი იყო ფართო მდელოზე.
და მაინც, მაინც მაინც იყო ის ამქვეყნად.

ფარდა

თოკი დაეშვა ქვევით, ფარდა ავიდა ზევით. ჩვენ ყველანი კარგახანია ველოდით ამ წუთს. ფარდა ეკიდა. ფარდა ეკიდა ფარდა ეკიდა. ის ისევ ქვევით იყო დაშვებული. ახლა მაღლაა, როცა მაღლა აწევა დაიწყო (რომ ამოძრავდა), ჩვენ სიხარულმა მოგვიცვა ყველა.

სიმღერა

აი ზის კაცი
ვიწრო წრეში,
ვიწრო წრეში
სივიწროვისა.
კმაყოფილია.
არა აქვს ყური.
და არც თვალები.
მზის დისკოს ჟღალი
შრიალის კვალიც
ვერ აღწევს მასთან.
ძირს რაც გართხმულა
კვლავ წამოდგება.
რაც მდუმარებდა,
იწყებს სიმღერას.
და კაცი, ვისაც
არა აქვს ყური
და არც თვალები,
მზის დისკოს ჟღალი
ჩქამ-შრიალის
კვალს უნატიფესს
შეიგრძნობს უმალ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეში

ტყე სულ უფრო იბურებოდა.
ხეთა წითური სხეულები სულ მსხვილდებოდა.
მწვანე საფარი, ფოთლოვანი სულ მძიმდებოდა.
ჰაერი უფრო იბინდებოდა.
ბუჩქები უფრო იფურჩქნებოდა.
სოკოები კი სულ მრავლდებოდა.
ზედ სოკოებზე უწევდა გავლა ბოლოს და ბოლოს.
მეტად უჭირდა ადამიანს სიარული გაუვალ ტყეში,
გზის გაკვლევისას არ დასხლტომოდა ფეხი ბარდებში.
თუმცა გზას მაინც აგრძელებდა და სულ ერთ ფრაზას
იმეორებდა მალიმალ სწრაფად:
იარები ხორცდება.
ფერები კვლავ ცოცხლდება.
მას სულ ოდნავ ჩამორჩებოდა ხელმარცხნივ ქალი, კაცი რომ ჩვეულ
ფრაზას იტყოდა, ქალი უღრმესი თავდაჯერებით, „რაე“-ს რაკრაკით
ესიტყვებოდა: – „განსაკუთრრრებით პრრრაქტიკულია“.

გაზაფხული

1. დასავლეთით მთვარე ახალი. რქას წინ უზის ვარსკვლავი მისი...
სახლი მაღალი, ვიწრო, შავი. სამი სარკმელი, ყვითელ-ნათელი, სამი სარკმელი.
2. ყვითელ ციალში მქრქალ-ცისფერი მკრთალი ნათელი. აი, სწორედ ეს
მქრქალ-ცისფერი ლაქები მჭრიდა და მტკენდა თვალებს. რად ვერ
ხედავდა ვერვინ ლაქებს, მქრქალსა და ცისფერს, ყვითელ ციალში?
3. მდუღარე წყალში ჩაჰყავ ხელი. დაითუთქე თითები შენი!
სჯობს შენი თითები უმღერდეს ტკივილებს.

მზერა

რად მიმზერ თეთრი ფარდის მიღმა?
არ მომიხმიხარ, არ მითხოვია თეთრი ფარდის მიღმიდან რომ გეცქირა ჩემთვის,
რატომ მიმალავს ის სახეს შენსას?
რატომ ვერ ვხედავ მე თეთრი ფარდის მიღმა შენს სახეს?
ნუ მაკვირდები თეთრი ფარდიდან!
არ მომიხმიხარ, არ მითხოვია.
ქუთუთოების ქვეშიდან ვხედავ, როგორ მიყურებ,
რად მაკვირდები თეთრი ფარდის მიღმური მხრიდან?
გავწევ თეთრ ფარდას და შენს სახეს ვიხილავ,
შენ კი ჩემსას ვერ დაინახავ.
რატომ არ ძალმიძს, გადავწიო მე თეთრი ფარდა?
რატომ მიმალავს ის სახეს შენსას?

გერმანულიდან თარგმნა ლულუ დადიანმა

ქაღლდის ბურთები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერვუდ ანდერსონი

მოხუცებული იყო, თეთრი წვერი ჰქონდა, გრძელი ცხვირი და ხელები. ძალიან ადრე, სანამ ჩვენ მას გავიცნობდით, ახალგაზრდობაში ექიმად მუშაობდა და ვაინსბურგის ქუჩებში თავისი ჯაგლაგი ცხენით დაიარებოდა სახლიდან სახლში. მოგვიანებით კი მდიდარი გოგონა მოიყვანა ცოლად, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდეგ უზარმაზარი ნოყიერი ფერმა დარჩენოდა. გოგონა იყო ჩუმი, მაღალი, შავგვრემანი და ბევრი იტყოდა, რომ ლამაზიც. ვაინსბურგში ყველას უკვირდა, თუ რატომ გაჰყვა ის ცოლად ექიმს. ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ გოგონა გარდაიცვალა.

ექიმს უჩვეულოდ დიდი თითები ჰქონდა. როცა მუშტს შეკრავდა, მისი ძვლები კაკლებს, ანდა ახლადგათლილი ხის ბურთების კონას მოგაგონებდათ, რომელიც თითქოს რკინის წნულებით იყო შეკრული. მას შემდეგ, რაც ცოლი გარდაეცვალა, მთელი დღე თავის აბლაბუდებიან კაბინეტში იჯდა ფანჯარასთან და თხილისგან გამოთლილ ჩიბუხს აბოლებდა. ფანჯარა არასოდეს გაუღია. ერთხელ, აგვისტოს სიცხიან დღეს სცადა გაღება, მაგრამ ფანჯარა არ დაემორჩილა და თავი დაანება, მას მერე აღარც გახსენებია.

ვაინსბურგში სულაც დაავიწყდათ მოხუცი, მაგრამ ექიმ რიფის გულში რაღაც სანუკვარი დუღდა. თავის ობმოდებულ კაბინეტში მარტო მჯდარი, ნელ-ნელა ხელახლა აშენებდა იმას, რაც თავადვე დაენგრია. ჭეშმარიტების პატარა პირამიდებს წამოჭიმავდა ხოლმე, მერე დაანგრევდა, რომ ნამსხვრევებისგან ახალი პირამიდა აეგო.

ექიმი რიფი მაღალი კაცი გახლდათ, რომელიც ათი წლის განმავლობაში ერთ შარვალ-კოსტუმს ატარებდა, გაძენძილი სახელოებით, დაჩვრეტილი იდაყვებითა და მუხლებით. თავის კაბინეტში ნაჭრის ლაბადა ეცვა, რომლის ჯიბეშიც ფურცლის ნამცეცებს იგროვებდა. კვირების განმავლობაში, ფურცლის ნამცეცები დიდ ბურთებად იქცა, და როდესაც ჯიბეში აღარ ეტეოდა, ექიმი მათ უბრალოდ იატაკზე ყრიდა. მთელი ათი წლის განმავლობაში მას მხოლოდ ერთი მეგობარი ჰყავდა, მასავით მოხუცი კაცი, სახელად ჯონ სპანიარდი, რომელიც სანერგე პლანტაციებს ფლობდა. ხანდახან, როცა ექიმი რიფი კარგ გუნებაზე იყო, ჯიბეებიდან ამოიღებდა ქაღალდის ბურთებს და პლანტაციის მეპატრონეს დაუშენდა, თან ცრემლებს ძლივს იკავებდა სიცილისგან:

– აი, შენ!.. შეგეშინდეს, შე სენტიმენტალურო ბებერო ყბედო!

თუ როგორ დაუახლოვდა ექიმი რიფი მაღალ შავგვრემან გოგონას, შემდეგ როგორ მოიყვანა ცოლად და მოგვიანებით როგორ დაეპატრონა მის ქონებას, ძალიან საინტერესო ამბავია, ვაინსბურგის ხეხილის ბაღებში მოსული პატარა, დაკოჟრილი ვაშლებივით ტკბილი. შემოდგომით, ხეხილის ამ ბაღში მოსიარულე, ადვილად შეატყობთ, რომ მიწა უკვე მოყინულია. შეამჩნევთ, რომ მკრეფავებმა უკვე დაკრიფეს ვაშლები, მოათავსეს კასრებში და ქალაქებში გააგზავნეს, სადაც ამ ვაშლებს წიგნებით, ჟურნალებით, ავეჯი-

თა და ხალხით სავსე ბინებში შეახრამუნებენ. ხეებზე კი მხოლოდ დაკოჟრილი ვაშლებია აქა-იქ შემორჩენილი, მკრეფავებმა რომ მიატოვეს. ისინი სწორედ ექიმი რიფის შეკრულ მუშტს მოგაგონებენ. ერთი ჩაკბეჩაც საკმარისია, რომ მისი სიტკბოებით მოინუსხოთ. ვაშლის ერთ პატარა, ამობურცულ ადგილასაა დაგროვილი მთელი მისი სიტკბოება. ზოგი ერთი ხიდან მეორისკენ გარბის მოყინულ მიწაზე, რომ დაპრანჭული, კოჟრიანი ვაშლებით ჯიბეები აივსოს. მხოლოდ ერთეულებმა იციან ასეთი ვაშლების ჭეშმარიტი სიტკბოება.

ექიმმა რიფმა და გოგონამ დაახლოება ზაფხულში, ნაშუადღევს დაიწყეს. ექიმი ორმოცდახუთი წლის იყო და ქაღალდის ნამცეცებით ჯიბეების ავსება, მათი ბურთებად გადაქცევისა და იატაკზე დაყრის პრაქტიკა უკვე კარგა ხნის დაწყებული ჰქონდა. თავის ჯაგლაგ ცხენგამობმულ ეტლში რომ იჯდა და სოფლის ორღობეებში დადიოდა აღმა-დაღმა, მაშინ ჩამოუყალიბდა ეს ჩვევა. ქაღალდებზე საკუთარი აზრების ხან თავს, ხან ბოლოს წერდა.

ექიმი რიფის გონება სათითაოდ ქმნიდა აზრებს. აზრთა გროვიდან ერთი ჭეშმარიტება იღებდა ფორმას, რომელსაც სხვებისგან თავისი სიდიადე განასხვავებდა. ჭეშმარიტება სამყაროს ბურუსში ხვევდა, შემდეგ უფრო მეტ უკუნში და ბოლოს ნელ-ნელა ქრებოდა, რასაც ახალი პატარ-პატარა აზრების ფორმირება მოჰყვებოდა ხოლმე.

მაღალი, შავგვრემანი გოგონა ექიმ რიფის სანახავად ფეხმძიმობის გამო მივიდა, რასაც, ცოტა არ იყოს, შეეშინებინა კიდეც. გოგონა ასეთ მდგომარეობაში რიგი საინტერესო მოვლენების გამო აღმოჩენილიყო.

მშობლების გარდაცვალებამ და ნოყიერი აკრების ანდერძად მიღებამ მის კართან ურიცხვ კავალერს მოუყარა თავი. ორი წლის განმავლობაში ის თითქმის ყოველ საღამოს ნახულობდა კავალერებს. ყველანი ერთნაირები ჩანდნენ, ორის გარდა. ყველანი სიყვარულზე ესაუბრებოდნენ, მაგრამ მის შემყურეებს, თვალებსა და ხმაზე ეტყობოდათ, რომ დაუოკებელი ჟინი არ ასვენებდათ. ის ორნი კი, როგორც სხვებისგან, ისე ერთმანეთისგანაც ძლიერ განსხვავდებოდნენ. ერთი გამხდარი, მაღალი, თეთრხელება ახალგაზრდა, ვაინსბურგელი იუველირის შვილი იყო და გამუდმებით ქალწულობაზე საუბრობდა. როდესაც გოგონასთან იყო, თემიდან არასდროს გადაუსვევდა. მეორე – შავთმიანი ბიჭი დიდი ყურებით, საერთოდაც არაფერს ლაპარაკობდა, ყოველთვის ახერხებდა გოგონას ბნელ ადგილას შეტყუებას და კოცნას.

გარკვეული პერიოდი მაღალ, შავგვრემან გოგონას ეგონა, რომ იუველირის ვაჟს გაჰყვებოდა ცოლად. საათობით იჯდა და უსმენდა მის საუბარს, მაგრამ ერთხელაც რაღაცის შეეშინდა. გოგონას მოეჩვენა, რომ როდესაც იუველირის ვაჟი ქალწულობაზე საუბრობდა, მის სიტყვებს მიღმა ბევრად უფრო დიდი ჟინი იყო ჩამალული, ვიდრე სხვა კავალრებისაში. ხანდახან ისიც კი ეჩვენებოდა, რომ საუბრის დროს ვაჟს მისი სხეული თავის ხელში ეჭირა. გოგონამ წარმოიდგინა, თუ როგორ დაატრიალებდა ვაჟი მის სხეულს თავის თეთრ ხელებში ნელ-ნელა და დააშტერდებოდა. ღამით დაესიზმრა კიდეც, რომ იუველირის ვაჟი მის სხეულს კბენდა და ყბებიდან სისხლი ჩამოსდიოდა წურწურით. ეს სიზმარი სამჯერ გაუმეორდა, და შემდეგ იმ ბიჭისგან დაფეხმძიმდა, რომელიც არაფერს ეუბნებოდა და რომელმაც ვნების დროს მართლაც ისე ძლიერ უკბინა მხარზე, რომ მისი კბილები დღეების განმავლობაში ემჩნეოდა.

მას შემდეგ, რაც მაღალმა, შავგვრემანმა გოგონამ ექიმი რიფი გაიცნო, ყველაფერი ისე აეწყო, რომ მასთან განშორება აღარ მონდომებია. ერთ დილას, როცა მის კაბინეტში მივიდა, ექიმი უთქმელადაც კი მიხვდა, თუ რა ამბავი იყო გოგონას თავს დატრიალებული.

მაშინ ექიმის კაბინეტში ქალი დახვდა, ვაინსბურგის წიგნების მაღაზიის მფლობელის ცოლი. როგორც ყველა სოფლის ექიმმა, ბატონმა რიფმაც იცოდა კბილის ამოღება, და კბილზე ცხვირსახოცმიდებული ქალბატონიც კვნესოდა ტკივილისგან. ქმარიც თან ახლდა და როდესაც კბილი ამოვიდა, ორივემ შეჰკივლა და ქალბატონის თეთრი კაბა მთლიანად სისხლში გაისვარა. მაღალი, გამხდარი გოგონა მათ სულაც არ აქცევდა ყურადღებას. როდესაც ცოლ-ქმარი წავიდა, ექიმს გაეღიმა და უთხრა:

– ჩემთან ერთად წაგიყვან, სოფელს შემოვუაროთ.

რამდენიმე კვირის განმავლობაში მაღალი, შავგვრემანი გოგონა და ექიმი თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. მდგომარეობა, რომელმაც ექიმთან მიიყვანა, გოგონას დაავადებაში გადაეზარდა, მაგრამ ის სწორედ ისეთი ადამიანი იყო, ვინც დაჭმუჭნული ვაშლის სიტკბო აღმოაჩინა. მას აღარ შეეძლო იდეალური ვაშლის ჩაკბეჩა, რომელიც კეთილმოწყობილ ოთახში იდო თეფშზე. მათი დაახლოების შემდეგ, შემოდგომაზე, ის ცოლად გაჰყვა ექიმ რიფს და მომდევნო გაზაფხულზე გარდაიცვალა. ზამთარში ექიმმა რიფმა ყოველ ქაღალდზე დაჩხაპნილი ნახევარაზრების თავი და ბოლო მოუყვა ცოლს. მათი წაკითხვის შემდეგ ექიმი ხმამაღლა იცინოდა და ისევ ჯიბეში აბრუნებდა ფურცლებს, რათა ისინი კვლავაც მკვრივ მრგვალ ბურთებად გადაქცეულიყვნენ.

ინგლისურიდან თარგმნა მირიან რჩეულიშვილმა

n 181/104

წერო

ლიტერატურული კონკურსი

გინდა წერო? უნდა წერო!

ლიტერატურული კონკურსი „წერო“ წელს 22 ოქტომბერს დაიწყო და კვლავაც ელექტრონული წიგნების მაღაზია lit.ge–ის ვებგვერდის მეშვეობით, ინტერნეტსივრცეში განხორციელდება.
კონკუსში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. ამისთვის უნდა დარეგისტრირდნენ lit.ge–ზე და შესაბამის გვერდზე 22 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე გამოაქვეყნონ 5–10 გვერდის მოცულობის ნაწარმოებები. ტექსტები ქვეყნდება ანონიმურად, ავტორების მითითების გარეშე.
კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად: პირველ ეტაპზე კონკურსის 7 კაციანი ჟიური (კონკურსის ჟიურის ანონიმურობა კონკურსის ბოლომდეა დაცული. ჟიურის წევრები არიან თანამედროვე მწერლები და ლიტერატორები) 15 საუკეთესო ნაწარმოებს შეარჩევს. ჟიურის მიერ შერჩეული ტექსტებიდან კი, უკვე მკითხველი შეარჩევს საუკეთესოს, მას ვისაც ვერცხლის წერო და ფულადი ჯილდო 4000 ლარი გადაეცემა. მკითხველივე გამოავლენს მეორე და მესამე ადგილზე გასულ მოთხრობებსაც, რომელთა ავტორებიც შესაბამისად 2000 და 1000 ლარს მიიღებენ. მკითხველს სამი ტიპის შეფასების გაკეთება შეუძლია - ცუდი, კარგი, ძალიან კარგი. შეფასებები დაფარულია სხვა მკითხველებისთვის.
კონკურსის ორგანიზატორები, „წეროს“ ავტორებთან ერთად აქტიურ მკითხველებსაც დააჯილდოებენ. გამორჩეულად აქტიური მკითხველისთვის სპეციალურ პრიზს აწესებს ფარმაცევტული კომპანია GPC-ც. მკითხველებს შეფასებებთან ერთად, საშუალება ექნებათ კონკურსის გვერდზე დისკუსიაში ჩაერთონ და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ნაწარმოებების შესახებ. ყველაზე აქტიური მკითხველები ელექტრონული წიგნების მაღაზია lit.ge–სგან ელ–წიგნების შესაძენად ვაუჩერებს მიიღებენ. „წერო“ ერთადერთი ლიტერატურული კონკურსია, სადაც ამა თუ იმ ტექსტის ბედს საბოლოო ჯამში არა ჟიური, არამედ თავად მკითხველები წყვეტენ. ინტერაქტიულობის ამგვარი მეთოდი და ერთგვარი პასუხისმგებლობის დაკისრება მკითხველებზე ლიტერატურული პროცესების მეტ დინამიკას და მასში მკითხველთა აქტიურ მონაწილეობას უწყობს ხელს.
გამარჯვებულის ვინაობა (I, II, III ადგილები, ჟიურის სპეციალური პრიზი და სხვა პრიზები, დაწესებული არა ორგანიზატორთა მიერ) გამოცხადდება დაჯილდოების ცერემონიალზე, რომელიც 11 დეკემბერს საქართველოს მწერალთა სახლში გაიმართება.
სხვადასხვა დროს „წეროს“ გამარჯვებულები არიან:
2006წ. – ვანო ჩხიკვაძე – „ახადელების რძალი“ (პროზა)
2007წ. – ნათია ნაცვლიშვილი – „ცოლების საკითხავი“ (პოეზია)
2007წ. – ბაჩო კვირტია – „მე ბიძინა ვარ“ (პროზა)
2008წ. – დიანა ანფიმიადი – „გრამატიკის გაკვეთილები“ (პოეზია)
2008წ. – ირმა ტაველიძე – „დროთა შეთანხმების წესი“ (პროზა)
2011წ. – მარი ბექაური – „ბავშვობა, როგორიც სინამდვილეშია“ (პროზა)
2013წ. – ნათია როსტიაშვილი – „ჭაღის ანგელოზი“ (პროზა)
2014წ. – ლია ლიქოკელი – ”წყლის პირას, მურყნის ჭალაში“ (პროზა)

ლიტერატურული კონკურსის „წერო“ ორგანიზატორები არიან – ელექტრონული წიგნების მაღაზია Lit.ge და ფარმაცევტული კომპანია GPC. მხარდამჭერი – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

ჯიპისი GPC
LIT.GE E-BOOKS

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის ლიტერატურული პრემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურული პროცესების წახალისებისა და გააქტიურების მიზნით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის მიერ დაარსდა ყოველწლიური ლიტერატურული პრემია, რომელიც ხუთ ნომინაციაში გაიცემა:

- წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები (კრებული/რომანი)
- წლის საუკეთესო პოეტური კრებული
- წლის საუკეთესო საბავშვო წიგნი
- წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი
- წლის საუკეთესო დებიუტი

თითო ნომინაციაში გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი პრემია 4000 ლარის ოდენობით.

ლიტერატურული პრემიის საკონკურსოდ განიხილება 2015 წელს წიგნად/ელექტრონულ წიგნად ქართულ ენაზე გამოცემული ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები;

პრემიაზე წარდგენილი წიგნი უნდა იყოს ტექსტის პირველი გამოცემა;

წიგნის კონკურსზე წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ გამომცემლის მიერ;

გამომცემლობებმა თითოეულ ნომინაციაში შეიძლება წარადგინონ არაუმეტეს ხუთი წიგნისა.

კონკურსის შედეგებს აფასებს მწერალთა სახლის მიერ შერჩეული კონფიდენციალური ჟიური, რომელიც 5 წევრისგან შედგება; ჟიურის შემადგენლობა ყოველწლიურად შეიცვლება და მასში შევლენ ის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება; გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ფარული კენჭისყრით.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 25 დეკემბერი.

მოკლე სიას ჟიური 2016 წლის მარტის ბოლოს წარადგენს.

კონკურსის გამარჯვებულები კი 2016 წლის მაისში, საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალზე გამოვლინდებიან.

გამომცემლობებმა კონკურსში მონაწილეობისთვის მწერალთა სახლის მისამართზე (მაჩაბლის ქ. 13) უნდა წარმოადგინონ:

- განაცხადი საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, მწერალთა სახლის დირექტორის, ნატალია ლომოურის სახელზე;
- საკონკურსოდ შერჩეული წიგნები (3 ეგზემპლიარად);

ელექტრონული წიგნების წარსადგენად განცხადება, ინფორმაცია და წიგნის ბმული მოგვაწოდეთ ელ. ფოსტაზე info@writershouse.ge;

დამატებითი შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით info@writershouse.ge

ტელ: +99532 297 41 01; 297 41 02

ჟურნალი „ახალი საუნჯე“ 2015 წლის ბოლომდე შეგიძლიათ გამოიწეროთ ელვა.GE-ზე

თითო ნომრის ფასი - 2 ლარი

მის.: ქ.თბილისი, იოსებიძის ქ.49

elva@elva.ge

ტელ.: (+995 55 32) 2-38-26-74; 2-38-26-73;

2-38-26-76; (+995 55 32) 38-08-774

ენციკლოპედია

ეროვნული ბიბლიოთეკა